

# **ინფორმაცია ეკონომიკასა და ბიზნესში**

**პრაქტიკუმი**

**ეკონომიკისა და ბიზნესის  
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის**

**პროფესორ დემურ სიჭინავას რედაქციით**

**თბილისი  
2016**

UDC (უკვ) 330.47+330.47:338.22  
ს-559 ი-692

ავტორები: დემურ სიჭინავა, რუსუდან სეთურიძე, თინა მედელოშვილი, დარეჯან ყირიმლიშვილი, თეიმურაზ გოგნაძე, გულადი ნაკაშიძე, მზია ტიკიშვილი, ცირა ჯაფიაშვილი, ვაჟა გოგიჩაიშვილი.

**მეცნიერ-რედაქტორი:** პროფესორი დემურ სიჭინავა

**რეცენზენტები:** პროფესორი მურთაზ მაღრაძე  
ასოც. პროფესორი ენვერ ღაგვიდავა  
ასოც. პროფესორი რევამ ხაინდრავა

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ინფორმატიკის პრაქტიკულ სახელმძღვანელოს. მასში განხილულია: ეკონომიკური ინფორმაცია და მისი კლასიფიკაცია; კომპიუტერის ტექნიკური და პროგრამული ნაწილი; თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები; ტექსტური პროცესორი Ms Word 2010; პრეზენტაციების შექმნის საშუალება Ms PowerPoint 2010.

პრაქტიკული სახელმძღვანელოს ძირითადი ნაწილი დათმობილი აქვს ელექტრონულ ცხრილს Ms Excel 2010-ს.

ნაშრომი შედგენილია თვითმასწავლებლის პრინციპით, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ამ დისციპლინის ათვისების პროცესს.

პრაქტიკული სახელმძღვანელო ძირითადად განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

მკითხველებს გთხოვთ შენიშვნები, მოსაზრებები და შეკითხვები გამოგვიგზავნოთ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: E-mail: [demur.sitchinava@tsu.ge](mailto:demur.sitchinava@tsu.ge) რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

© ავტორთა კოლექტივი, 2016

© გამომცემლობა „ივერიონი“, 2016, კოსტავას 6

ISBN 978-9941-0-9649-5

## შესავალი

ინფორმატიკა არის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებაზე დაფუძნებული მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ინფორმაციის სტრუქტურასა და მის ზოგად თვისებებს. აგრეთვე მისი შექმნის, ძებნის, მოგროვების, გარდაქმნის, გადაცემის, გამოყენების კანონზომიერებებსა და მეთოდებს ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში.

ტერმინი „ინფორმატიკა“ წარმოიშვა ფრანგული სიტყვებისაგან **Information** (ინფორმაცია) და **Automatique** (ავტომატიკა) და ნიშნავს „**ინფორმაციულ ავტომატიკას**“. ამერიკის შეერთებულ შტატებში ინფორმატიკას „**კომპიუტერულ მეცნიერებას**“ უწოდებენ.

ინფორმატიკა წარმოიშვა ისეთი მეცნიერებების მიჯნაზე, როგორცაა მათემატიკა, ფიზიკა, მიკროელექტრონიკა, სტატისტიკა, ეკონომიკა და სხვ.

წინამდებარე პრაქტიკულ სახელმძღვანელოში განხილულია: ეკონომიკური ინფორმაცია და მისი კლასიფიკაცია, კომპიუტერის ტექნიკური და პროგრამული ნაწილი, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები, ტექსტური პროცესორი **Ms Word 2010**, პრეზენტაციების შექმნის საშუალება **Ms PowerPoint 2010**.

წინამდებარე პრაქტიკულ სახელმძღვანელოში ძირითადი ნაწილი დათმობილი აქვს ელექტრონულ ცხრილს **Ms Excel 2010**-ს.

ცხრილის სახით მონაცემთა წარმოდგენის ერთ-ერთ მოხერხებულ საშუალებას წარმოადგენს ე. წ. ელექტრონული ცხრილი. ელექტრონული ცხრილების დამუშავებელ პროგრამებს კი ცხრილურ პროცესორებს უწოდებენ.

1978 წელს, მსოფლიოში პირველად, ელექტრონული ცხრილის შექმნის იდეა დაებადა ჰარვარდის უნივერსიტეტის (აშშ) სტუდენტს, „**ელექტრონული ცხრილების**“ მამამთავარს დანიელ ბრიკლინს, რომელიც მომაბეზრებელ საბუღალტრო სამუშაოებს ასრულებდა.

1979 წელს კომპანიაში „**Software Arts**“ დანიელ ბრიკლინმა და მისმა მეგობარმა ბობი ფრენკსტონმა, რომელიც კარგად ერკვეოდა პროგრამირებაში, შეიმუშავეს **Apple-2** პერსონალური კომპიუტერისთვის საქმიანი პროგრამების პაკეტი **VisiCalc (Visible Calcultor** – კადკულატორი რომელიც ჩანს), რომლის საფუძველსაც ელექტრონული ცხრილი წარმოადგენდა.

შემდგომში შეიქმნა **VisiCalc**-ის ანალოგიური პროგრამები, რომლებშიც **VisiCalc**-ის ძირითადი იდეები უფრო სრულყოფილი იყო.

1983 წელს მიტჩ კოპორმა შექმნა ელექტრონული ცხრილი **Lotus-ი**. ეს იყო პირველი ცხრილური პროცესორი, რომელსაც შეეძლო გრაფიკულ მონაცემებზე მუშაობა და მონაცემთა ბაზების მართვა.

Lotus-ის შემდეგ შეიქმნა მრავალი მსგავსი პროგრამული პროდუქტები.

1987 წელს ფირმა **Microsoft**-მა შექმნა ცხრილური პროცესორი **Excel**-ი. სახელწოდება **Excel**-ი წარმოსდგება ინგლისური სიტყვიდან „**Excellent**“, რაც ნიშნავს წარმატებულს, ჩინებულს, მშვენიერს.

პროგრამა **Excel**-ი, რომელიც შედის **Microsoft Office**-ის შემადგენლობაში, საშუალებას იძლევა შევქმნათ საბუთების ფორმები, ჩავატაროთ გამოთვლები ფორმულების საშუალებით, ვანარმოთ სამეურნეო ოპერაციების ჟურნალი, გავაფორმოთ შრომისა და ხელფასის უწყისები, შედგებულები, ანგარიშ-ფაქტურები და სხვა.

წინამდებარე პრაქტიკული სახელმძღვანელო „**ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში**“ კოდექტიური ნაშრომია. მის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს: დემურ სიჭინავამ, რუსუდან სეთურიძემ, თინა მედელოშვილმა, დარეჯან ყირიმლიშვილმა, თეიმურაზ გოგნაძემ, გუდადი ნაკაშიძემ, მზია ტიკიშვილმა, ცირა ჭაფიაშვილმა და ვაჟა გოგიჩაიშვილმა.

ნაშრომი შედგენილია თვითმასწავლებლის პრინციპით. რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ამ დისციპლინის ათვისების პროცესს.

ნაშრომი ძირითადად განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და, არა მხოლოდ მათთვის. იგი გამოადგება ინფორმატიკის შესწავლით დაინტერესებულ ყველა მსურველს.

# თავი 1. ეკონომიკური ინფორმაციის საფუძვლები

## 1.1. ინფორმაციის არსი

ცოცხალი მატერიის არსებობა და განვითარება შეუძლებელია ინფორმაციის გარეშე. მხოლოდ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი იმ სამყაროს შეცნობა, რომელშიაც მუდმივად მიმდინარეობს ურთიერთმოქმედი ამოუწურავი სახეობისა და თვისებების მქონე მატერიის მოძრაობა. ინფორმაცია და ინფორმაციული პროცესები დამახასიათებელია, როგორც კიბერნეტიკული სისტემებისათვის, ასევე ცოცხალი მატერიისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ინფორმაცია წარმოიშვა დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობისთანავე (რა თქმა უნდა არ არის გამორიცხული ცოცხალი მატერიისა და, შესაბამისად, ცივილიზაციის არსებობა სხვა რომელიმე პლანეტაზე).

თუ ინფორმაციის ასაკი განისაზღვრება რამდენიმე მილიონი წლით, „ინფორმაციის“ ცნების აღმოცენების ასაკი ითვლის რამდენიმე ათეულ წელს.

პირველად სიტყვა „ინფორმაცია“ ჩაისახა ლათინურ ენაში და ტერმინი „ინფორმაცია“ (**Information**) გამოხატავს ახსნას, აღნიშნავს შეტყობინებას, საქმის მდგომარეობის გაცნობას, ან ვინმეს საქმიანობას. რუსეთში სიტყვა ინფორმაცია პირველად გამოიყენეს პეტრე პირველის ეპოქაში. იმ დროს სიტყვა „ინფორმაცია“ იხმარებოდა „იდეის“ და „მეცნიერების“ მნიშვნელობით.

გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო ინფორმაციის ცნების შესწავლა. სამეცნიერო ლიტერატურაში „ინფორმაციის“ ცნება პირველად ინფორმაციის თეორიის შექმნისას გამოიყენა ვ. ე. შენონმა. დღეისათვის „ინფორმაციის“ ცნების განმარტება იმდენად მრავალფეროვანია, რომ ძნელია მათი არა მარტო ციტირება, არამედ უბრალოდ დათვლა. იმისდა მიხედვით, თუ რომელ დარგს იკვლევს პიროვნება „ინფორმაციის“ ცნებას განმარტავს მოცემული დარგის თავისებურებიდან გამომდინარე. ინფორმაციის ცნება ხდება ფილოსოფიის, კიბერნეტიკის, ინფორმატიკის, ბიოლოგიის, ფიზიკის, გენეტიკის, ეკონომიკის, მათემატიკის, სოციოლოგიისა და სხვა მეცნიერებების კვლევის ობიექტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე არ შევუდგებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული „ინფორმაციის“ ყველა ცნების განხილვას. გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმეს.

უ. რ. ეშბი „ინფორმაციის“ ცნებას აძლევს შემდეგ განმარტებას: „ინფორმაცია არის ის, რაც აღმოფხვრის განუზღვრელობას და იზომება იმ განუზღვრელობის რაოდენობით, რომელსაც იგი სპობს“ [1. გვ. 254-255].

ე. შენონის თეორიაში ინფორმაცია გაგებულია როგორც მოხსნილი, აღმოფხვრილი განუზღვრელობა.

მათემატიკურ თეორიებში ინფორმაცია გამოდის როგორც მოხსნილი, ალმოფხვრილი განუზღვრელობა.

„ინფორმაციის“ ცნება ზოგადად შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **ინფორმაცია გამოხატავს მატერიალურ სამყაროში მიმდინარე მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობებს და წარმოადგენს მრავალსახეობის ასახვის შედეგს** [2. გვ.14].

ეკონომისტიკის თვალსაზრისით ინფორმაცია ეს არის ახალი ცნობები, რომელიც საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს ის მატერიალური პირობები, რომლებიც დაკავშირებულია ნივთიერების, ენერჯისა და თვით ინფორმაციის გარდაქმნასთან [5. გვ. 5].

ინფორმაციის საფუძველზე მატულობს ჩვენი ცოდნა, უფრო ღრმად იჭრება ადამიანი ბუნების საიდუმლოებაში, შეიცნობს საზოგადოებისა და, მთლიანად, სამყაროს განვითარების ობიექტურ კანონებს და ამ კანონების მოქმედების შესაბამისად, გარდაქმნის მატერიალურ ნივთიერებებს და გამოიყენებს მათ საზოგადოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

„ინფორმაციის“ ცნება შეფარებულია როგორც სუბიექტის, ინფორმაციის მიმღების, ასევე დროის მიმართებაში. ერთი და იგივე შეტყობინება შეიძლება წარმოადგენდეს ინფორმაციას ერთი რომელიმე სუბიექტისთვის და მეორესთვის არა. აქ განმსაზღვრელს წარმოადგენს ინფორმაციის მიმღების მიერ დაგროვილი (შენახული) ინფორმაციის ოდენობა, მიმღების თემაურუსი (იმ შეტყობინებათა ერთობლიობა, რომელსაც ფლობს ინფორმაციის მიმღები). თუ ინფორმაციის მიმღების თემაურუსში დაფიქსირებულია ანალოგიური ინფორმაცია, მაშინ მიღებული შეტყობინება არ წარმოადგენს ინფორმაციას, არაფერს მატებს მის ცოდნას. მეორე სუბიექტისათვის კი იგივე შეტყობინება შეიძლება იყოს ინფორმაცია, რადგან იგი მისთვის არის ახალი და აფართოებს მის თემაურუსს. ინფორმაციის მიმღებისათვის შეტყობინება შეიძლება იყოს ახალი, თუმცა ასეთი შეტყობინება მისთვის არ წარმოადგენს ინფორმაციას. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა შეტყობინება ფორმულირებულია მიმღებისთვის უცნობ ენაზე. მას არ შეუძლია მიღებული შეტყობინების გაშიფვრა, დეკოდირება, ან მიღებული შეტყობინება შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომ მიმღების ცოდნა არ არის საკმარისი მისი გადაშეშავებისათვის. მაგ., თუ მოსწავდემ არ იცის კვადრატული ფესვის ამოღება, იგი ვერ ამოხსნის კვადრატურ განტოლებას. მიღებული შეტყობინება ინფორმაციის მიმღებისათვის იმ შემთხვევაშიც შეიძლება არ იყოს ინფორმაცია, თუ იგი არ წარმოადგენს მოცემული შეტყობინების ადრესატს, ანუ შეტყობინება მისთვის არ იყო განკუთვნილი. ერთი და იგივე შეტყობინებამ დროის სხვადასხვა მომენტისათვის ერთი და იგივე ინფორმაციის მიმღებს შეიძ-

დება მისცეს სხვადასხვა რაოდენობის ინფორმაცია. შინაარსის მიხედვით გადაცემული შეტყობინება მიმღებისათვის იძლევა სხვადასხვა რაოდენობის ინფორმაციას, ხოლო რაოდენობის თვალსაზრისით შეტყობინების რაოდენობა დამოკიდებული არ არის მიმღების ხასიათზე, მისი მომზადების დონეზე, გადაცემის დროზე, მისი რაოდენობა ყველა მიმღებისათვის არის ერთნაირი. ინფორმაციის მიმღებისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო მიღებული ინფორმაციის რაოდენობას, არამედ მიღებული ინფორმაციის შინაარსს, მის ფასს (სარგებლიანობას). ინფორმაციის სარგებლიანობა შეიძლება დახასიათდეს მისი სიახლით. ინფორმაციის სიახლე კი შეიძლება დავახასიათოთ მოვლენის მოხდენის აღბათობით. რაც უფრო მცირეა მოვლენის მოხდენის აღბათობა, მით უფრო მეტი ინფორმაციაა მოცემულ შეტყობინებაში. ინფორმაციის სარგებლიანობა კლებულობს დროის გასვლის შედეგად. ეს გამოწვეულია იმით, რომ ინფორმაცია ძველდება. ინფორმაციის სარგებლიანობა ნულის ტოლი მაშინ გახდება, როცა მატერიის სტრუქტურისა და თვისებების შესახებ მიღებული ახალი ცნობები მთლიანად ცვლის ძველ შეხედულებებს მოცემული მატერიის სტრუქტურისა და თვისებების შესახებ. როცა ინფორმაციის სარგებლიანობა ტოლი გახდება ნულის, მაშინ ასეთი ინფორმაციით სარგებლობა არ შეიძლება, ვინაიდან იგი იქცევა დეზინფორმაციად, იგი ბრძის სისტემის განუზღვრელობას. ზოგჯერ შეუძლებელია მოცემულ ეტაპზე საზოგადოებამ შეათვალს ინფორმაციის სარგებლიანობა, ეს ხდება მაშინ, როცა საზოგადოება არ არის მზად გამოიყენოს ეს ინფორმაცია. ვთქვათ, მეცნიერის აღმოჩენა, ეს კი გამოწვეულია იმით, რომ საწარმოო ძალთა განვითარების დონე არ არის საკმარისი მოცემული აღმოჩენის პრაქტიკული რეალიზაციისათვის. ასეთი ინფორმაციის სარგებლიანობა გამოაშკარავდება მაშინ, როცა საზოგადოებას გაუჩნდება მოთხოვნილება ასეთ ინფორმაციაზე, ე.ი. მოხდება საწარმოო ძალთა შესაბამისი განვითარება.

„ინფორმაციის“ ცნების ზოგადი განმარტების შემდეგ, საჭიროა მოვახდინოთ ინფორმაციის კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ინფორმაციის სწორი დაჯგუფება საშუალებას იძლევა შედარებით ზუსტად ავირჩიოთ მისი გადაცემის, შენახვის, ფიქსაციისა და დამუშავების ტექნიკური საშუალებები, დავადგინოთ ინფორმაციით სარგებლობის შესაძლო ვადები, უტყუარობის გადიდების მეთოდები, ინფორმაციის მიმღები და ინფორმაციის ეგზემპლარობა და ა. შ.

დანიშნულების მიხედვით გამოყოფენ სოციალურ და სამეცნიერო ტექნიკურ ინფორმაციას. სოციალური ინფორმაცია არის ყველაზე რთული და მრავალგვაროვანი. სოციალურ ინფორმაციას მიეკუთვნება: ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, ესთეტიკური და სხვ. ვინაიდან ჩვენი შესწავლის სა-

განს წარმოადგენს ძირითადად ეკონომიკური ინფორმაცია, დაწვრილებით შევსებით მას.

ეკონომიკური ინფორმაცია არის ადამიანის შეგნებაში საზოგადოებრივი წარმოების ფუნქციონირებისა და განვითარების ასახვა და წარმოადგენს იმ შეტყობინებათა ერთობლიობას, რომლებიც შეიძლება გაიშიფროს, გადაიცეს, გარდაიქმნას, შეინახოს და გამოყენებულ იქნეს ეკონომიკისა და მისი ცადკეული რგოლების მართვისათვის.

ეკონომიკურმა ინფორმაციამ უნდა მოიცვას წარმოების ყველა სტადია ე. ი. წარმოების მართვისათვის საჭიროა გაგვანდეს ინფორმაცია წარმოების პროცესების, გაცვლის, განაწილების, მოხმარებისა და დაგროვების შესახებ.

შეტყობინება ხდება ინფორმაცია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ადამიანი აღიქვამს. ამიტომ აუცილებელია ინფორმაციული ნაკადების სტრუქტურირება და მათი მიწოდება მომხმარებლისათვის გასაგებ ენაზე. [6. გვ. 68].

არსებობს შეტყობინების ინფორმაციად გადაქცევის სხვა განმარტებაც. ასე, მაგალითად, „**ინფორმაცია არის შეტყობინება რაიმე სიახლის შესახებ, რომელსაც ჰყავს მომხმარებელი**“. ამ განმარტების თანახმად ინფორმაცია შედგება სამი კომპონენტისაგან: შეტყობინების, სიახლისა და მომხმარებლისაგან (შ-ს-მ) [2. გვ. 192-198].

### 1.1.1. ეკონომიკური ინფორმაცია და მისი კლასიფიკაცია

ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკაცია შეიძლება ეროვნული ეკონომიკის დარგების მიხედვით (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა, განათლება და სხვ.).

ეკონომიკური ინფორმაციის დაჯგუფებას ახდენენ აგრეთვე მართვის ფუნქციების მიხედვით: ასე მაგალითად, სააღრიცხვო, საგეგმო, ტექნიკური, ნორმატიულ-საცნობარო.

სააღრიცხვო ინფორმაცია თავის მხრივ იყოფა როგორც საბუღალტრო, ოპერატიულ-ტექნიკური და სტატისტიკური.

სააღრიცხო ინფორმაცია გამოხატავს სამართავ ობიექტზე განსაზღვრული თარიღისათვის ან განსაზღვრული პერიოდისათვის საწარმოო-სამეურნეო და ფინანსური პროცესების ფაქტიურ მდგომარეობას. სააღრიცხო ინფორმაციას მართვის ინფორმაციაში ყველაზე დიდი მოცულობა უკავია და ასრულებს უკუკავშირის ფუნქციას.

საგეგმო ინფორმაცია გამოხატავს სამართავი ობიექტის პარამეტრების სასურველ მდგომარეობას მომავალი პერიოდისათვის.

ტექნიკური ინფორმაცია გამოხატავს გამოსაშვები პროექტის კონსტრუქციულ სტრუქტურას და მისი დამზადების ტექნოლოგიას.

ნორმატიული ინფორმაცია გამოხატავს მეცნიერულად და ტექნიკურად დასაბუთებულ ხარჯვის ნორმებს, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ხარჯვას ერთეულოვანი პროექტის გამოსაშვებად, ან ერთეულოვანი სამუშაოს შესასრულებლად.

ნორმატიულ-შემფასებელი და საცნობარო ინფორმაცია წარმოადგენს მართვის სხვადასხვა დონეზე შექმნილ მართვის ავტომატიზებული სისტემების, ან მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების სისტემების, მონაცემთა ბაზების ორგანიზაციის საფუძველს.

ეკონომიკური ინფორმაციის გადაცემის, დაგროვების და დამუშავების ტექნიკური საშუალებების ამორჩევისათვის საჭიროა ეკონომიკური ინფორმაციის დაჭყულება გარე და შიგა ინფორმაციად.

სამართავი ობიექტის შიგნით ეკონომიკური ინფორმაცია წარმოქმნება ეკონომიკური მონაცემების დამუშავების საფუძველზე, ნორმატიულ-საცნობარო ინფორმაციის უშუალო მონაწილეობით. აღნიშნული ინფორმაციის დიდ ნაწილს მოიხმარს ადგილობრივი მართვის ორგანოები (სტრუქტურული ქვეგანყოფილებები), ხოლო შედარებით მცირე ნაწილი გადაეცემა ზემდგომ ორგანოებს (ვერტიკალურად), ან იმ ობიექტებს (ჰორიზონტალურად), რომლებიც აღნიშნული მართვის ობიექტთან იმყოფებიან სანარმოლო კავშირში.

გარე ინფორმაცია ძირითადად შემოდის ზემდგომი ორგანოებიდან და ეს ინფორმაცია ატარებს დირექტიურ ხასიათს (ბრძანებები, მითითებები და სხვადასხვა ნორმატიული აქტები). ინფორმაციის გარკვეული ნაწილი შემოდის იმ წარმოება-დანესებულებებიდან, რომლებიც წარმოადგენენ მომწოდებლებს მოცემული სამართავი ობიექტისათვის. იმასთან დაკავშირებით, რომ დღეისათვის გაფართოვდა ეროვნული ეკონომიკის რგოლების უფლებები და სუვერენიტეტი, რაც გამოწვეულია საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლით, მნიშვნელოვნად შემცირდა ზემდგომი ორგანოებიდან შემოსული და, შესაბამისად, მათდამი გადაცემული ინფორმაციის მოცულობაც.

სასწავლო-სამეცნიერო დიტერატურაში ეკონომიკური ინფორმაცია იყოფა პირველად ანუ საწყის და მეორადი ანუ საშედეგო ინფორმაციად. უნდა აღვნიშნოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში პირველადი მონაცემები არ წარმოადგენს ინფორმაციას, რადგან მათი უშუალო გამოყენება გარდაქმნის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ასეთ მონაცემებს შეიძლება ვუწოდოთ პირველადი მონაცემები. პირველადი მონაცემების ცალკე გამოყოფა აუცილებელია იმდენად, რამდენადაც მათ მოცულობაზეა დამოკიდებული მონაცემების მოხსნის,

ფიქსაციის, გადაცემის და სხვა ტექნიკურ საშუალებათა ამორჩევა. პირველადი აღრიცხვის მექანიზაცია და ავტომატიზაცია აუცილებელია იმდენად, რამდენადაც, როგორც მეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებენ პირველად აღრიცხვას, აღრიცხვის შესრულების საერთო შრომატევადობაში 60% უკავია.

იმაზე დამოკიდებულებით თუ რა პოზიციებიდან ხდება ინფორმაციის შეფასება განასხავებენ მის სამ ასპექტს: **სინტაქსურს, სემანტიკურს და პრაგმატულს.**

**სინტაქსურ დონეზე** განიხილება ინფორმაციის წარმოდგენის, გადაცემისა და შენახვის ფორმები, ანუ იგი დაკავშირებულია ინფორმაციის წარმოდგენის ფორმასთან. ინფორმაციას, რომლის გადაცემაც უნდა მოხდეს, უწოდებენ შეტყობინებას. შეტყობინება შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ნიშნებისა და სიმბოლეების სახით, გარდაიქმნას ელექტრონულ ფორმად, მოხდეს მისი კოდირება, ანუ მოხდეს მისი წარმოდგენა განსაზღვრული თანმიმდევრობით. ელექტრონული სიგნალების სახით გადაცემისათვის შეტყობინების გარდაქმნის პროცესების მახასიათებლები მისი გადაცემისას განსაზღვრავენ ინფორმაციის სინტაქსურ ასპექტებს.

**სემანტიკური ასპექტი** გამოხატავს ინფორმაციის ამრობრივ შინაარს. ამრობრივ კავშირს ენის სიტყვებსა და სხვა ელემენტებს შორის ასახავს თეზაურუსი, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: სიტყვების სიისა და ამრობრივად დაჯგუფებული მდგრად სიტყვათა შეერთებისაგან და გასაღებისაგან. ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა განვადგოთ სიტყვები განსაზღვრული თანმიმდევრობით. ინფორმაციის მიღებისას თეზაურუსი შეიძლება შეიცვადოს, შეცვლის ხარისხით ხასითდება ალქმური ინფორმაციის რაოდენობა.

**ინფორმაციის პრაგმატული ასპექტი** ახასიათებს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასმული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. აღნიშნული ასპექტი ასახავს ინფორმაციის სამომხმარებლო თვისებებს.

ინფორმაცია აღმოცენების თვალსაზრისით და შემდგომი გარდაქმნის მიხედვით გაივლის სამ ეტპს: **სინტაქსურს, სემანტიკურს და პრაგმატულს.**

დავუშვათ ადამიანი სამყაროში აკვირდება რაიმე ფაქტს, რომელიც აისახება მის შეგნებაში მონაცემთა განსაზღვრული ნაკრების სახით. შემდეგ მონაცემების კონკრეტული საგნობრივი არის შესაბამისად ხდება მისი სტრუქტურირება. ადამიანში ხდება ცოდნის ფორმირება დაკვირვების ობიექტის შესახებ, რაც გამოხატავს მიღებული ინფორმაციის სემანტიკურ ასპექტს. ცოდნის სახით წარმოდგენილ ინფორმაციას გააჩნია სტრუქტურირების მაღალი ხარისხი, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ სრული ინფორმაცია

ჩვენს გარშემო არსებული სინამდვილის შესახებ და შევქმნათ საკვლევი ობიექტის ინფორმაციული მოდელი. მიღებულ ცოდნას ადამიანი იყენებს პრაქტიკაში დასმული მიზნის მისაღწევად, რაც ასახავს ინფორმაციის პრაგმატურ ასპექტს.

ინფორმაციის მოცულობა იზრდება სწრაფად და უსასრულოდ, რაც გამოწვეულია მატერიალური სამყაროს შემეცნების პროცესის ზრდით, ჩვენს ირგვლივ არსებული სინამდვილის სწრაფი ცვლილებით და ცვლილებების სწრაფი ასახვის აუცილებლობით.

### 1.1. 2. ინფორმაციის შეფასების მეთოდები

იმისათვის, რომ გავზომოთ და შევაფასოთ ინფორმაციის მოცულობა გამოიყენება სხვადასხვა მიდგომა: **სტატისტიკური, სემანტიკური, პრაგმატური და სტრუქტურული**. ისტორიულად ყველაზე ადრე აღმოცენდა სტატისტიკური მიდგომა, რომელიც ეკუთვნის კიბერნეტიკის ისეთ განყოფილებას, როგორიცაა ინფორმაციის თორია. ამ თეორიის ფუძემდებლებია კ. შენონი, რ. ხარტი, ჰ. ნაიკვისტი, ა. კოდმოგოროვი, ა. ხარკევიჩი და სხვ.

კ. შენონმა შემოიტანა ინფორმაციის რაოდენობის ცნება, როგორც სისტემის მდგომარეობის განუზღვრელობის საზომი. რაოდენობრივად სისტემის მდგომარეობის განუზღვრელობის გამოხატვამ მიიღო ენთროპიის სახელწოდება. ინფორმაციის მიღებისას მცირდება სისტემის მდგომარეობის განუზღვრელობა, ე.ი. სისტემის ენთროპია. მაშასადამე, რაც მეტ ინფორმაციას ვღებულობთ სისტემის შესახებ, მით უფრო მცირდება სისტემის განუზღვრელობა, მცირდება სისტემის ენთროპია. თუ ენთროპია უდრის ნულს, ამ შემთხვევაში, სისტემის შესახებ ყველაფერი ცნობილია და დამკვირვებელს იგი მიეწოდება მონესრიგებული სახით.

ინფორმაციას გააჩნია რიგი თვისებები:

- რაც უფრო ნაკლებია ინფორმაციის აღმოცენების ადბათობა, მით უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს იგი. ამიტომ მოულოდნელი შეტყობინება ისე მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, რომ მასში არსებულმა დიდი რაოდენობის ინფორმაციამ შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციული ფსიქოლოგიური დარტყმა და დასრულდეს ტრაგიკული შედეგით;
- თუ შეტყობინებას გააჩნია ერთის ტოლი აღმოცენების ადბათობა, მაშინ მასში არსებული ინფორმაციის ადბათობა ტოლია ნულის, რამდენადაც წინასწარ ცნობილია, რომ უნდა მოვიდეს მხოლოდ ეს შეტყობინება, ანუ

ინფორმაციის მომხმარებელი ახადს არაფერს იგებს, არ წარმოებს მისი ცოდნის თემაურუსის გაფართოება.

**სემანტიკური მიდგომა.** ეს მიდგომა წარმოადგენს ყველაზე ძნელად ფორმალიზებადს და უღმრთეს ან არის განსაზღვრული. ყველაზე უფრო უღმრთეს სათვის ინფორმაციის შინარსობრივი განსაზღვრისათვის მისაღებია თემაურუსული ზომა, რომლის ავტორია ი. ი. შნეიდერი. ჯერ კიდევ ნ. ვინერი აღნიშნავდა, რომ ინფორმაციის მისაღებად და გამოსაყენებლად საჭიროა ინფორმაციის მიმღებს გააჩნდეს ცოდნის გარკვეული მარაგი. სხვადასხვა მომხმარებელი, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა თემაურუსი სხვადასხვა რაოდენობის ინფორმაციას ღებულობს. ე.ი. ინფორმაციის რაოდენობა დამოკიდებულია მომხმარებლის ინდივიდუალური თემაურუსის მდგომარეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ შეტყობინების შინაარსი მუდმივია. თუ ინფორმაციის მიმღების ინდივიდუალური თემაურუსი ტოლია ნულის, ამ შემთხვევაში მის მიერ აღქმული ინფორმაციის რაოდენობა ტოლია ნულის. ინფორმაციის მიმღები ვერ გებულობს მიღებულ შეტყობინებას, არ შეუძლია მისი გაშიფრვა და როგორც შედეგი მიღებული ინფორმაციის რაოდენობა მიმღებისათვის ნულის ტოლია. მაგალითად, ასეთი სიტუაცია ეკვივალენტურია იმისა, რომ როცა ინფორმაციის მიმღები ისმენს შეტყობინებას მისთვის უცნობ ენაზე. რა თქმა უნდა შეტყობინებას გააჩნია შინაარსი, თუმცა იგი გაუგებარია მიმღებისათვის და არ გააჩნია ინფორმაციულობა.

ინფორმაციის სემანტიკური რაოდენობა შეტყობინებაში შეიძლება ნულის ტოლი იყოს, თუ ინფორმაციის მომხმარებელმა აბსოლუტურად ყველაფერი იცის მოცემული სისტემის მდგომარეობის შესახებ და შეტყობინება მის თემაურუსს ახადს არაფერს მატებს. თემაურუსული მიდგომის მიხედვით მტკიცდება, რომ ინფორმაციას გააჩნია ფარდებითობის თვისება, სუბიექტურობა. თუ აღნიშნულ მეთოდს გამოვიყენებთ სამეცნიერო ინფორმაციის ობიექტურად შესაფასებლად, მაშინ უნდა ვისარგებლოთ საერთო-საკაცობრიო თემაურუსის ცნებით და მისი ცვლილების ხარისხით განისაზღვროს კაცობრიობის მიერ მიღებული ახალი ცოდნის მნიშვნელობა.

**პრაგმატური მიდგომა** განსაზღვრავს ინფორმაციის რაოდენობას როგორც ზომას, რომელიც ხედს უწყობს დასმული მიზნის განხორციელებას. ა. ხარკვეიჩი ინფორმაციის ფასის (სარგებლიანობის) ზომად გვთავაზობს ინფორმაციის რაოდენობას, რომელიც საჭიროა დასმული მიზნის მისაღწევად. ამ მიდგომას საფუძვლად უდევს შენონის ინფორმაციის სტატისტიკური თეორია და ინფორმაციის რაოდენობას განიხილავს როგორც აღბათურ ნაზარდს მიზნის მისაღწევად. თუ შეტყობინების მიღებამდე მიზნის მიღწევის აღბათობა ტოლი იყო  $P_0$ , მიღების შემდეგ  $P_1$ , მაშინ ინფორმაციის პრაგმა-

ტუდი რაოდენობა განისაზღვრება ფორმულით  $\log \frac{P_1}{P_0}$ . თუ ღოგარითმს გავუ-  
ტოდებთ ნუღს, ინფორმაცია გაიზომება ბიტებში, ისე როგორც სტატისტიკური  
მიღვომისას. ინფორმაცია განიცდის მოძველებას, ამიტომ მისი ფასი (სარ-  
გებლიანობა) დროის გასვლის შემდეგ მცირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე,  
ინფორმაცია მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როცა მას ყველაზე დიდი სარ-  
გებლიანობა (ფასი) გააჩნია.

**ინფორმაციისადმი სტრუქტურული** მიღვომისას, რომელიც დაკავში-  
რებულია ინფორმაციის შენახვასთან, რეორგანიზაციისთან და მოძებნის  
პრობლემებთან, მხედველობაში არ მიიღება მისი სემანტიკური და პრაგმატული  
მიღვომება და ყურადღება მახვილდება კომპიუტერში მისი ისეთი სტრუქტურით  
წარმოდგენაზე, რომელიც გამრდის მოძებნის, ჩანერის, ამოღების და მონა-  
ცემთა ბაზის მოდიფიკაციის პროცედურების შესრულებას. სტრუქტურის თეო-  
რია საშუალებას იძლევა ღოგვიურ ღონებზე განისაზღვროს მონაცემთა ბაზის  
ოპტიმალური სტრუქტურა და შემდეგ მოხდეს მონაცემთა ბაზის ფიზიკურ  
ღონებზე ორგანიზაცია. ინფორმაციის მანქანური ფორმით წარმოდგენა  
გვერდზე ტოვებს მის ანალიზურ და პრაგმატურ ასპექტებს. ინფორმაციის  
შემდგომი დამუშავება ხდება ინფორმაციის მანქანური დამუშავების საერთო  
პრინციპების მიხედვით, მისი აზრობრივი შინაარსის მიუხედავად.

საშედეგო ინფორმაცია წარმოიქმნება პირველადი მონაცემების, ან  
მონაცემთა ბაზაში შენახული მონაცემების ერთდროული დამუშავების შედე-  
გად. კომპიუტრიდან საშედეგო ინფორმაცია შეიძლება გამოვიტანოთ სხვა-  
დასხვა ფორმით: მანქანოგრაფის, ტერმინალური მოწყობილობის ეკრანზე  
ვიდეოგრაფის სახით, ბგერების, ან იმპულსების სახით, თუ საშედეგო  
ინფორმაციის მომხმარებელს წარმოადგენს რომელიმე ტექნიკური საშუალება,  
მაგალითად, კომპიუტრი და საშედეგო ინფორმაცია გამოყენებულ იქნება  
მომავალში, მაშინ აღნიშნული ინფორმაცია უნდა ჩაინეროს მონაცემთა  
ბაზაში და ორგანიზებულ უნდა იქნეს გარკვეული წესით.

სამართავი ობიექტის ეფექტური ინფორმაციული სისტემის აგების  
მიზნით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური ინფორმაციის  
დაყოფა ცვალებად და პირობითად მუდმივ ინფორმაციად. ცვალებად ინფორ-  
მაციას მიეკუთვნება ისეთი ინფორმაცია, რომელიც დამუშავების პროცესში  
მონაწილეობს ერთხელ და წარმოშობის მომენტში ღებულობს სხვადასხვა  
მნიშვნელობას. პირობითად მუდმივს მიეკუთვნება ისეთი ინფორმაცია,  
რომელიც დამუშავების პროცესში მონაწილეობს მრავალჯერ და რჩება უცვლელი  
შედარებით ხანგრძლივი ვადით (კვარტალი, წელი, ხუთი წელი და სხვ.). აქვე  
შევნიშნავთ, რომ რადგან ინფორმაციისათვის დამახასიათებელია სიახლე,

ცვალებადობა, ამდენად აღბათ უმჯობესია ვიხმართ გამოთქმები: მონაცემები და მუდმივი მონაცემები. მონაცემების მუდმივობას დროში ახასიათებენ სტაბილურობის (მუდმივობის) კოეფიციენტით, რომელიც მიუთითებს, მოცემული საერთო რაოდენობის მონაცემების ნომენკლატურიდან თუ რამდენი ერთეული მონაცემი რჩება უცვლელი გარკვეული პერიოდის ბოლოს (კვარტალი, წელი, ხუთი წელი).

სტაბილურობის კოეფიციენტი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$K_{st} = N_{ucv} / N_{saerT}$$

სადაც  $K_{st}$  - არის სტაბილურობის კოეფიციენტი;

$N_{ucv}$  - არის მოცემული პერიოდის განმავლობაში უცვლელი ინფორმაციის მოცულობა;

$N_{saerT}$  - არის მოცემული პერიოდის განმავლობაში დასამუშავებელი ინფორმაციის საერთო მოცულობა.

მიღებულია, რომ პირობითად მუდმივად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ინფორმაცია, რომლის სტაბილურობის კოეფიციენტი  $K_{st} \geq 0,85$ . მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნული კოეფიციენტის მნიშვნელობა შეიძლება ნაკლები იყოს 0,85 - ზე. მაგრამ ასეთი ინფორმაცია მიზანშეწონილია გამოვყოთ როგორც პირობითად მუდმივი. ასეთ შემთხვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როცა აღნიშნული ინფორმაციის აქტივიზაციის ხარისხი მაღალია ე. ი. ერთეულ ინფორმაციაზე მიმართვა წარმოებს დიდი სახშირით. პირობითად, მუდმივი ინფორმაციის გამოყოფა ცარკვე მიზანშეწონილია იმიტომ, რომ ინფორმაციის მუდმივობიდან გამომდინარე, წარმოებს მანქანური მატარებლების ამორჩევა და ინფორმაციის ორგანიზაციის ხერხების შერჩევა.

პირობითად მუდმივ ინფორმაციას საწარმოებში მიეკუთვნება ნორმატიული, საგვემო-სახელშეკრულებო, შემფასებელი, საცნობარო საადრიცხვო.

ეკონომიკური ინფორმაციის საერთო მოცულობაში პირობითად მუდმივი ინფორმაციის წილად მოდის 50-60%.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუდმივი ინფორმაცია ორგანიზებული უნდა იქნეს მონაცემთა ბაზის სახით. მონაცემთა ბაზის ორგანიზაციისას კი აუცილებელია მიეთითოს აღნიშნული ინფორმაციის სარგებლობის ვადა, რათა კონტროლი გავუწიოთ დადგენილი ვადის გასვლას. ეს კი საშუალებას მოგვცემს კომპიუტრის დახმარებით კონტროლი გავუწიოთ ბაზაში არსებული ინფორმაციის ვარგისიანობას. მონაცემთა ბაზაში პირობითად მუდმივი ინფორმაციის ორგანიზაციისას საჭიროა მონაცემთა ბაზა იყოს მუშა მდგომარეობაში. რაც იმას გულისხმობს, რომ დროულად უნდა მოხდეს ბაზაში არსებულ ინფორმაციაში აუცილებელი ცვლილებების შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული

ინფორმაციით სარგებლობა დაუშვებელია, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ გამოხატავს სამართავი ობიექტის რეალურ მდგომარეობას. მოძველებული ინფორმაცია იქცევა ღვინოინფორმაციად. მონაცემების დამუშავების და საშედეგო ინფორმაციის მიღების პერიოდულობის მიხედვით ეკონომიკური ინფორმაცია შეიძლება დაყვით როგორც რეგლამენტირებული და არარეგლამენტირებული. რეგლამენტირებული ინფორმაციისათვის ცნობილია დამუშავების გრაფიკი და საშედეგო ინფორმაციის მიღების პერიოდულობა. არარეგლამენტირებული ინფორმაცია მიიღება მმართველი სისტემის საჭიროების შესაბამისად.

ეკონომიკურ ინფორმაციას უნდა გააჩნდეს საკმარისი და აუცილებელი საიმედოობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილება არ იქნება ოპტიმალური. ამიტომ მონაცემთა მანქანური დამუშავების თითოეული ტექნოლოგიური ოპერაციის შესრულებისას მიიღწევა საკმარისი და აუცილებელი საიმედოობა.

დასმული ამოცანის ამოსახსნელად საჭირო ინფორმაციის საიმედოობის, უტყუარობის გადიდება განსაზღვრულ სიდიდემდე, ერთი მხრივ, ზრდის მიღებული საშედეგო ინფორმაციის საიმედოობას და მეორე მხრივ, ადიდება ინფორმაციის მოცულობას, ზრდის მის სიჭარბეს, უარყოფითად მოქმედებს მისი მოხსნის, ფიქსაციის, გადაცემის, შენახვისა და დამუშავების ეფექტიანობაზე. ზრდის დამუშავების ხარჯებს, ინფორმაციული პროდუქციის თვითღირებულებას. ზოგიერთ შემთხვევაში ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებისას შესაძლო შეცდომების ნუდამდე დაყვანა, ერთი მხრივ, გამოიწვევს დანახარჯების 50-100%-ით გადიდებას და, მეორე მხრივ, გაართულებს მონაცემების მანქანური დამუშავების ორგანიზაციას. ამიტომ მიზანშეწონილია ავირჩიოთ უტყუარობის ისეთი შუალედი, რომლის ქვემოთ მიღწეული უტყუარობა უარყოფითად იმოქმედებს სამართავი ობიექტის ფუნქციონირებაზე და, მეორე მხრივ, ინფორმაციის უტყუარობის უსაზღვროდ გადიდება გამოიწვევს დანახარჯების იმდენად გადიდებას, რომ შეიძლება მონაცემების მანქანური დამუშავება გახდეს არაეფექტური და უარი ვთქვათ მონაცემების მანქანურ დამუშავებაზე. ეკონომიკური ინფორმაციის მანქანური დამუშავებისას მიღებულ საშედეგო მონაცემებში ინფორმაციის დასაშვები საიმედოობა შეიძლება მოთავსდეს  $10^{-5}$  -  $10^{-7}$  საზღვრებში.

### 1.1.3. ეკონომიკური ინფორმაციის თვისებები

ეკონომიკური ინფორმაციის მანქანური დამუშავების დაპროექტებისას საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ეკონომიკური ინფორმაციის თვისებურებები. დასამუშავებელი ეკონომიკური ინფორმაცია, უმეტეს შემთხვევაში,

**მასობრივია** (დიდი მოცულობისაა). ეს გამოწვეულია ინფორმაციის წარმოშობის წყაროთა სიმრავლით (სამუშაო ადგილების რაოდენობა, შესრულებულ ტექნოლოგიურ ოპერაციათა სიმრავლე, საბოლოოდ შრომის საგნების, იარაღებისა და შრომის პროდუქტების და ა.შ. სიმრავლე).

ეკონომიკური ინფორმაცია არის **წრფივი** და **დისკრეტული**, წარმოდგენილი ადფაბეტურ-ციფრული ფორმით და დაფიქსირებული სხვადასხვა მატერიალურ მატარებლებზე. პირველადი მონაცემები საჭიროებს სხვადასხვა ნიშნების მიხედვით დაჯგუფებას და, რაც მთავარია, იგი მრავალჯერ გამოიყენება წარმოების მართვის პროცესში. ეკონომიკური ინფორმაციისათვის დამახასიათებელია წარმოშობისა და დამუშავების **ციკლური ხასიათი**. ე. ი მისი წარმოშობა და დამუშავება ხდება დადგენილი დროის შუადღეში.

ეკონომიკური ინფორმაცია არის რთული სტრუქტურის, წარმოდგენილი სიმბოლოების, სიტყვების, მაჩვენებლების, დოკუმენტების და ინფორმაციული ერთობლიობის სახით.

მონაცემების დასამუშავებლად გამოყენებული ტექნიკური საშუალებების და გამოყენებული ხერხების გვარობიდან გამომდინარე, დასამუშავებელი მონაცემების მოცულობის განსაზღვრის მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ ინფორმაციის სხვადასხვა ზომის ერთეულები. კომპიუტრის გამოყენების შემთხვევაში ინფორმაციის მოცულობის განსაზღვრის ერთეული არის ბიტი (ორბითი ერთეული, თვლის ორბით სისტემაში, ლებულობს ორ მნიშვნელობას 0 ან 1), თუმცა პრაქტიკაში ინფორმაციის მოცულობა კომპიუტრის გამოყენებისას წარმოებს ბაიტებშიც (8 ორბითი ერთეული). მაგალითად, ოპერატიული მეხსიერების მოცულობის, მყარი დისკების ტევადობის და სხვ. გაზომვა წარმოებს ბაიტებში, კილობაიტებში, მეგაბაიტებში, გიგაბაიტებში, ტერაბაიტებში, პეტაბაიტებში.

- 1 კილობაიტი (კბაიტი) = 1024 ბაიტს;
- 1 მეგაბაიტი (მბაიტი) = 1024 კბაიტს;
- 1 გიგაბაიტი (გბაიტი) = 1024 მბაიტს;
- 1 ტერაბაიტი (ტბაიტი) = 1024 გბაიტს;
- 1 პეტაბაიტი (პბაიტი) = 1024 ტბაიტს;

თანამედროვე კომპიუტრში ბაიტი არის ისეთი ინფორმაციული ერთეული, რომელზედაც შესაძლებელია მიმართვა. უფრო დიდ ინფორმაციულ ერთეულს წარმოადგენს ჩანაწერი.

**ჩანაწერი** ეწოდება დოკუმენტად ერთმანეთთან დაკავშირებულ მონაცემთა ერთობლიობას, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ საგანს, მოვლენას ან პროცესს. კომპიუტრის მეხსიერებაში გარკვეული წესით ორგანიზებულ ჩანაწერთა ერთობლიობა ქმნის ფაილს. ამ უკანასკნელს გააჩნია სახელი და

მისამართი. ფაილთა ერთობლიობა, რომლის საფუძველზე წარმოებს ამოცანის ან ამოცანათა კომპლექსის გადაწყვეტა კომპიუტრზე ქმნის მონაცემთა ბაზას. ზოგადად, როდესაც საუბარია ინფორმაციულ ერთეულებზე, აუცილებელია განვიხილოთ ზომის შემდეგი ერთეულები: **რეკვიზიტი, მაჩვენებელი, დოკუმენტი, ინფორმაციული წარმონაქმნი (მასივი) და ინფორმაციული სისტემა.**

ისეთ ველემენტარულ ინფორმაციულ ერთეულს, რომელიც შემდგომ დაყოფას არ ექვემდებარება (შინაარსობრივი თვალსაზრისით) **რეკვიზიტი** ეწოდება. რეკვიზიტი არის ორი სახის: რეკვიზიტ-ნიშნავი და რეკვიზიტ-ფუძე. რეკვიზიტ-ნიშნავი გამოხატავს საგნის, პროცესის ან მოვლენის ხარისხობრივ მხარეს, ახასიათებს მათ ადგილმდებარეობას. რეკვიზიტ-ნიშნავი დაწვრილებით ახასიათებს რეკვიზიტ-ფუძეს: რეკვიზიტ-ფუძე გამოხატავს საგნის, პროცესის ან მოვლენის რაოდენობრივ მხარეს (რაოდენობა, თანხა და ა. შ.).

ინფორმაციულ ერთეულს, რომელსაც შეუძლია გამოხატოს საგნის, პროცესის ან მოვლენის ამრობრივი შინაარსი და შესწვეს უნარი დოკუმენტის წარმოქმნის, **მაჩვენებელი** ეწოდება. მაჩვენებელს შეიძლება გააჩნდეს რამდენიმე რეკვიზიტ-ნიშნავი და ერთი ან მეტი რეკვიზიტ-საფუძველი. მაჩვენებელთა რაოდენობა (მინიმუმ ერთი) ქმნის **დოკუმენტს**. დოკუმენტი, თუ იგი ერთსტრიქონიანია წარმოადგენს **ჩანაწერს**, რომელიც წარმოადგენილია ურთიერთდაკავშირებული რეკვიზიტებისაგან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-გვაროვანი ჩანაწერთა ერთობლიობა ქმნის **მასივს**. სამართავ ობიექტზე რომელიმე ამოცანის გადასაწყვეტად (მაგ., ფირმაში მომუშავეთა ხელფასის გასაანგარიშებლად) შეიძლება საჭირო გახდეს რამდენიმე მასივის გამოყენება ანუ ფორმირება **ინფორმაციული ნაკადი**. ინფორმაციული ნაკადების ერთობლიობას, რომელთა საფუძველზედაც წარმოებს ფირმის საქმიანობის მართვა, მართვის ყველა ფუნქციის განხორციელება, **საინფორმაციო სისტემა** ეწოდება.

## 1.2. კომპიუტერის ტექნიკური ნაწილი (Hardware)

### 1.2.1. კომპიუტერების კლასიფიკაცია

სიტყვა კომპიუტერი (**Computer**) ინგლისური წარმოშობისაა და ნიშნავს „გამომთვლელს“. თანამედროვე გაგებით, კომპიუტერი - ეს არის ელექტრონული გამომთვლელი მანქანა (მანქანა დათინურად **Machina** - ხელოვნური წარმოშობის მოწყობილობაა, რომელიც გარდაქმნის ენერჯიას ან მოძრაობას და გან-

კუთვნილია ადამიანის შრომის შესამსუბუქებლად ან მთლიანად ადამიანის შესაცვლელად კონკრეტული საქმიანობის შესრულებისას).

დღეისათვის არსებობს კომპიუტერების კლასიფიკაცია - დანიშნულების, ტექნიკური და პროგრამული თავსებადობის, ზომების, ელემენტური ბაზის და სხვ. მიხედვით. ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ კომპიუტერების მწარმოებელი წამყვანი კომპანიების მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას:

- სუპერკომპიუტერები
- მინიფრეიმები
- სერვერები
- პერსონალური კომპიუტერები:
  - სამაგიდო კომპიუტერები
  - გადასატანი კომპიუტერები (**Notebook-ი** ან **Leptop-ი**)
  - ჭიბის კომპიუტერები (**Palmtop-ი** ანუ **Pocket PC-ი**)

### 1.2.2. სუპერკომპიუტერი

სუპერკომპიუტერები არის უმძლავრესი კომპიუტერები. ისინი მზადდება სპეციალურად ისეთი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც მოითხოვენ დიდ რაოდენობის გამოთვლებს.

სუპერკომპიუტერები მასიურად არ იწარმოება. მათი დამზადება ხდება მხოლოდ შეკვეთით.

სუპერკომპიუტერებს განსათავსებლად სჭირდება რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრი ფართობი.

სუპერკომპიუტერების სიჩქარე იზომება ისეთ ერთეულში, როგორცაა **FLOPS (Floating Point Operations Per Second** - წამში შესრულებული არითმეტიკული ოპერაციების რაოდენობა მცურავი მძიმით). **FLOPS-ს** გააჩნია ჭერადი ერთეულები:

- მეგა **FLOPS** - ერთი მილიონი ( $10^6$ ) არითმეტიკული ოპერაცია წამში;
- გიგა **FLOPS** - ერთი მილიარდი ( $10^9$ ) არითმეტიკული ოპერაცია წამში;
- ტერა **FLOPS**- ერთი ტრილიონი ( $10^{12}$ ) არითმეტიკული ოპერაცია წამში;
- პეტა **FLOPS**- ერთი 1000 ტრილიონი ( $10^{15}$ ) არითმეტიკული ოპერაცია წამში.

#### რისთვის გვჭირდება სუპერკომპიუტერები?

დასამუშავებელი ინფორმაციის დიდმა მოცულობამ და მასშტაბებმა, მისმა მნიშვნელობამ ზოგადასაკლებრივ პრობლემების გადაჭრაში აუცილებელი გახადა

სუპერკომპიუტერების გამოყენება. მხოლოდ ამ ტიპის უმძდავრეს ტექნიკურ საშუალებას შეუძლია თვალყური ადევნოს გარემომცველ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს და საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად დახარჯული მილიარდების აუცილებლობა გაამართლოს. ასე, მაგალითად, ავილოთ აშშ-ს ტერიტორია, რომელსაც წელიწადში ორჯერ გადუვდის საშინელი დამანგრეველი ძარის მქონე ტორნადო, რომელიც თავის გზაზე ტოვებს დანგრეულ ქალაქებს, ნაპირებიდან გადმოსულ მდინარეებს, გიგანტურ დატბორილ ტერიტორიებს და სახვა უბედურებებს. აღნიშნულ, დღემდე შეუსწავლელ მოვლენასთან ბრძოლა აშშ-ს ბიუჯეტის არსებითი ნაწილია. მხოლოდ ფლორიდის შტატში, რომელიც იმყოფება იმ ტერიტორიასთან ახლოს, სადაც იბადებიან ტორნადოები, ბოლო წლებში, ადამიანების გადარჩენისათვის, ექსტრემალური ზომების მისაღებად დაიხარჯა 50 მილიარდი დოლარი.

მოსალოდნელი ამინდის წინასწარმეტყველება საკმაოდ რთულია. ამისათვის საჭიროა უზარმაზარი მონაცემების დამუშავება ბედიდი სიჩქარით, უფრო მუსტად, გათვრები არ უნდა გავრძედდეს 4 საათზე მეტ ხანს, რამდენადაც ამინდის სურათი ხუთ საათში მთლიანად იცვლება. აღნიშნული სამუშაოს შესრულება შეუძლია მხოლოდ მესწრაფ კომპიუტერს.

ამინდის წინასწარმეტყველება მართლ არაა სუპერკომპიუტერის გამოყენების მაგალითი. დღეისათვის სუპერკომპიუტერების გარეშე შეუძლებელია ისეთი დარგების ფუნქციონირება, როგორიცაა: სეისმოლოგია, ნავთობისა და გაზის მოპოვება, ავტომშენებლობა, ელექტრონულ მონაცემთა დამუშავება, ფარმაცოლოგია, ღრუბლოვანი ინფორმაციული ტექნოლოგიები და სხვა.

სუპერკომპიუტერებს ღირებულებაც სიმძდავრის შესაბამისი ჰქონდათ. ამ ბოლო პერიოდში მათი ღირებულება სიმძდავრის პირდაპირპროპორციული არაა, დღითიდღე მცირდება. რადგანაც სუპერკომპიუტერებს აწყობენ იმავე ნაწილებით როგორითაც პერსონალურ კომპიუტერებს. ამ უკანასკნელმა გამოიწვია ის, რომ ეს უმძდავრესი გამოთვლითი მანქანები, რომლებიც ადრე მხოლოდ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და თავდაცვის სამინისტროების მკაცრად დაცული კუთვნილება იყო, დღეს ჩვეულებრივი ადამიანებისათვის ხელმისაწვდომი გახდა.

ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორიცაა: **I.B.M, Hewlett-Packard, Microsoft** და **Intel** ცდილობენ, იპოვონ გზები, რომელიც მათ საშუალებას მისცემს ინფორმაციის უზარმაზარი რაოდენობა ონლაინ-რეჟიმში გახადონ ხელმისაწვდომი ე.წ „**ღრუბლოვანი კომპიუტერიზაცია**“. ეს უპირატესობები კომპიუტერულ კვლევებთან აღმართულ დიდ კვლევას ანგრევს. შედეგი, შესაძლოა, დემოკრატიული აღმოჩნდეს, რაც ნიშნავს, რომ ჩვეულებრივ ხადს, რომელსაც ორიგინალური

იდეები აწუხებს, თავისი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება ყოველმხრივ ალტერნატიული კომპიუტერით შეეძლება. გამორიცხული არ არის, რომ ძიებაში რაიმე მოულოდნელსაც მიაგნონ“ [9].

ვაშინგტონის უნივერსიტეტის **eScience Institute**-ის მეცნიერმა ბილ ჰოუჯიმ, კვლევით ორგანიზაციებს ინფორმაციის გამომჟღავნებისკენ მოუწოდებდა. მან განაცხადა, რომ „ყველა მონაცემი, რაც მეცნიერებაში გროვდება, ხელმისაწვდომი უნდა იყოს, და არა ისე, როგორც ეს დღეს ხდება. საშუალო სკოლის მოსწავლეებისგან და ე. წ. მოქალაქე მეცნიერებისგან ბევრ ახად აღმოჩენას შევითქვით, თუ მათ შანსი მიეცემათ“ [9].

ორი წლის უკან ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა, პირველად საქართველოში, 2014 წლის 4 დეკემბერს დაანერგა და საზოგადოებას წარუდგინა ახალი მომსახურება - **ღრუბლოვანი გამოთვლითი ტექნოლოგიები - eCloud**. საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის eCloud პლატფორმა მომხმარებელს სთავაზობს მაღალი დონის, ეუბლირებულ, აქტივ-აქტივ მონაცემთა ცენტრებში განთავსებულ ღრუბლოვან სერვისს, ალტერნატიულ 1000-ზე მეტი მაღალი წარმადობის სერვერითა და მონაცემთა შენახვა/დამუშავების სისტემებით, კვალიფიციური ადმინისტრატორებით, მოწყობილობებისა და პროგრამული უზრუნველყოფის მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლების მხარდაჭერით [10].

ღრუბრის ბერკეტის ეროვნული დაბორატორიისა და ტენესის შტატის უნივერსიტეტის სპეციალისტები წვდომადი ორჯერ აქვეყნებენ მსოფლიოში 500 უმძლავრესი სუპერკომპიუტერის სიას. მათ მიერ 2014 წელს გამოქვეყნებული 500 სუპერკომპიუტერის პირველი ათეულის ტექნიკური მასიათებლებია [11]:

**10. Cray CS-Storm:** მწარმოებელი და ადგილმდებარეობა - აშშ; მწარმოებლობა - 3.57 (თეორიული - 6,13) პეტაფლოპსი; სიმძლავრე - 1,4 მეგავატი.

როგორც ყველა თანამედროვე სუპერკომპიუტერი ქვევით ჩამოთვლილი სუპერკომპიუტერების მულტიპროცესორული სისტემებია. ისინი შედგებიან დაწყებული რამდენიმე 1000-დან რამდენიმე მილიონამდე პროცესორისაგან, რომელიც გაერთიანებულია ერთიანი გამოთვლითი ქსელით პარალელური არქიტექტურის პრინციპით (იხ. სურათი).



სუპერკომპიუტერი - Cray CS-Storm / ©Cray

9. Vulcan – Blue Gene /Q: მწარმოებელი - IBM; ადგილმდებარეობა - აშშ; მწარმოებლურობა - 4.9 (თეორიული - 5,03) პეტაფლოპსი; სიმძლავრე - 1,9 მეგავატი.



სუპერკომპიუტერი - Vulcan / Laura Schulz and Meg Epperly / LLNL

8. Juqueen – Blue Gene/Q: მწარმოებელი - IBM; ადგილმდებარეობა - გერმანია; მწარმოებლურობა -5 (თეორიული - 5,87) პეტაფლოპსი; სიმძლავრე - 2,3 მეგავატი.



სუპერკომპიუტერი - Juqueen/©Jlich Supercomputing Center (JSC)

**7. Stampede – PowerEdge C8220:** მწარმოებელი - **Dell**; ადგილმდებარეობა - აშშ; მწარმოებლურობა -5,16 (თეორიული - 8,52) პეტაფლოპსი; სიმძლავრე - 4,5 მეგავატი.



სუპერკომპიუტერი - Stampede/©Texas Advanced Computing Center

**6. Piz Daint – Cray XC30:** მწარმოებელი - **Cray**; ადგილმდებარეობა - შვეიცარია; მწარმოებლურობა - 6,27 (თეორიული - 7,78) პეტაფლოპსი; სიმძლავრე - 2,3 მეგავატი.



სუპერკომპიუტერი - Piz Daint /©Blogs.nvidia.com

**5. Mira - Blue Gene/Q:** მწარმოებელი - **IBM**, 2012 წელი; ადგილმდებარეობა - აშშ; მწარმოებლურობა -8,56 (თეორიული - 10,6) პეტაფლოპსი; სიმძლავრე - 3,9 მეგავატი.

აღნიშნული კომპიუტერი ძირითადად გამოიყენება სამეცნიერო კვლევებისთვის, კერძოდ, კლიმატისა და მიწისძვრების წინასწარმეტყველებისთვის.



სუპერკომპიუტერი - Mira / ©Flickr

**4. K Computer:** მწარმოებელი - **Fujitsu**; ადგილმდებარეობა - იაპონია; მწარმოებლურობა -10,51 (თეორიული - 11,28) პეტაფლოპსი; სიმძლავრე - 12,6 მეგავატი.

აღნიშნული კომპიუტერი ძირითადად გამოიყენება სამეცნიერო კვლევებისთვის, კერძოდ, ბუნებრივი კატასტროფების (სეისმური აქტივობის) წინასწარმეტყველებისათვის, რაც აქტუალურია იაპონიისათვის.



სუპერკომპიუტერი - K / ©Fujitsu

**3. Sequoia – Blue Gene / Q:** მწარმოებელი - **IBM**; ადგილმდებარეობა - აშშ; მწარმოებლურობა -17,17 (თეორიული - 20,13) პეტაფლოპსი; სიმძლავრე - 7,8 მეგავატი.

აღნიშნული კომპიუტერი განთავსებულია აშშ-ში ლივერმორის ეროვნულ დაბორატორიაში. ძირითადად გამოიყენება სამეცნიერო კვლევებისთვის, კერძოდ, ატომური აფეთქებების მოდელირებისათვის. გარდა ამისა **Sequoia**-ზე წარმატებით სრულდება კოსმოდოგური ამოცანების მოდელირება და ადამიანის გულის ფიზიოლოგიური მოდელის შექმნა.



სუპერკომპიუტერი - Sequoia / ©Bob Hirschfeld/LLNL

2. Titan – Cray XK7: მწარმოებელი - **Cray**; ადგილმდებარეობა - აშშ; მწარმოებლურობა -17,59 (თეორიული - 27,11) პეტაფლოპსი; სიმძლავრე - 8,2 მეგავატი.

აღნიშნული კომპიუტერი მდებარეობს აშშ-ში ოუკ-რიჯის ეროვნულ დაბორატორიაში. ძირითადად გამოიყენება სამეცნიერო კვლევებისთვის, კერძოდ, ატომური რეაქტორის შუაგულში ნეიტრონის ქცევის მოდელირებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სუპერკომპიუტერი ამერიკის ენერჯეტიკის სამინისტროს საკუთრებაა იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი სამეცნიერო კვლევებისათვის. მას 404 მ<sup>2</sup> ფართობი უკავია.



სუპერკომპიუტერი - Titan / ©olcf.ornl.gov

1. Tianhe-2 – ირმის ნახტომი-2: მწარმოებელი კომპანია - Inspur “Tianhe-2”; ადგილმდებარეობა - ჩინეთი; მწარმოებლურობა -33,86 (თეორიული - 54,9) პეტაფლოპსი; სიმძლავრე - 17,6 მეგავატი.

სუპერკომპიუტერი ირმის ნახტომი-2 მწარმოებლურობით ორჯერ აღემატება Titan – Cray XK7-ს. ის განთავსებულია 720 მ<sup>2</sup> ფართობზე. იგი შედგება

16000 კვანძისაგან სადაც ბირთვების საერთო რაოდენობა - 3,12 მილიონია. ოპერატიული მეხსიერება - 1,4 პეტაბაიტი. დამამახსოვრებელი მოწყობილობა - 12.4 პეტაბაიტი. იგი ძირითადად გამოიყენება: სხვადასხვა სახის მოდელირებისათვის, დიდი მოცულობის მონაცემთა ანალიზისა და ჩინეთის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.



სუპერკომპიუტერი - Tianhe-2 / ©Popsci.com

როგორც ზემოთ ავლინებთ, ღოურენს ბერკდის ეროვნული დაბორატორიისა და ტენესის შტატის უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ 2014 წელს გამოქვეყნებულ მსოფლიოში უმძაფრესი 500 სუპერკომპიუტერის სიაში პირველი ადგილი უკავია ჩინეთის სუპერკომპიუტერს „**Tianhe-2 – ირმის ნახტომი-2**“.

2016 წლის მონაცემებით ჩინეთში შეიქმნა სუპერკომპიუტერი, რომელიც მოცემულ მომენტში ჩვენს პლანეტაზე უმძაფრესი სუპერკომპიუტერია. მისი სახელწოდებაა **Sunway TaihuLight** [12]. სუპერკომპიუტერი „**Tianhe-2 – ირმის ნახტომი-2**“ შეიქმნა ჩინეთში, მაგრამ ის აღჭურვილი იყო **Intel**-ის პროცესორებით. ხოლო **Sunway TaihuLight**-ი კი აღჭურვილია ჩინეთში წარმოებული უახლესი კლასის ჩიპებით. ამიტომ ჩინელებს უფლება აქვთ იამაყონ თავიანთი სამამულო სუპერკომპიუტერით.

**სუპერკომპიუტერი - Sunway TaihuLight**-ის მწარმოებლობა - 93 პეტაფლოპსია, რაც ნიშნავს იმას, რომ მას შეუძლია წამში შეასრულოს 93 კვადრილიონი არითმეტიკული ოპერაცია. მას გააჩნია 10,65 მილიონი ბირთვი. მოიხმარს, თავის სიმძაფრესთან შედარებით, ნაკლებ ენერჯიას.



სუპერკომპიუტერი - Sunway TaihuLight

2006 წლის 10 ოქტომბერს ჩრდილოეთ კორეაში ჩატარებულმა ატომური ბომბის საცდელმა აფეთქებამ მსოფლიო საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია. ბირთვული იარაღის გამოცდამ, დაბადა კითხვა „ნუთუ არ შეიძლება ბირთვული აფეთქების გადატანა ვირტუალურ სინამდვილეში?“ სხვანაირად, რომ ვთქვათ, შესაძლებელია თუ არა ბირთვული აფეთქების სიმულაცია სუპერკომპიუტერების საშუალებით? გათვლებმა აჩვენეს, რომ 2006 წლის მონაცემებით ეს შეუძლებელი იყო. რაზეც აშშ-ს „**ლოურენს დივერსორის ეროვნული დაბორატორიის**“ კვლევითი ცენტრის თავმჯდომარემ **დონ ჯონს-ტონმა** განაცხადა, რომ „**ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ამ დონეს. რაც უფრო წინ მივიწვეით მით უფრო ვრწმუნდებით, რომ ბევრი რამ არ ვიცით**“.

სუპერკომპიუტერების შექმნისა და შექმნის ერთ-ერთი მიზანია კომპიუტერში ატომური აფეთქების მოდელირება, ანუ მისი გადატანა ვირტუალურ სინამდვილეში. დღემდე არც ერთ სუპერკომპიუტერს არ შეუძლია ატომური ბომბის აფეთქების მოდელირება. ამ უკანასკნელის მოდელირება კი კომპიუტერებში ფაქტურად დედამიწის გადარჩენის ტოლფასია. ატომური ბომბის გამოგონების ნუსხა 2006 წლის ოქტომბრამდე შემადრწუნებელია. ასე, მაგალითად, აშშ-მა გამოსცადა - 1030-ჯერ (ხიროსიმა და ნაგასაკის დაბომბვის ჩათვლის გარეშე), ყოფილა საბჭოთა კავშირმა - 715-ჯერ, საფრანგეთმა - 210-ჯერ, ბრიტანეთმა და ჩინეთმა - 45-ჯერ, ინდოეთმა - 3-ჯერ, პაკისტანმა - 2-ჯერ, ჩრდილოეთ კორეამ ერთხელ. სურ, დედამიწის სხვადსხვა წერტილში, განხორციელდა 2006 ატომური ბომბის აფეთქება. ადვილი წარმოსადგენია თუ რა ზიანი მივაყენეთ ადამიანებმა ჩვენს საერთო საცხოვრისს, ჩვენს ცისფერ პლანეტას იმის გამო, რომ დღემდე ვერ შევქმენით ისეთი კომპიუტერი, რომელმაც შესაძლებელი იქნებოდა ატომური ბომბის აფეთქების იმიტაციური მოდელირება.

მსოფლიოში ძალიან ბევრ კომპანიას სჭირდება სუპერკომპიუტერი. ასე, მაგალითად, კომპანია „ფორდის“ მონაცემებით **Crash-ტესტების** (შეჯახების

ტესტები) შესასრულებლად ბეტონის კედელზე აჯახებენ 10-დან 150-მდე ახალი ავტომობილების პროტოტიპებს საჭირო პარამეტრების ერთდროული გაზომვებით, ვიდეო-გადაღებებით და სხვა მონაცემების აღებით შემდგომი დამუშავებისათვის. ასეთი ცდების ჩატარება, ყოველი ახალი მოდელისათვის, კომპანია „ფორდს“ უჯდება 4-დან 60 მილიონ დოლარამდე. აღნიშნული ცდების მოდელირება სუპერკომპიუტერებზე კი ხარჯებს ერთიმესამედით შეამცირებდა.

სუპერკომპიუტერის ცნება ფარდობითია. 1970-იანი წლების სუპერკომპიუტერების შესაძლებლობებს ბევრად სჭარბობს დღევანდელი პერსონალური კომპიუტერების ტექნიკური მახასიათებლები.

ასე, მაგალითად, გემოთ აღნიშნულის მიხედვით თანამედროვე სუპერკომპიუტერების მწარმოებლურობა კვადრილიონ რამდენიმე კვადრილიონი ფლოპსია. ხოლო კომპიუტერული ტექნიკის ისტორიაში პირველი კომპიუტერის „ენიაკის“ მწარმოებლურობა 500 ფლოპსი იყო. მაგალითად, **iPhone 6**-ის მწარმოებლურობა 172 გიგაფლოპსია, ხოლო სათამაშო მინაფარის PS4-ის მწარმოებლურობა კი 1,84 ტერაფლოპსია [13].

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ მარტივი დასკვნა: საზოგადოების განვითარების გარკვეული ეტაპისათვის, სუპერკომპიუტერი არის გამოთვლითი მანქანა, რომელსაც გააჩნია არა მარტო მაქსიმალური მწარმოებლურობა, არამედ ოპერატიული და დისკური მეხსიერების მაქსიმალური მოცულობა, თავისი სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია აღნიშნული მონსტრის ეფექტური გამოყენება.

### 1.2.3. MAINFRAME – მეინფრეიმი

**მეინფრეიმი (MAINFRAME)** - ინგლისური სიტყვაა და გააჩნია ორი მნიშვნელობა:

**პირველი**, ეს არის, დიდი უნივერსალური ელექტრონული გამოთვლელი მანქანა, ანუ მაღალმწარმოებლური კომპიუტერი, მნიშვნელოვანი ოპერატიული და გარე მეხსიერებით, რომელიც განკუთვნილია, დიდი მოცულობის ინფორმაციის ცენტრალიზებული შენახვისა და ინტენსიური გამოთვლებისათვის.

**მეორე**, ეს არის, კომპიუტერი **IBM System/360**-ის, 370-ის, 390-ის, **zSeries**-ის არქიტექტურით.

მეინფრეიმების ძირითადი მწარმოებელია **IBM**-ი. მეინფრეიმების ისტორია იწყება 1964 წლიდან, როდესაც შეიქმნა უნივერსალური კომპიუტერი **IBM System / 360**, რომლის შემუშავებისთვის კორპორაცია **IBM**-მა დახარჯა 5

მიღიარდი დოდარი. 1960-ან წლებში და 1980-ანი წლების დასაწყისში **System/360**, დიდერი იყო მსოფლიოს კომპიუტერული ტექნოლოგიების ბაზარზე. **System / 360**-ის კლონებს უშვებდა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა.

მეინფრეიმი ერთ კორპუსად მზადდება. იგი კარადას მოგვავლნებს. მას უერთდება ტერმინალები, რომლებიც შედგება მონიტორისა და კლავიატურისაგან. ძირითადად, მეინფრეიმები გამოიყენება დიდი მოცულობის მონაცემთა ბაზების დასამუშავებლად. აგრეთვე გამოიყენება მსხვილ **Web** კვანძებში, სადაც მიმართვათა რაოდენობა დიდია.

**IBM**-ის მეინფრეიმებს იყენებს მსოფლიოს სულ მცირე 25000 ორგანიზაცია (კლონების ჩათვლის გარეშე). ბიზნეს-ინფორმაციის დაახლოებით 70% მეინფრეიმებში ინახება.

თანამედროვე მეინფრეიმებს გააჩნიათ მთელი რიგი მახასიათებლები. მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანი [14]:

1. უპრობლემო მუშაობის საშუალო ხანგრძლივობა 12-15 წელიწადია. მეინფრეიმები ყველაზე საიმედო კომპიუტერები არიან. ამიტომ მათი გამოყენება მიზანშეწონილია ყველაზე საპასუხისმგებლო შემთხვევებში.

3. სისტემების მაღალი მდგრადობა. რაც გულისხმობს აპარატურული და პროგრამული შეცდომების იზოლირებისა და შესწორების შესაძლებლობას, რომელიც განპირობებულია, ორი სარეზერვო პროცესორით, მეხსიერების სათადარიგო მიკროსქემებითა და პერიფერიულ მოწყობილობებში შეღწევის აღტერნატიული გზებით. აგრეთვე, ცენტრალური პროცესორის, მეხსიერების მიკროსქემების და სხვა მოდულების გენერალური შეცვლის შესაძლებლობით.

3. მეინფრეიმების სამუშაო დატვირთვამ, მათი პიკური მწარმოებლურობიდან გამომდინარე, შეიძლება შეადგინოს 80-95%-ი.

4. ინფორმაციის შეტან-გამოტანის ქვესისტემების გამტარუნარიანობა ისეა შემუშავებული, რომ მეინფრეიმს შეუძლია იმუშაოს შეტან-გამოტანის ბემაღალი დატვირთვის გარემოში.

5. მონაცემებთან შეღწევის დიდი სიჩქარე, რაც განპირობებულია იმით, რომ მონაცემები ინახება ერთ სერვერში და ამდენად გამოყენებით პროგრამებს არ სჭირდებათ სანყისი მონაცემების მოგროვება სხვადასხვა წყაროებიდან.

6. უსაფრთხოება, რაც განპირობებულია დაცვის ისეთი ჩაშენებული აპარატურით, როგორიცაა კრიპტოგრაფიული მოწყობილობები და **Logical Partition**-ი. აგრეთვე ოპერაციული სისტემების დაცვის საშუალებები, რომელთაც დამატებული აქვთ ისეთი პროგრამული პროდუქტები, როგორიცაა **RACF** ან **VM:SECURE**. ეს ყველაფერი ერთად უზრუნველყოფს სრულყოფილ ინფორმაციულ უსაფრთხოებას.

2008 წლის მაისის მონაცემებით **IBM**-მა წარმოადგინა ახალი თაობის მენიფრეიმი - **Sistem Z10**, რომლის სურათი მოყვანილია ქვემოთ [15].



მენიფრეიმი **Sistem Z10**

ამ კომპლექსის შემუშავებასა და გამოშვებას **IBM**-მა მოანდომა 5 წელი და დაახარჯა 1,5 მილიარდი დოლარი. მენიფრეიმი **Sistem Z10**-ი, თავის წინამორბედ **Sistem Z9**-თან შედარებით 50%-ით უფრო სწრაფია. **Sistem Z10**-ის აპარატურულ კომპლექსს შეუძლია ერთდროულად შეცვალოს ტრადიციული, **X86**-ის არქიტექტურით აგებული რამოდენიმე ასეული სერვერი. ამასთანავე, აღნიშნული სერვერი ელექტროენერჯისა და ფართის არსებით ეკონომიას იძლევა.

მენიფრეიმი **Sistem Z10**-ი აღჭურვილია 64 ცალი ოთხბირთვიანი პროცესორით. კომპლექსი ძირითადად ორიენტირებულია დიდი მოცულობის ინფორმაციის დასამუშავებლად, სამთავრობო და მსხვილ ორგანიზაციებში. მაგალითად, საბანკო-საფინანსო და სამეცნიერო-კვლევების სფეროში. მენიფრეიმი **Sistem Z10**-ი კომპიუტერის მინიმალური კონფიგურაციის ღირებულება 1 მილიონი დოლარი იყო.

2008 წელს კომპანია **IBM**-მა მიიღო გადაწყვეტილება უარი ეთქვა მცირე სერვერების გამოყენებაზე და ისინი შეეცვალა მენიფრეიმებით. რაც **IBM**-ს, ხუთი წლის განმავლობაში 250 მილიონი დოლარის ეკონომიას მისცემდა.

2015 წლის მონაცემებით კორპორაცია **IBM**-მა წარმოადგინა მენიფრეიმების ახალი ოჯახი - **IBM z Systems**, რომლის პირველი ვარიანტია - **IBM Z13**, რომლის სურათი მოყვანილია ქვემოთ [16].



**მეინფრეიმი IBM Z13**

**IBM Z13**-ი ერთ-ერთი უმძლავრესი სერვერია. **IBM**-ს **Z13**-ის შექმნისათვის დასჭირდა ხუთი წელიწადი და 1 მილიარდი აშშ დოლარი. **Z13**-ის აგებისას გამოყენებულია ინოვაციური ტექნოლოგიები და 500-ზე მეტი ახალი პატენტები. შედეგიც საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა. **IBM Z13**-ს დღეში შეუძლია დაამუშაოს 2,5 მილიარდი ტრანზაქცია. **IBM Z13**-ში ჩადებული ტექნოლოგიები დროის რეალურ რეჟიმში თაღლითობის შემთხვევების აღმოჩენის საშუალებას იძლევა.

დღეისათვის ოპერაციების უმეტესობა სრულდება მობილური მოწყობილობებიდან. ამიტომ მეინფრეიმი **IBM Z13**-ის უპირატესობა არა მხოლოდ თაღლითური ტრანზაქციების გამოვლენაშია, არამედ მის მწრმოებელ პროცესორშია. იგი ღია პლატფორმაა **Linux**-ისა და **OpenStack**-ის მხარდაჭერით.

კორპორაცია **IBM**-ი მეინფრეიმების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია.

დღეისათვის კორპორაცია **IBM**-ს წარმოდგენილი აქვს მეინფრეიმ **Z13**-ის ხუთი მოდელი: **2964-N30, N63, N96, NC9, NE1**.

#### **1.2.4. SERVER– სერვერი**

სერვერი (**SERVER**) - ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „მომსახურეს“. სიტყვა სერვერს გააჩნია შემდეგი მნიშვნელობები:

1. სერვერი, როგორც აპარატურული უზრუნველყოფა, გულისხმობს კომპიუტერს გაზრდილი საიმედოობითა და მწარმოებლურობით განსაზღვრული სამუშაოების შესასრულებლად.

3. სერვერი, როგორც დანართი, გულისხმობს კლიენტებისაგან შეკითხვების მიმღებ საშუალებას, რომელიც მუშაობს კლიენტ-სერვერის რეჟიმში.

3. სერვერი, როგორც პროგრამული უზრუნველყოფა, წარმოადგენს კვანძს, შექმნილს როგორც დოკაღური, ისე გლობალური ქსელის ფუნქციონირებისათვის საჭირო აპარატურული საშუალებების სამართავად.

სერვერის განსაზღვრება შეიძლება ჩამოვყადებოთ შემდეგნაირად.

სერვერი - არის კომპიუტერი (**ჰოსტ-კომპიუტერი**), რომელიც შეერთებულია ქსელში და ინფორმაციულ მომსახურებას უწევს სხვა კომპიუტერებს.

სერვერებს გააჩნიათ სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომლებიც სერვერს და კომპიუტერ-კლიენტს ინფორმაციის გაცვლის საშუალებას აძლევენ. ასეთ პროგრამებს „კლიენტის პროგრამებს“ უწოდებენ. ქსელთან შეერთებისას ისინი სხვადასხვა სერვერებს მიმართავენ თხოვნით, რათა მათ აღმოუჩინონ გარკვეული დახმარება. ამის მაგალითია თქვენი კომპიუტერის ვებბრაუზერი ფოსტის პროგრამის მუშაობა. ქსელთან შეერთებისას, იგი მიაწვდის მოთხოვნას, ანუ შეეკითხება თქვენი პროვაიდერის სერვერს, თქვენი მისამართით მოსული შეტყობინებების შესახებ.

სერვერულ კომპიუტერს შეუძლია ერთდროულად შეასრულოს რამოდენიმე პროგრამა. სერვერში შეიძლება ერთდროულად შემოვიდეს „კლიენტის პროგრამის“ უზარმაზარი რაოდენობა. დღეისათვის არსებობს სერვერების შემდეგი ტიპები: **Web-სერვერი; გამოთვლითი სერვერი; სათამაშო სერვერები; მედიასერვერი; საფოსტო სერვერი; პრინტ-სერვერი; პროქსი-სერვერი; მონაცემთა ბაზის სერვერი; კატალოგების სერვერი; დანართების სერვერი; ვაგშირგაბმულბობის სერვერი; ფაილური სერვერი; ფაქს-სერვერი.**

დღეისათვის მსოფლიოში გავრცელებულია ე. წ. **Blade-Server** - ბლეი-სერვერები და, შესაბამისად **Blade-ტექნოლოგია**. **Blade-ი** მათ უწოდებს სიბრტყელისა და სითხელის გამო. **Blade-ი** ინგლისურად „სამართებლის პირს“ ნიშნავს.

აღნიშნული სერვერების წარმოება დაიწყო 2000 წელს სამრეწველო კომპიუტერების მწარმოებელმა, ტაივანის ცნობილმა ფირმამ **Nexcom-მა** იაპონიის ტელესაკომუნიკაციო კორპორაციის საჭიროებისთვის.

ფირმა **Nexcom-ი** უშვებს ისეთ თანამედროვე სერვერებს, როგორიცაა **HiServer 318A, HiServer 416, HiServer 420A.**

ფირმა **Nexcom-ის** შემდეგ **Blade-სერვერების** წარმოება დაიწყო ისეთმა კომპანიებმა, როგორიცაა **HP, IBM, Sun Microsystems, Intel, RLX.**

2014 წლის 19 თებერვალი შეიძლება ჩაითვალოს შემობრუნების დღედ სერვერულ ინდუსტრიაში. ამ დღეს **Cisco-ს** პარტნიორმა კომპანიამ **Intel-მა** გამოუშვა ახალი პროცესორები - **Intel® Xeon® E7 v2**, რომლის ბაზაზეც **Cisco-მ** ააგო სამი ახალი სერვერი: **Cisco UCS C460 M4 Rack Server, B460 M4 Blade Server** და **B260 M4 Blade Server.**

ქვემოთ მოყვანილია Cisco-ს სერვერული პლატფორმა Cisco UCS (Unified Computing System - ერთიანი კომპიუტერული სისტემა) [17].



Cisco UCS C460 M4 Rack Server

Cisco-ს სერვერები უსაფრთხო, მაღალტუნქციონალური სისტემებია. ამიტომ კომპანია „Cisco Systems“, თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიებითა და საკუთარი გამოცდილებით, ღიღერია IT ტექნოლოგიების სფეროში.

Cisco-ს ინოვაციურ სერვერებს - Cisco Blade Servers (სერია „B“), რომლებიც აგებული არიან Intel Xeon-ის პროცესორების ბაზაზე გააჩნიათ:

- მაღალმწარმოებლურობა;
- ენერჯის ეკონომიური მოხმარება;
- მოქნილობა;
- მოხერხებული ადმინისტრირება.

### 1.2.5. Notebook – ნოუტბუქი

არსებობს გადასატანი პერსონალური კომპიუტერები, რომელთაც ინგლისურად (ინგლ. **Notebook**- ბლოკნოტი, პორტატული პერსონალური კომპიუტერი), „ნოუტბუქს“ ანუ ბლოკნოტურ კომპიუტერებს უწოდებენ. მათი ზომა იმდენად პატარაა, რომ პორტფელ-დიპლომატშიც ეტევა. ნოუტბუქის დისპლეი თხევადკრისტალურია. ნოუტბუქის კდავიატურა, მაგნიტოლოპტიკური მოწყობილობები (CD, DVD) და თავი სისტემურ ბლოკთანაა გაერთიანებული.

**ლეპტოპი** (ინგლ. **Laptop – Lap** - ღამჯღარი ადამიანის მუხდები, **top** - ბევით). ამ ტერმინს ხშირად გამოიყენებენ, როგორც ნოუტბუქებისთვის, ისე ნეტბუქებისთვის და სმარტბუქებისთვისაც.

**ნეტბუქი** (ინგლ. Netbook - net-ქსელი (ინტერნეტი), book-წიგნი) - სუბ-ნოუტბუქია. იგი ძირითადად განკუთვნილია ინტერნეტში გასასვლელად.

**სმარტბუქი** (ინგლ. **Smartbook** - მცირე ზომის ნოუტბუქია, რომელიც აგებულია იმ პლატფორმაზე, რომელიც გამოიყენება სმარტფონებისა და

ინტერნეტ-პდანიშეუტებისათვის). სმარტბუქებს გააჩნიათ კომპაქტური ზომები (ეკრანის დიაგონალი 10-13 დიუმი), ენერგოეკონომირები არიან და ღირებულებაც დაბალი აქვთ.

ქვემოთ განვიხილეთ ერთ-ერთი მძღავრი ნოუტბუქი **Toshiba Qosmio G40**-ი.



**Qosmio G40**-ი სამაგიდო-მუდტიმედიური მობილური კომპიუტერების ჟანრში ერთ-ერთი საუკეთესო ნოუტბუქია. მას გააჩნია შემდეგი მონაცემები:

- 17 დიუმიანი მონიტორი;
- სრული ზომის კლავიატურა;
- 2 ცალი 200 გიგაბაიტიანი მყარი დისკი;
- ორბირთვიანი პროცესორი - **Intel Core 2 Duo T7700**, 2,4 გიგა ჰერცი სიხშირით;
- 2 გიგაბაიტიანი ოპერატიული მეხსიერება;
- ვიდეობარათი **nVidia GeForce 8600M GT**, 512 მეგა ბაიტის ტევადობის;
- ეკრანის გარჩევადობა 1080p /1080i. რაც გულისხმობს იმას, რომ ტერმინალისა და ვიდეო ფორმატების ყურება შესაძლებელია **High Definition Video** ხარისხით;
- უსადენო კავშირისათვის გააჩნია: **InfraRed, Bluetooth** და **Wi-Fi**.
- 5 **USB** პორტი;
- **PC Card**-ის სდოტი დამატებითი მეხსიერების ბარათებისთვის;
- **ExpressCard**-ის სდოტი პერიფერიული მოწყობილობების შესაერთებლად;
- ციფრული ვიდეო ჩანერის (**FireWire**) სპეციალური პორტი;

ჩამოთვლილი შესაძლებლობები უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ **Toshiba Qosmio G40**-ი სხვასთან შედარებით არის სრულფასოვანი, ერთ-ერთი საუკეთესო ნოუთბუქი.

### 1.2.6. ფადმთოფი, ანუ ჭიბის კომპიუტერი

არსებობს ნოუთბუქზე უფრო პატარა კომპიუტერი - **Palmtop** - **ფადმთოფი** (ინგლისურად - **ხედის გულზე დადებუდი**, ანუ ე. წ. **Pocket PC** - **ჭიბის კომპიუტერი**).

ჭიბის კომპიუტერის პროგრამების ნაკრები მოიცავს: ოპერაციულ სისტემებს, ტექსტურ და გრაფიკულ პროცესორებს, მონაცემთა ბაზის მართვის სისტემებს, ედუქტორულ ცხრილებს, ინტერნეტ ბრუზერებს და სხვა.

ჰადმთოფს გააანჩია სენსორული ეკრანი, რომლის მართვა ხდება სპეციალური „ფანქრით“ ან თითებით. თანამედროვე ჭიბის კომპიუტერებს გააჩნიათ საკუთარი მძღაგრი ოპერაციული სისტემა.

ჭიბის კომპიუტერის საშუალებით შესაძლებელია: სწრაფად მოგძებნოთ საჭირო ინფორმაცია; **PowerPoint**-ში შევქმნათ საპრეზენტაციო მასაღა; დაგამუშაოთ დოკუმენტები; ჩავატაროთ სხვადასხვა მათემატიკური გათვლები; დავბეჭდოთ საბუთები; გავცვადოთ ინფორმაციები ედუქტორული ფოსტით; ტექსტი შევადგინოთ ხედით და ჩვენი **ხედნაწერის** ედუქტორული ვერსია გავუგზავნოთ კომპიუტერის მომხმარებლებს, ასევე მივიღოთ მათი **ხედნაწერები** და გარდავქმნათ საბეჭდ ვარიანტად; შეგვიძღია შევქმნათ და გადავგზავნოთ ან მივიღოთ დიაგრამები და ნახატები; თანამედროვე ჭიბის კომპიუტერით შეგვიძღია გავარჩიოთ ცუდი გარჩევადობის მქონე ტექსტები; ზოგიერთ ჭიბის კომპიუტერს ვი შეუძღია გააჩილოს ბვერითი ინფორმაცია; პროგრამები შეგვიძღია დავაყენოთ პირდაპირ ინტერნეტიდან; ვიმუშაოთ ისეთ რედაქტორებში, როგორიცაა **Word**-ი და **Excel**-ი; გამოვიყენოთ როგორც მობილური ინტერნეტ-კდიენტი, ან ედუქტორული ფოსტის კდიენტი, რაც გავგანთავისუფლებს ნოუთბუქის ტარებისაგან; ნებისმიერი ედუქტორული ბაზებიდან წავიკითხოთ ედუქტორული წიგნები და პერიოდული გამოცემები და სხვა.

ბუნებრივია იბადება კითხვა, აბა რა არ შეუძღია ჭიბის კომპიუტერს ნოუთბუქისა და მაგიდის პერსონალურ კომპიუტერთან შედარებით?

ჭიბის კომპიუტერს არ შეუძღია: მუსიკადური ფაიდისა და მაღალი ხარისხის გრაფიკული ინფორმაციის რედაქტირება; შეუძღებელია თანამედროვე ედუქტორული თამაშები და სხვა;

ზემოთქმულიდან გამომდინარე არ შეიძლება ჯიბის კომპიუტერი გავუტოლოთ ნოუთბუქს ან პერსონალურ კომპიუტერს. ესენი აბსოლუტურად განსხვავებული შესაძლებლობებისა და მოხმარების ედექტრონული მოწყობილობებია.

მოვიყვანოთ ჯიბის კომპიუტერის გამოყენების ერთ-ერთი მაგალითი. მომსახურების გამარტივების მიზნით, რაშიც იგულისხმება დროის ეკონომია, იგი პოპულარულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სარესტორნო ქსელებში. რესტორნის მიმტანი კლიენტების შეკვეთებს აფიქსირებს ჯიბის კომპიუტერში და შეკვეთის მიღების ადგილიდან ინფორმაციას პირდაპირ გადასცემს სამმართველოს. ამით ის აჩქარებს შეკვეთების მიღებას, რამდენადაც მას არ უწევს დარბაზსა და სამმართველოს შორის სირბილი.

საქმიანი ადამიანების ცხოვრებაში ჯიბის კომპიუტერი რევოლუციურად შემოიჭრა. მათ სწრაფად შეცვალეს ქაღალდი და ფანქარი. დღეისათვის კი, ისეთ ეპოქაში, სადაც „ყველაფერი დასწრებაშია“, საქმიანი ადამიანების ხელში ჯიბის კომპიუტერი წარმოადგენს აუცილებელ ინსტრუმენტს.

ჯიბის კომპიუტერის მწარმოებელი კომპანიებიდან შეგვიძლია გამოვყოთ: **Hewlett Packard, Fujitsu, Toshiba, NEC, Philips, Acer** და სხვა.



ფაღმთოფი, ანუ ჯიბის კომპიუტერი Acer N10

### 1.2.7. ედექტრონული წიგნი - E-book

ედექტრონული წიგნის (ინგლ. **digital book, e-book reader**) ზოგადი სახელწოდებაა ვიწრო სპეციალიზაციის კომპაქტური პლანშეტური კომპიუტერული მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილი არიან ედექტრონულად წარმოგენილი ტექსტური ინფორმაციის ასახვისათვის. ამ ჯგუფის კომპიუტერების ძირითადი განსხვავება სხვა მსგავსი მოწყობილობებისაგან ისაა, რომ ამათი ფუნქციონალური შესაძლებლობები შემზღუდულია.

როგორც წესი, თანამედროვე ელექტრონული წიგნების აგება ხდება ენერგოეფექტური, **ARM** არქიტექტურის, პრცესორების ბაზაზე (ინგლ. **ARM - Advanced RISC (Reduced instruction set computing** - გამოთვლა ბრძანებათა შემცირებული ნაკრებით) **Machine**).

ელექტრონული წიგნებს გააჩნიათ ავტონომიური მუშაობის დიდი შესაძლებლობა, რაც მიიღწევა „**ელექტრონული ქალაქის**“ ტექნოლოგიის გამოყენებით. ასეთი ტექნოლოგიით აგებული დისპლეი ასახავს მხოლოდ რუხი ფერის რამოდენიმე გრადაციას და ამასთანავე აირეკლავს სინათლეს (თვითონ არ ანათებს). ის ადვილი სადაც უნდა გამოიყენო ელექტრონული წიგნი განათებული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნს ვერ წაიკითხავ. ეს თვისება იცავს მომხმარებელს მხედველობის დაზიანებისაგან.

ელექტრონულ წიგნებს ჩვეულებრივ წიგნებთან შედარებით გააჩნიათ, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებიც.

#### **ელექტრონულ წიგნის დადებითი მხარეებია:**

- კომპაქტურობა;
- პორტატულობა;
- სიმსუბუქე ჩვეულებრივ წიგნთან შედარებით;
- შრიფტის პარამეტრების დაყენების შესაძლებლობა, რაც გამორიცხავს ოპტიკური სათვადეების გამოყენების აუცილებლობას;
- ტექსტში საჭირო ადგილებისა და ობიექტების ძებნისა და ჰიპერმომართვების შესაძლებლობა;
- გააჩნია მეტყველების სინთეზატორი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ტექსტის გახმოვანება;
- ანიმაციების გამოტანა ეკრანზე;
- ინტერნეტიდან სხვადასხვა მასალების (ტექსტის) ჩამოტვირთვა;
- ეკოლოგიურობა. არ იხარჭება ქალაქი (დედამიწაზე ხე-ტყის საფარის შენარჩუნება).

#### **ელექტრონულ წიგნის უარყოფითი მხარეებია:**

- კითხვის შედარებით დაბალი სიჩქარე (10%-ით ნაკლები);
- მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მხარეებისა იგი მაინც უარყოფითად მოქმედებს მხედველობაზე;
- მიუხედავად მოწყობილობის ენერგოეფექტურობისა მას პერიოდულად დამუხტვა მაინც სჭირდება;
- მაღალი სანყისი ღირებულება.



### 1.2.8. პერსონალური კომპიუტერი

პერსონალური კომპიუტერი (პ/კ) შედგება: კლავიატურისაგან, თაგვისაგან, მონიტორისაგან და სისტემური ბლოკისაგან. კომპიუტერს შეიძლება მიუერთდეს დამატებითი მოწყობილობები, რომელთაც პერიფერიულ მოწყობილობებს უწოდებენ. ასეთია: პრინტერი, ჯოისტიკი, სკანერი, მუსიკალური მინადგარი, დაზერული დისკების სისტემა, მოდემი, პლოტერი, დიჯიტალიზირი, ციფრული ფოტოკამერა, შუქკადამი და სხვ. განვიხილოთ თითოეული ცად-ცადკვე:



#### 1.2.8.1. კლავიატურა

**კლავიატურა** განკუთვნილია კომპიუტერში, როგორც ციფრული, ასევე ტექსტური ინფორმაციის შესატანად. აგრეთვე კომპიუტერის სამართავად, რომელსაც უზრუნველყოფს კლავიატურაზე განლაგებული ფუნქციური ლიდაკები.

სურათზე მოცემულია **Windows**-თან სამუშაო კლავიატურები:



კომპიუტერის კლავიატურას გააჩნია ადფავიტურ-ციფრული ღიდაკები, რომლებიც განკუთვნილია კომპიუტერში ციფრების, ასოებისა და სტანდარტული სიმბოლოების შესატანად. თითოეულ ადფავიტურ-ციფრულ ღიდაკს გააჩნია ორი რეგისტრი, ე. ი. ყოველი ღიდაკის საშუალებით კომპიუტერის მეხსიერებაში შევვიძლია შევიტანოთ ორი სიმბოლო. ჩვეულებრივ მდგომარეობაში მოქმედებს ქვედა რეგისტრი.

### 1.2.8.2. მანიპულატორი თაგვი

თავიდან კომპიუტერში ინფორმაციის შეტანა და კომპიუტერის მართვა ხორციელდებოდა კლავიატურით. 1970 წელს სტენფორდის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა დუგლას ენჯებერტმა მიიღო პატენტი მანიპულატორზე, რომელსაც ერქვა “X-Y პოზიციის ინდიკატორი”. მისი გარეგნული ფორმის გამო შემდგომში დაერქვა “თაგვი”. არსებობს თაგვის მრავალი სახეობა. ქვემოთ მოყვანილია თანამედროვე მანიპულატორების სახეობები. პირველი უსადენო, მეორე კი კანაღური კომპანია **DeanMark-ის AirMouse**.

„AirMouse“ ხელთათმანის მსგავსად უნდა ჩაიცვათ. თაგვი მაჭასა და ორ თითზე მაგრდება. უკაბელო მონწყობილობა მოძრაობის ალსაქმედად დაზერს იყენებს და დამუხტვის გარეშე მუშაობა ერთი კვირის განმავლობაში შეუძლია. AirMouse სინქარესა და კურსორის მართვის სიზუსტეს აუმჯობესებს. ის მხოლოდ იმ შემთხვევაში მუშაობს, როდესაც ხელი თაგვის მართვისთვის დამახასიათებელ განსაზღვრულ მდგომარეობას იღებს.



### 1.2.8.3. მონიტორები

მონიტორი განკუთვნილია კომპიუტერში არსებული ინფორმაციის აღსაქმევად. ძირითადად არსებობს მონიტორის შემდეგი სახეები: ედექტრონულ-სხივური, თხევად-კრისტალური და პლამზური.

**ედექტრონულ-სხივური მონიტორები.** ედექტრონულ-სხივური მონიტორები წარმოადგენენ ედექტრონულ-სხივურ მილაკს ანუ კინესკოპს. ედექტრონულ-სხივურ მილაკში მოთავსებულია ედექტრონული პოლუქტორი, რომლის მიერ გამოტყორცნილი ედექტრონები, სპეციალური მაგნიტური ამჩქარებლებისა და მიმმართველების მეშვეობით, დიდი სიჩქარით ეჭახებიან მილაკის ღუმინაფორს (ღუმინაფორი - ეს არის სპეციალური ფოსფოროვანი ფენა, რომელიც წასმულია მონიტორის ეკრანზე შიგნიდან), რომელიც იწვევს ეკრანის ნათებას და, შესაბამისად, კომპიუტერის მუხსიერებაში არსებული ინფორმაციის გამოტანა ეკრანზე. ედექტრონულ-სხივური მონიტორის სურათი მოყვანილია ქვემოთ.



ფერადი მონიტორების ეკრანი დაფარულია სამი (წითელი, მწვანე, ღურჯი) ფერის ღუმინაფორით. მათი სხვადასხვა ინტენსივობით ეკრანზე მიიღება მიღიონობით ფერი.

#### **თხევად-კრისტალური მონიტორები - LCD (ინგლ. Liquid Crystal Display).**

თხევად-კრისტალურ მონიტორებში, ედექტრონულ-სხივური მონიტორებისაგან განსხვავებით, ედექტრონებით დაბომბვა არ ხდება. თხევად-კრისტალური ეკრანი - ეს არის მონიტორის ეკრანზე მკაცრი სიზუსტით, ერთიმეორის გვერდით განლაგებულია ათასობით მიკროსკოპული კოდოფები, ანუ მონიტორის ეკრანის პიქსელები. თითოეული მათგანი შედგება შუშის ორი ფინფიტისაგან, რომელთა შორის მოთავსებულია (“ასხია”) სპეციალური სითხე -

თხევადი კრისტალი, ხოლო მათ უკან განლაგებულია მნათი პანელი. ათასობით გამჭვირვად ელექტროგამტარები, ინდივიდუალურად მართავენ კოდოფში მოთავსებული სითხის მოლეკულებს - გაატარებენ ან არ გაატარებენ სინათლეს უზღარიზებულ ფენაში. მთელი ეს კონსტრუქცია ბრტყელია, რაც განაპირობებს მის თანამედროვე დიზაინსა და კომპაქტურობას.



თხევადი კრისტალი - ეს არის ნივთიერება, რომელსაც ერთდროულად გააჩნია სითხის თვისება - დენადობა და კრისტალის თვისება - ანიზოტროპია (ბერძნ. ანისოს – არათანაბარი და ტროპოს - მიმართულება), არაერთგვაროვნობა. სტრუქტურით თხევადი კრისტალები ყველს მოგვაგონებენ, რომლებიც შედგებიან ჩხირების, ანუ ცილინდრის მაგვარი მოლეკულებისაგან. აღნიშნული მოლეკულები, არქიმედეს კანონის შესაბამისად, ცურავენ სითხეში, ანუ ისინი სითხეში არც იძირებიან და არც ტივტივებენ ზედაპირზე, არამედ მთელ სითხეში განსაზღვრული წესით არიან განლაგებული. თხევადი კრისტალის მთავარი თვისება ისაა, რომ ელექტრული ველის მოდებისას მოლეკულები იცვლიან ორიენტაციას. სწორედ ეს თვისება დაედო საფუძვლად თხევად-კრისტალური მონიტორების (დისპლეების) შექმნას.

თხევადი კრისტალები აღმოაჩინა ავსტრიელმა ბოტანიკოსმა ფ. რეინიტცერმა 1888 წელს. მან შეამჩნია, რომ ხოლესტერიდენზოატისა და ხოლესტერიდაცეტატის კრისტალებს გააჩნიათ დნობის ორი წერტილი და შესაბამისად ორგვარი თხევადი მდგომარეობა - მღვრიე და გამჭვირვადე. თუმცა ეს აღმოჩენა მეცნიერებმა დიდხანს არ აღიარეს. რამდენადაც თხევადი კრისტალის არსებობა არღვევდა მანამდე არსებულ თეორიას ნივთიერების სამი (მყარი, თხევადი და აირადი) მდგომარეობის შესახებ. სტრასტბურგის უნივერსიტეტის მეცნიერმა ოტო დემონმა თავის წიგნში თხევადი კრისტალები, დაასაბუთა ამ აღმოჩენის უდიდესი მნიშვნელობა, მაგრამ თხევადი კრისტალები, გარკვეული პერიოდი, მაინც თეორიად დარჩა.

1963 წელს ამერიკელმა მეცნიერმა ჯეიმს ფერგასონმა გამოიყენა თხევადი კრისტალების მნიშვნელოვანი თვისება. ისინი ტემპერატურის ზემოქმედებით იცვდიდნენ ფერს, რაზეც ჯ. ფერგანსონმა მიიღო აშშ-ს პატენტი **#3114836**. ამან კი მსოფლიოს მეცნიერებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

თხევად-კრისტალურ ფერად მონიტორებში თითოეული პიქსელი შედგება სამი კოლოფისაგან, სამი ფერისაგან: წითელი, მწვანე და ღურჯისაგან. ამ ფერების სხვადასხვა ინტენსივობით მიიღება მილიონობით ფერი.

თხევად-კრისტალური მონიტორების ერთ-ერთი უარყოფითი მხარეა ის, რომ მხედველობის კუთხე შეზღუდულია, ანუ თუ გვერდიდან შევხედავთ ეკრანს გამოსახულებას მკაფიოდ ვერ დავინახავთ. სამაგიეროდ დადებითი ისა, რომ მას ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნებელი გამოსხივება არ გააჩნია.

**პლამური მონიტორები - PDP (Plasma Display Panel).** გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოჩნდა 15 სანტიმეტრამდე სისქის ბრტყელ-ეკრანიანი პლამური მონიტორები (დისპლეები), რომლებიც თხევად-კრისტალურ მონიტორებთან შედარებით ზომით უფრო დიდები იყვნენ. ეს სიდიდე გამოწვეული იყო არა იმით, რომ პლამური ტექნოლოგია იძლეოდა დიდეკრანიანი მონიტორების აგების საშუალებას, არამედ მათი აგების კონსტრუქციული სირთულით, ანუ პლამური მონიტორების დამზადება მინიატურულ ზომებში, დღეისათვის, პრაქტიკულად შეუძლებელია.

როგორც თხევად-კრისტალური მონიტორების, ასევე პლამური მონიტორების ეკრანები შედგებიან ცადკვერი უჭრელებისაგან. ეკრანის თითოეული პიქსელი, როგორც პირველში, ასევე მეორეშიც შედგება სამი (წითელი, მწვანე, ღურჯი) უჭრისაგან. თითოეული უჭრა კი წარმოადგენს მიკროსკოპულ ფლუოროსცენტურ მიღავს. პიქსელის სამივე უჭრის სხვადასხვა ინტენსივობით კი იქმნება მილიონობით ფერი ეკრანზე. თხევადკრისტალური და პლამური მონიტორები ვიზუალურად ერთმანეთს ჰგვანან. ქვემოთ მოყვანილია პლამური მონიტორის სურათი.



პლამურ მონიტორებში ძირითადად გამოიყენება აირები ნეონი და ქსენონი. როგორც თხევად-კრისტალური მონიტორები, ისე პლამურებიც კონს-

ტრუქციური თვადსაზრისით რთულია. რამდენადაც მიკროსკოპულ პიქსელში, რომელიც თავის მხრივ შედგება სამი სუბპიქსელისაგან, განთავსებულ უნდა იქნეს ედემენტთა დიდი რაოდენობა.

მოვიყვანოთ ზემოთ აღწერილი მონიტორების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

**ედექტრონულ-სხივური მონიტორების დადებითი მხარეა:** გამოსახულების უმაღლესი ხარისხი, აგების სიმარტივე და სიიაფე. ხოლო უარყოფითი მხარეებია: დიდი მოცულობა და გამოსხივება, რომელსაც სერიოზული ზიანი შეუძლია მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას. გამოსხივებისაგან თავდაცვის მიზნით საჭიროა დაცულ იქნას დისტანცია 60-70 სმ, მონიტორისა და ოპერატორს შორის. აგრეთვე ხშირად განიავდეს ოთახი.

**თხევად-კრისტალური მონიტორების დადებითი მხარეა:** არ გააჩნია ჯანმრთელობისთვის მავნებელი გამოსხივება, შესაძლებელია დამზადდეს მინიატურულ ზომებში და კომპაქტურია. ხოლო უარყოფითი მხარეებია: ედექტრონულ-სხივური მონიტორთან შედარებით გამოსახულების ხარისხი დაბალია, დამზადების მხრივ რთულია და გააჩნია მაღალი ღირებულება.


**პლამური მონიტორების დადებითი მხარეა:** დიდ ბრტყელ მონიტორებს შორის, მსოფლიოში პლამა ჯერ-ჯერობით დიდურია. თხევად-კრისტალურ მონიტორებთან შედარებით პლამური მონიტორის ეკრანის 1 სმ<sup>2</sup>-ის ღირებულება 25%-ით დაბალია. კონტრასტულობა და ფერთა მონაცემები პლამას ბევრად მაღალი აქვს თხევად-კრისტალურზე. პლამა მუშაობს პირდაპირი გამოსხივების პრინციპით და ამიტომ გამოსახულებაც მკაფიოა. თხევად-კრისტალური მონიტორი არაფერს არ ასხივებს. იგი მხოლოდ მოედუდაციას უკეთებს ნათურის სინათლეს, რომელიც განდაგებულია ეკრანის უკანა მხარეს. ამიტომაც კონტრასტულობა შედარებით დაბალი აქვს. სამაგიეროდ თხევად-კრისტალურ მონიტორებში გამოსახულება შედარებით „რბილი“, სასიამოვნოა, თვადს ნაკლებად ღდის, განსაკუთრებით დაბალი განათების გარემოში. ხოლო რაც შეეხება ფერთა სიმრავლეს პლამა და თხევად-კრისტალური ერთმანეთისგან თითქმის არ განსხვავდება. ხედვის არე თხევად-კრისტალურის - 170 გრადუსია, ხოლო პლამისა - 178 გრადუსი.

**პლამური მონიტორის უარყოფითი მხარეა.** თხევად-კრისტალურთან შედარებით პლამა თითქმის ორჯერ მეტ ედექტრონენერგიას ხარჯავს. პლამაში ედექტრონენერგიის ხარჯავაზე უფრო მისი გაცვივების პრობლემა დგას. ამიტომ მას გააჩნია სპეციალური ვენტილატორები, რომლებიც დამატებით ხმაურს იწვევენ. შემდეგი უარყოფითი მხარე პლამისა ისაა, რომ მუშაობის ხანგრძლივობა 40-50 ათასი საათია, ხოლო თხევად-კრისტალურისა - 80 ათას

საათზე მეტი. გარდა ზემოთხსენებულისა, თხევად-კრისტალურთან შედარებით, პლამმა თვადისთვის უვნებელი არაა.

#### 1.2.8.4. დედა პლათა

**Mother Board** (დედა პლათა). სისტემური ბლოკის ძირითად ელემენტს წარმოადგენს სისტემური პლათა ანუ **Mother Board** (დედა პლათა), რომლის ერთ-ერთი ვარიანტი მოცემულია სურათზე.



სისტემურ პლათაზე განლაგებულია:

- პროცესორი;
- ბუდეები ოპერატიული მეხსიერების პლათებისათვის;
- სწრაფი მეხსიერების მიკროსქემები;
- შეტან-გამოტანის საბაზო სისტემის (**BIOS**) მიკროსქემები;
- დამატებითი ბუდეები კომპიუტერის შესაძლებლობების გასაფართოებლად.

განვიხილოთ თითოეული ცად-ცადვე.

### 1.2.8.5. პროცესორი

პროცესორი - ეს არის მიკროსქემა ანუ ინტეგრალური სქემა, რომელიც განკუთვნილია ყველა სახის (არითმეტიკული, ლოგიკური, მართვის) ოპერაციის ჩასატარებლად. პროცესორების ძირითადი მახასიათებელია მათი თანრიგთა რაოდენობა და ტაქტური სიხშირე.

**პროცესორის თანრიგობრიობა.** პროცესორს გააჩნია რეგისტრები, რომლებსაც შიდა მუხისიერებასაც უწოდებენ. რეგისტრებში პროცესორი მონაცემებს ინახავს. დროის გარკვეულ მონაკვეთში კომპიუტერს შეუძლია ოპერირება ინფორმაციის განსაზღვრულ რაოდენობაზე, რაც დამოკიდებულია შიდა რეგისტრების თანრიგობრიობაზე. თანრიგი - ეს არის ინფორმაციის ერთეული (ერთი ბიტი ინფორმაცია, 0 ან 1). თუ კომპიუტერს შეუძლია დროის ერთეულში დაამუშაოს ინფორმაციის 8 თანრიგი, მაშინ რეგისტრი და, შესაბამისად, პროცესორი 8 თანრიგაა, თუ - 32 თანრიგი, მაშინ პროცესორი 32 თანრიგაა და ა.შ.

**პროცესორის ტაქტური სიხშირე.** ტაქტურ სიხშირეს, ხშირად, პროცესორის, და შესაბამისად, კომპიუტერის სიჩქარეს უწოდებენ. **სიხშირე** - ეს არის წამში შესრულებულ რხევათა რაოდენობა, ხოლო ტაქტური სიხშირე - ტაქტების რაოდენობა წამში. პროცესორთან მიმართებაში კი ტაქტური სიხშირე, ეს არის, პროცესორის მიერ ერთ წამში შესრულებული ოპერაციების რაოდენობა. რაც უფრო მეტია პროცესორის ტაქტური სიხშირე, მით მეტია პროცესორის და, შესაბამისად, კომპიუტერის სიჩქარე. მაგალითად, კომპიუტერი, რომლის ტაქტური სიხშირეა 3.5 გიგაჰერცი წამში ასრულებს 3 მილიარდ 500 მლნ ოპერაციას. ტაქტური სიხშირე ორი სახისაა: შიდა და გარე. შიდა ტაქტური სიხშირე ის სიხშირეა, რომლითაც მიმდინარეობს მუშაობა პროცესორის შიგნით, ხოლო გარე ტაქტური სიხშირით ხდება მონაცემთა გაცვლა პროცესორსა და კომპიუტერის ოპერატიულ მუხისიერებას შორის.

პერსონალური კომპიუტერებისათვის პროცესორების მწარმოებელ ფირმებს შორის მსოფლიო დიდერია ფირმა **INTEL**-ი. ფირმა **INTEL**-ის დიდებობა გარკვეულწილად განაპირობა კომპიუტერების მწარმოებელი ფირმა **IBM**-ის მიერ **INTEL**-ის პროცესორების გამოყენებამ.


ბოლო პერიოდში პროცესორების ტაქტური სიხშირის გაზრდა უფრო და უფრო ძნელი გახდა, რამეთუ პროცესორში ტაქტური სიხშირის გაზრდის შესაბამისად იზრდება ტრანზისტორების, გამტარებისა და სქემოტექნიკის სხვა ელემენტების რაოდენობა. ეს უკანასკნელი იწვევს გამოყოფილი სითბოს რაოდენობის ზრდას. პროცესორის გაცხვება სქემოტექნიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ტემპერატურული ბაღანის დარღვევა კი უარყოფითად მოქმედებს

პროცესორის მუშაობაზე. მეცნიერების წინაშე დაისვა სერიოზული ამოცანა, შეექმნათ ისეთი ახალი ტექნოლოგია, რომელიც პროცესორის ტაქტური სიხშირის ამაღლების გარეშე გაზრდიდა კომპიუტერის მწარმოებლურობას. მეცნიერებმა აღნიშნული პრობლემა გადაწყვიტეს პროცესორში ბირთვების რაოდენობის გაზრდით.

რას ნიშნავს პროცესორის მრავალბირთვიანობა? მაგალითად, რას გულისხმობს ორბირთვიანი პროცესორი? ორბირთვიანი (**Dual Core** - ორი გული, ორი ბირთვი) პროცესორი - ეს არის ერთ „ჩიპში“, ანუ ერთ მიკროსქემაში გაერთიანებული ორი პროცესორი.

ერთბირთვიანისგან განსხვავებით ორბირთვიან პროცესორს შეუძლია იმუშაოს მრავალნაკადიან ინფორმაციასთან. მისი ოპერაციული სისტემა პროგრამულ ნაკადებს უნაწილებს თითოეულ ბირთვს ცალ-ცალკე. რაც თავის მხრივ ზრდის პროცესორის მწარმოებლურობას ტაქტური სიხშირის გაზრდის გარეშე.

სურათზე მოყვანილია **AMD**-სა **INTEL**-ის ორბირთვიანი პროცესორები.



### 1.2.8.6. ოპერატიული მეხსიერება

კომპიუტერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ოპერატიული მეხსიერების **RAM**-ის (**RAM-Random Access Memory** - მეხსიერება თავისუფალი შეღწევით) მოცულობა.



ოპერატიული მეხსიერება განკუთვნილია იმ მონაცემების შესანახად, რომლებიც მონაწილეობენ უშუალოდ ოპერაციის შესრულების პროცესში. ოპერატიული მეხსიერებაში ინახება სანყისი მონაცემები, პროგრამა და შედეგიც მანამ, სანამ არ დაიწყება ახალი პროგრამის შესრულება, ან არ გამოირთვება კომპიუტერი. კომპიუტერის გამორთვისას ოპერატიული მეხსიერებაში მოთავსებული მონაცემები მთლიანად იშლება.

კომპიუტერის სინქარე დიდადაა დამოკიდებული ოპერატიული მეხსიერების მოცულობაზე - რაც მეტია ოპერატიული მეხსიერება, მით უფრო სწრაფად მუშაობს კომპიუტერი.

### 1.2.8.7. ვინჩესტერი

მყარი დისკი განკუთვნილია ინფორმაციის (ოპერაციული სისტემების პროგრამების, პროგრამათა პაკეტების და სხვადასხვა სახის მონაცემების) მუდმივად შესანახად. მყარი დისკი მაგნიტური დისკია, რომელიც დამონტაჟებულია სისტემურ ბლოკში. გარეგნულად, მყარი დისკი წარმოადგენს პერმეტულად დახურულ მეტადის ყუთს, რომლის შიგნით მოთავსებულია: ერთ ღერძზე დამაგრებული რამდენიმე მაგნიტური დისკი, წაკითხვისა და ჩანერის მაგნიტური თავაკები, მაგნიტური დისკების ამძრავი და თავაკების გადამაადგილებელი მოწყობილობა. მაგნიტურ დისკებზე ჩანერა ხდება ორივე მხარეს. მყარი დისკის მოცულობა სავსაოდ დიდია და იზომება გიგა ბაიტებში.

ვინჩესტერი არსებობს შიდა და გარე, რომელთა სურათები მოყვანილია ქვემოთ.




უკანასკნელ პერიოდში მყარი დისკების ტევადობა სავსაოდ გაიზარდა.

### 1.2.8.8. ინფორმაციის შეტანა-გამოტანის საბაზო სისტემა - BIOS

შეტანა-გამოტანის საბაზო სისტემა **BIOS (Basic Input Output System - შეტანა-გამოტანის ძირითადი სისტემა)** განკუთვნილია კომპიუტერის მუშა-

ობის დასაწყებად. **BIOS**-ი არის პროგრამათა ნაკრები, რომელიც ტესტირებას უკეთებს კომპიუტერის ელემენტებს და მთლიანად ამოწმებს კომპიუტერის მდგომარეობას. იგი შეამავადს წარმოადგენს დისკურ ოპერაციულ სისტემასა (**DOS**) და აპარატურას შორის. კომპიუტერში **BIOS**-ი წარმოდგენილია ცადვეული მიკროსქემების სახით.



**BIOS**-ი ამოწმებს დედა პლათას, ვიდეო ადაპტერს, კლავიატურას, ინფორმაციის შეტანა-გამოტანის პორტებისა და დისკების კონტროლერებს და სხვ.

### 1.2.8.9. კვების ბლოკი და კომპიუტერის უწყვეტი ელექტროკვების სისტემები

კვების ბლოკი მოთავსებულია სისტემურ ბლოკში. იგი უზრუნველყოფს კომპიუტერის ცადვეული ელემენტების კვებას შესაბამისი ძაბვისა და ამპერაჟის მქონე ელექტრული დენით.



უწყვეტი ელექტროკვების სისტემები განკუთვნილია კომპიუტერის, ტელე-საკომუნიკაციო მოწყობილობების, კავშირგაბმულობის აპარატურის და სხვა მომხმარებლების დასაზღვევად ელექტროენერგიის ავარიული შეწყვეტის შემთხვევებისაგან. ამიტომ აღნიშნული მოწყობილობა ჩართულია ელექტროქსელსა და კომპიუტერს შორის.

უწყვეტი კვების ბლოკის შიგნით განლაგებულია ცვლადი დენის გამმართველი და მართვისა და კონტროლის მიკროპროცესორული ბლოკი.

უწყვეტი კვების ბლოკის შესასვლელში შედის 220 ვოლტი ძაბვა, ხოლო გამოსასვლელიდან გამოდის მასთან შეერთებული მოწყობილობისათვის საჭირო ძაბვა.

#### 1.2.8.10. ვიდეოპლატა

ვიდეოპლატა ანუ ვიდეოადაპტერი - არის ელექტრონული პლატა, რომელზეც მიერთებულია მონიტორი და ამუშავებს ვიდეო სიგნალებს (ტექსტს და გრაფიკას) და მართავს დისპლეის (ეკრანის) მუშაობას. იგი შეიცავს ვიდეომეხსიერებას, შეტანა-გამოტანის რეგისტრებს და BIOS-ის მოდულს. ვიდეოადაპტერებს გააჩნიათ მუშაობის ორი რეჟიმი: ადფაგიტურ-ციფრული და გრაფიკული. ვიდეოადაპტერი, ძირითადად, შესრულებულია ცადვე პლატის სახით. აგრეთვე შეიძლება დედა პლატასთან იყოს ინტეგრირებული. ყველაზე გავრცელებული ვიდეოადაპტერია **SVGA (Super Video Grafphics)**.



#### 1.2.8.11. მოდემი - MODEM

სიტყვა „მოდემი“ წარმოადგენს მოდულიატორ-დემოდულიატორის აბრევიატურას. მოდემი განკუთვნილია კომპიუტერის დასაკავშირებლად გლობალურ კომპიუტერულ ქსელში - **ინტერნეტში** ან ღოკალურ კომპიუტერულ ქსელში **ინტრანეტში**. მოდემი ანალოგურ ტელეფონურ სიგნალს გარდაქმნის ციფრულ კომპიუტერულ სიგნალებად და პირიქით, ციფრულ სიგნალებს ანალოგურ სატელეფონო სიგნალებად. მოდემის ძირითადი მახასიათებელია მონაცემთა გადაცემის სიჩქარე. დღეისათვის არსებობს მოდემები, რომელთა სიჩქარეა 33600 ბიტი წამში და 56000 ბიტი წამში. კონსტრუქციულად მოდემი ორი სახისაა: შიდა და გარეთა. შიდა მოდემი მაგრდება სისტემური პლატის გაფართოების ბუდეებში,

ხოლო გარეთა მოდემი უერთდება კომპიუტერის რომელიმე პორტს. ქვემოთ მოყვანილია შიდა და გარე მოდემების ვარიანტები.



## 1.2.9. კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობები

### 1.2.9.1. პრინტერები

პრინტერი განკუთვნილია კომპიუტერის მეხსიერებაში არსებული ინფორმაციის გამოსატანად ქაღალდზე. თანამედროვე პრინტერებს შეუძლიათ დაბეჭდონ ნებისმიერი სახის (ტექსტი, გრაფიკები, სურათები, ცხრილები) ინფორმაცია. არსებობს მატრიცული, ჭავლური, ლაზერული და ფოტოდიოდური პრინტერები.

**მატრიცული პრინტერები.** ამ პრინტერებს ნემსებიან პრინტერებსაც უწოდებენ. მათი საბეჭდი თავაკი შედგება ნემსებისაგან, რომელთა საშუალებით კომპიუტერიდან მიღებული იმპულსებით ხდება სიმბოლოს ფორმირება. პრინტერის საბეჭდ თავაკსა და ქაღალდს შორის მოთავსებულია სპეციალური ქსოვილისაგან დამზადებული მღებავი ფირი. სიმბოლოს ფორმირების შემდეგ საბეჭდი თავაკი ურტყამს ქაღალდს რომელმაც აღიბეჭდება სიმბოლო. არსებობს 9, 18 და 24 ნემსიანი მატრიცული პრინტერები.



**ჭავლური პრინტერები.** ასეთი პრინტერები, ძირითადად, ფერადი ბეჭდვისათვის გამოიყენება. ბეჭდვის პროცესი ჭავლურ პრინტერზე საკმაოდ რთული და საინტერესოა. ამ პრინტერებზე გამოსახულება აიგება სპეციალური მედნის მიკროსკოპული წვეთებით, რომლებიც დიდი სიჩქარით გამოიტყორცნებიან უწვრილესი ნახვრეტებიდან. მედნის წვეთების გამოსაგდებად

გამოიყენება პიეზოკრისტალური ელემენტები. თუ პიეზოკრისტალის გვერდებზე მოვდებთ ძაბვას, მაშინ ის შეიკუმშება ან გაფართოვდება. საბეჭდო თავაკვზე პიეზოელემენტებს აყენებენ ისეთნაირად, რომ ისინი ძაბვის მოდებისას ფართოვდებიან იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც უნდა გამოფრინდეს მედნის წვეთი. ელვისათვის არსებობს ჭავდური პრინტერები, რომელთა ბეჭდვის ხარისხი საკმაოდ მაღალია - 300-1200 წერტილი დიუმზე (1 დიუმი = 2,54 სმ).



**ღაზერული პრინტერები.** ბეჭდვისას ღაზერულ პრინტერებში გამოიყენება კომპიუტერთან მართვადი ღაზერული სხივი. ღაზერულ პრინტერს გააჩნია დიდგი, რომლის ზედაპირი დაფარულია ნახევარგამტარული ნივთიერებით. დიდგის ზედაპირი იმუხტება ღაზერის სხივის მოხვედრისას. ღაზერის სხივი კი სპეციალური გარდამტეხი სარკის საშუალებით მიიმართება დიდგის იმ ადგილას, სადაც უნდა იჭდეს გამოსახულება. სხივის მოხვედრისას დიდგის წერტილები იმუხტება დადებითად. დამუხტული წერტილები კი მიიზიდავენ მშრალი საღებავის (ძირითადად გრაფიტის) უწყვიდეს ნაწილაკებს, რომელიც მოთავსებულია დიდგის ქვეშ განლაგებულ კონტეინერში. ამის შემდეგ დიდგზე გატარდება სუფთა ქაღალდი, რომელზეც გადა-დის საღებავი. ქაღალდზე გადასული საღებავი რომ არ წაიშალოს, ქაღალდი გაივლის სპეციალურ გამხურებელ ელემენტს (ლუმენს), სადაც ხდება საღებავის გამოცხობა ანუ მისი გამაგრება ქაღალდზე.

არსებობს როგორც შავთეთრი, ასევე ფერადი ღაზერული პრინტერები. მათი ბეჭდვის ხარისხი ხშირ შემთხვევაში ტიპოგრაფიულ ბეჭდვაზე უფრო მაღალია. ღაზერულ პრინტერებს შე-უძლიათ 1 დიუმზე დასვან 1200-მდე წერტილი.



**ფოტოდიოდური პრინტერები.** ფოტოდიოდურ პრინტერებს დაზერუდისაგან განსხვავებით გააჩნიათ ხაზი, რომელმედაც დატანებულია დიდი რაოდენობის ფოტოდიოდები. მათი სინათლე იწვევს ნახევარგამტარული დოლის დამუხტვას. დოლის დამუხტულ წერტილებზე კი ევრობა საღებავის უწვრიდესი ნაწილაკები. ამის შემდეგ დოლზე გატარდება ქალადი, რომელმეც გადადის საღებავი. შემდეგ ხდება ქალადის გატარება გამხურებელ მონწყობილობაში და საღებავის გამაგრება. ფოტოდიოდურ პრინტერებს ქალადის ერთ დიუმზე შეუძლიათ დასვან 300-დან 1200-მდე წერტილი. ქვემოთ მოყვანილია პროფესიონალური ფოტოპრინტერის სურათი.



**ახალი თაობის პრინტერები.** ფირმა **Fargo Electronics**-მა გამოუშვა ახალი თაობის უნივერსალური პრინტერები **Fargo Persona**, რომლებიც განკუთვნილია პლასტიკურ ბარათებზე დასაბეჭდად. ისინი გამოირჩევიან დიდი საიმედოობითა და დაბალი ფასით.



**პლტერი.** პლტერი განკუთვნილია ნახაზების, გეოგრაფიული რუქების, პლაკატებისა და სხვა გამოსახულებების დასაბეჭდად დიდი ფორმატის

ქალაქებზე. პლოტერები ორი სახისაა: მონოქრომული და ფერადი. ქალაქებზე გამოსახულების აგების მიხედვით პლოტერები იყოფიან კადმიან და ჭავჭავი პლოტერებად.



**3D პრინტერი.** პრინტერების ახალი სახეობაა 3D პრინტერი. ეს პერიფერიული მოწყობილობა ძირითადად იყენებს 3D ციფრული მოდელის მიხედვით ობიექტის **ფენებად აწყობის მეთოდს**. 3D პრინტერები სამშენებლო მასალად იყენებენ პლასტიკურ მასას, მეტალს, ფაიფურს და სხვ. სურათზე მოყვანილია 3D პრინტერის სახე და მის მიერ შექმნილი ურთულესი ობიექტები.



### 1.2.9.2. ვიდეოთვადი (ვიდეოკამერა) - Web-კამერა

ვიდეოთვადი არის მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კომპიუტერის მეხსიერებაში შევიტანოთ ვიდეო მასალა. ვიდეოთვადი მაგრდება მონიტორზე, ამიტომ ნებისმიერი ცვლილება, რაც კი მოხდება მონიტორის წინ, ავტომატურად შედის კომპიუტერის მეხსიერებაში. ვიდეოთვადის საშუალებით შეგვიძლია ჩავატაროთ ვიდეოკონფერენციები. ქვემოთ მოყვანილია **Web-კამერების** სხვადასხვა სახე.



### 1.2.9.3. ბლუთუსი - Bluetooth

**Bluetooth** (სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ღერჯ კბიღს). **Bluetooth** - ეს არის მოკლე მანძიღზე ინფორმაციის უსადენო რადიო გადაცემა. ინფორმაციის გარანტირებული გადაცემის მანძიღი დაახლოებით 10 მეტრია. ქვემოთ მოყვანილია **Bluetooth**-ის ღოგო და სახელობები.



**Bluetooth**-ის საშუადებით შესაძლებელია დაკავშირება: კღავიატურისა კომპიუტერთან, ნოუტბუქისა პრინტერთან, მობიღური ტღეღეფონისა მის გარნიტურასთან და სხვა.

**Bluetooth**-ით ინფორმაციის გადაცემის სინქარეა 150 კიღობიტი წამში.

### 1.2.9.4. Wi-Fi ტექნოღოგია

**Wi-Fi (Wireless Fidelity** – უსადენო სიღუსტე) - ეს არის, ინტერნეტში უსადენოღ შეღწევის თანამეღროვე, ღინამიურად განვითარებადი ტექნოღოგია.

**Wi-Fi**-ის ისტორია იწყება გასური საუკუნის 90-იან წღებში. პირველად **Wi-Fi**-ი შეიქმნა 1991 წღეს ავსტრალიაში, ქღაღექ კანბერაში, რადიოასტრონომიის ღაბორატორიაში. მონაცემთა გაცვღის უსადენო პროტოკოღის შემქმნეღად ითვღება ინჟინერი ჯონ საღიღანი (**John O'Sullivan**).

**Wi-Fi**-ის ტექნოლოგიით ინტერნეტში უსაფენო შესვლა ხორციელდება სპეციალური შეღწევის რადიოწერტილებით. საკმარისია არსებობდეს **Wi-Fi**-ის თუნდაც ერთი წერტილი, რომ 300 მეტრიანი რადიუსის ზონაში, ნებისმიერ კომპიუტერულ ტექნიკას რომელსაც გააჩნია **Wi-Fi**-ი მოდული (ადაპტერი), შეუძლია ინტერნეტში შეღწევა.

აბრევიატურა **Wi-Fi**-ის ქვეშ იგულისხმება ინფორმაციის რადიოარხით გადაცემის მთელი სტანდარტები. 2009 წელს მიღებულ იქნა სტანდარტი - **IEEE 802.11n**. ხოლო სტანდარტი - **IEEE 802.11ac** მიღებულ იქნა 2014 წელს.

**Wi-Fi**-ის ქსელში მიერთება შეიძლება ნოუთბუქებითა და ჯიბის კომპიუტერებით, რომელთაც გააჩნიათ **Wi-Fi**-სთან მიერთების სპეციალური მოწყობილობები. დღეისათვის, პრაქტიკულად, ყველა თანამედროვე პორტატიული და ჯიბის კომპიუტერები **Wi-Fi**-ი თავსებადები არიან. თუმცა არათანამედროვე მობილური პერსონალური კომპიუტერების მფლობელებსაც შეუძლიათ გამოიყენონ ალნიშნული მოხერხებული ტექნოლოგია, თუ ისინი ჩააყენებენ თავიანთ კომპიუტერების **PCMCIA**-სლოტებში **Wi-Fi**-ის ბარათებს, ან **USB** პორტით კომპიუტერებს მიუერთებენ **Wi-Fi**-ის გარე მოწყობილობებს. თუმცა ალნიშნული მოწყობილობების გამოყენების შემთხვევაში ინტერნეტში მუშაობის სიჩქარე მნიშვნელოვნად მცირდება.

ფირმა ერიქსონის ოფიციალურ საიტზე გამოჩნდა განცხადება, რომ „**Wi-Fi**-ის ტექნოლოგიით ინტერნეტში უსაფენო შეღწევის რადიო-წერტილები ძალიან მადე გახდება ისეთივე უსარგებლო, როგორიც ქადაქის სატელეფონო ჯიხურებიო“. რის შემდეგაც კომპიუტერული უსაფრთხოების, კონტროლისა და აუდიტის მთავარმა სპეციალისტმა იოჰან ბერგენდახმა, სტოკჰოლმში, ევროპის კონფერენციაზე განცხადება დაადასტურა და დაამატა, რომ მობილური ქსელი, რომლის ღირებულება სწრაფად კლებულობს შეცვლის **Wi-Fi**-ის რადიო-წერტილებს. ბუნებრივია კონფერენციაზე წარმოიშვა კითხვა: როგორ იქნება საქმე თუ ინფორმაციის გადაცემა დაემთხვევა როუმინგის ზონის შეცვლის მომენტს? **იოჰან ბერგენდახმა** ამ შემთხვევისგან თავის დაღწევის მიზნით პროვაიდერებს მოუწოდა უფრო მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

დასასრულს **იოჰან ბერგენდახმა** დაამატა, რომ „მობილურ ქსელებში ინფორმაციის გადაცემის ფართომოდიანი ტექნოლოგია ისეთივე მისაღები იქნება, როგორც დღეისათვის **Wi-Fi**-ი“.

დეპუტატების მწარმოებელ ფირმებს არ უნდათ იმის გაგონებაც, რომ **Wi-Fi**-ის მომავალი არა აქვს. მწარმოებლები იძულებულნი არიან, აღიარონ თუნდაც ისეთი ფართომოდიანი ქსელის პერსპექტიულობა, როგორცაა **HSDPA**. **HSDPA (High Speed Downlink Packet Access** - შემავად არხზე მაღალსიჩქარიანი პაკეტური შეღწევის ტექნოლოგია **3G** სიჩქარით). როგორც სპეციალისტები

უნოდებენ ეს არის ტექნოლოგია, რომელიც რამდენიმე წელიწადში, რიგითი აბონენტებისთვის, იქნება როგორც მეოთხე თაობის ქსელი, ანუ **4G** (მეოთხე თაობის ქსელი) სიჩქარით.

2011 წლის 9 ივნისს, ამერიკის ქადაქ სანტა-ფეს მაცხოვრებელთა გარკვეულმა ნაწილმა მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ **Wi-Fi**-ს რადიონერტილების გამოსხივება მათში იწვევს ადერგიას. ამასთან დაკავშირებით მათ მოითხოვეს ამ სტანდარტის უსადენო გადაცემის გამოყენების აკრძალვა საზოგადოებრივ ადგილებში.

ქვემოთ მოყვანილია როუტერების ვარიანტები.



**Wi-Fi**-ი ტექნოლოგიას გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. **დადებითი მხარეებია:**

- შესაძლებელია გავმართოთ ქსელი კაბელების გაყვანის გარეშე, რომელიც დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა;
- შესაძლებელია კავშირის დამყარება მობილურ მოწყობილობებთან;
- მობილურობა. რაც საშუალებას იძლევა არ იყოთ მიბმული ერთ ადგილზე, არამედ მოეწყოთ კომფორტულად;
- ერთდროულად რამოდენიმე მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა;
- როუტერების გამოსხივება მობილურ ტელეფონებთან შედარებით 10-ჯერ მცირეა.

**უარყოფითი მხარეებია:**

- **Wi-Fi**-ი მოწყობილობები ძირითადად მუშაობენ 2,4 გიგა ჰერც სიხშირეზე, რომლებზეც მუშაობენ სხვადასხვა საოჯახო მოწყობილობებიც. მაგალითად, მიკროტელეფონი ლუმერია. ამიტომ მათ შეუძლიათ ხელი შეუშალონ ერთმანეთს;
- სხვადასხვა ქვეყანაში სიხშირული დიაპაზონი არაა ერთნაირი;

- გაშიფვრის სტანდარტის თუნდაც სწორი კონფიგურაციის დროსაც შესაძლებელია გატეხვა ადგორითმის დბადი მდგრადობის გამო;
- მიუხედავად, მობილურთან შედარებით, როუტერის დაბადი გამოსხივებისა იგი მაინც მაგნიტულია ჯანმრთელობისათვის. ამიტომ **Wi-Fi**-ი ჯობია ღამე გამოვრთოთ.

მოვიყვანოთ განსხვავება როუტერსა და მოდემს შორის. თანამედროვე ტექნოლოგიებმა წაშადეს მკვეთრი საზღვრები მოდემსა და როუტერს შორის. ხშირ შემთხვევაში ეს ორი მოწყობილობა ერთ კორპუსშია განლაგებული.

**მოდემი**, გარდაქმნის სიგნალს. ე. ი. მონაცემთა გადაცემის პროცესში, სიგნალის მოდულირება-დემოდულირებას აკეთებს. მოდემს საკუთარი მისამართი არ გააჩნია.

**როუტერი ანუ მარშრუტიზატორი** სიგნალს კი არ გარდაქმნის, არამედ ანაწილებს ქსელში ჩართულ მოწყობილობებს შორის ქსელის ტოპოლოგიის მიხედვით.

როუტერი აწესრიგებს ქსელის მუშაობას. როუტერს გააჩნია საკუთარი **IP**-მისამართი და შეუძლია დაუნიშნოს მისამართები ქსელში ჩართულ კომპიუტერებს.

**IP**-მისამართი (ინგლ. Internet Protocol Address - ინტერნეტის პროტოკოლის - მისამართი) არის კომპიუტერული ქსელის კვანძის უნიკალური მისამართი, რომელიც აგებულია **IP** პროტოკოლით.

### 1.3. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა

#### 1.3.1. დისკური ოპერაციული სისტემები.

ადრინდელ კომპიუტერებში ოპერაციული სისტემა დაპროგრამებული მიკროსქემების სახით იყო გადაწყვეტილი, რომლის შეცვლა მოუხერხებელი იყო. კომპიუტერული ტექნიკის განვითარებამ შესაძლებელი გახადა, ოპერაციული სისტემები ჩანერიდიყო კომპიუტერის მეხსიერებაში.

რა არის დისკური ოპერაციული სისტემა - **DOS** (ინგლ. **Disk Operating System** - დისკური ოპერაციული სისტემა)? ეს არის კომპიუტერული ოპერაციული სისტემა, რომელიც შემუშავებულ იქნა გასული საუკუნის 80-იან წლებში კორპორაცია **Microsoft**-ის მიერ (დისკური ოპერაციული სისტემაი - **MS DOS**), რომელიც ძირითადად განკუთვნილი იყო პერსონალური კომპიუტერებისათვის. იგი დღესაც წარმატებით გამოიყენება მთელს მსოფლიოში.

არსებობს **DOS**-ის შემდეგი ვერსიები: **MS DOS 3.3, MS DOS 6.0, MS DOS 6.21, MS DOS 6.22.**

დისკურ ოპერაციულ სისტემებთან მუშაობისას საჭიროა ყველა ბრძანება კლავიატურიდან შევიტანოთ. **DOS**-თან მუშაობისას საჭიროა დიდი რაოდენობის ბრძანებებისა და ოპერატორების დამახსოვრება და მათი ჩანერის წესების ცოდნა, რაც არაპროფესიონალისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. ამ უხერხულობას გარკვეულწილად ხსნის ოპერაციული სისტემების გარსები.

### 1.3.2. ოპერაციული სისტემების გარსები

ოპერაციული სისტემის გარსი ჰქვია პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციული სისტემის ძირითადი ბრძანებებისა და ფუნქციების ავტომატიზებულ შესრულებას.

ოპერაციული სისტემის გარსები უზრუნველყოფენ:

1. კომპიუტერის მთელ დისკზე, ან დისკის მიმდინარე კატალოგში ფაილების შექმნას, სახელის შეცვლას, კოპირებას, გადაგზავნას, წაშლასა და სწრაფ მოძებნას;
2. კატალოგების დათვალიერებას, შექმნასა და შედარებას;
3. ტექსტური ფაილების დათვალიერებას, შექმნასა და რედაქტირებას;
4. ფაილების დაარქივებას, განახლებას, დეარქივაციას და არქივების დათვალიერებას;
5. კატალოგების სინქრონიზაციას, ფაილების გახლეჩვასა და შერწყმას;
6. დისკეტების ფორმატირებასა და კოპირებას, დისკეტებისა და მყარი დისკის ტყეების შეცვლას;
7. პროგრამების გაშვებას.

ოპერაციული სისტემა **MS DOS**-თვის ასეთ გარსს წარმოადგენდა **The Norton Commander**-ი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გარსი.

**Windows**-თვის არსებობდა და არსებობს შემდეგი გრაფიკული გარსები: **Dash Board for Windows, Dash Board for Windows 95, DeskBar 95 for Windows 95, Windows 98, Windows 2000, Windows XP, Windows Wista, Windows 7, Windows 8, Windows 10.** ისინი მომხმარებელს საშუალებას აძლევენ სწრაფად შექმნან დოკუმენტების გამოძახებისა და პროგრამების გაშვების მენიუ. აგრეთვე გააკონტროლონ სისტემური რესურსების გამოყენება.

დღეისათვის, მთელს მსოფლიოში, წარმატებულად ფუნქციონირებს ისეთი ოპერაციული სისტემების განსები, როგორცაა: **Windows-ი**, **Macintosh**, **UNIX**, **LINUX**.

### 1.3.3. ოპერაციული სისტემა - Windows 10

კომპანია **Microsoft**-მა **Windows 8**-ის შემდეგ გამოუშვა **Windows 10**, **Windows 9**-ის გამოტოვებით. **Windows 10** გამოშვებულ იქნა 2014 წლის 30 სექტემბერს კორპორატიული მომხმარებლებისთვის.

დღეისათვის **Windows 10** ვრცელდება დიდი სიჩქარით. იგი ვრცელდება არა მარტო მომწოდებლის სერვერიდან, არამედ მომხმარებლის კომპიუტერის მეშვეობით **BitTorrent**-ის პროტოკოლის პრინციპით. ამავე პრინციპით ხდება **Windows 10**-ის განახლებაც ავტომატურად.

პირველი **Torrent**-კლიენტი „**BitTorrent**-ი“ შექმნა ბრემ კოენმა პროგრამირების ენა **Python**-ზე.

**Windows 10**-ს წინა ვერსიებთან შედარებით გააჩნია დიდი შესაძლებლობები. მას აქვს ღრუბლოვანი სერვისებთან ინტეგრაციის დიდი შესაძლებლობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ მუშაობის გაუმჯობესების მიზნით **Microsoft**-ში ავზავნის დიდი რაოდენობის მონაცემებს. ამიტომ თუ თქვენ გინდათ, რომ თქვენი მონაცემები დარჩეს თქვენთან, ამისათვის აუცილებელია **Settings**-ში გამორთოთ შესაბამისი ფუნქციები.

**Windows 10**-ის მოცულობა 3 გიგა ბაიტია.

#### 1.3.3.1. სისტემური მოთხოვნები

**Windows 10**-ის სტაბილური და სწრაფი მუშაობისათვის საჭიროა პერსონალური კომპიუტერი შემდეგი მახასიათებლებით:

- პროცესორი - 1 გიგა ჰერცი ტაქტური სიხშირით ან კომპიუტერი, რომელიც განთავსებულია ერთ ინტეგრირებულ სქემამზე - **SOC (System On a Chip)**;
- ოპერატიული მეხსიერების მოცულობა - 1 გიგა ბაიტი (32- თანრიგიანი სისტემისთვის) ან 2 გიგა ბაიტი (64- თანრიგიანი სისტემისთვის);
- თავისუფალი ადგილი მყარ დისკზე (ვინჩესტერზე) - 16 გიგა ბაიტი (32- თანრიგიანი სისტემისთვის) ან 20 (64- თანრიგიანი სისტემისთვის);
- ვიდეოადაპტერი **DirectX** ვერსია 9.
- მონიტორი - (800X600) და მეტი;
- **Microsoft**-ის ან მასთან თავსებადი კლავიატურა და „თაგვი“.

### 1.3.3.2. დამატებითი მოთხოვნები ზოგიერთი ფუნქციების გამოსაყენებლად

- მისაღმების ფანჯრისათვის (**Windows Hello**) საჭიროა სპეციალიზებული ინფრანითელი კამერა პირიდანების სახის ამოსაცნობად, ან მოწყობილობა თითის ანაბეჭდების ამოსაცნობად, რომელსაც გააჩნია ბიომეტრიული პლატფორმა **Windows**-ის მხარდაჭერით;
- ფუნქცია **Continium**, რომელიც შეიმუშავა **Mocrosoft**-მა **Windows 10**-თვის პოპულარული გახდა სმარტფონის მომხმარებლებისთვის. აღნიშნული ფუნქცია სმარტფონის სისტემის დიდ ეკრანზე გაშვების საშუალებას იძლევა;
- კორპორაცია **Mocrosoft**-ის მუსიკალური ონლაინ სერვისი „**მუსიკა Groove**“ (**Xbox 360**) ფუნქციონირება ხორციელდება მხოლოდ განსაზღვრულ რეგიონებში;
- მეტყველების აღქმის ფუნქცია სხვდასხვა მიკროფონებში მუშაობს სხვადასხვანაირად. ამიტომ მეტყველების მაღალი ხარისხით აღქმისათვის საჭიროა: მაღალი ხარისხის მიკროფონი და შესაბამისი დრაივერი;
- სენსორული შესაძლებლობების გამოსაყენებლად საჭიროა პლანშეტი ან მონიტორი მუდრისენსორული ტექნოლოგიით;
- ზოგიერთი თამაშებისა და პროგრამების ოპტიმალური მუშაობისათვის საჭიროა ვიდეოადაპტერი **DirectX 10** ტექნოლოგიით;
- **BitLocker To Go** ფუნქციისთვის საჭიროა **Flesh**-მეხსიერების **USB**-მონწყობილობა (მხოლოდ **Windows 10 Pro**-თვის) ან სანდო პლატფორმა მოდული (**Trusted Platform Module (TPM)**) **TPM 1.2**, **TPM 2.0**. ეს მოდული უსაფრთხო კრიპტოპროცესორია, რომელშიც ინახება ინფორმაციის დაცვის კრიპტოგრაფიული გასაღებები. მისი განზოგადებული სახელწოდებაა „**TPM ჩიპი**“ ან „უსაფრთხოების მონწყობილობა **TPM**“. მას ადრე „**ფრიცის ჩიპს**“ უწოდებდნენ (სენატორის **ენესტ ფრიც ჰოლინგის** პატივსაცემად, რომელიც ცნობილია საავტორო ციფრული ინფორმაციის დაცვის სისტემების (ინგლ. **DRM - digital rights management**) სრულყოფაში განსაკუთრებული ღვაწლისათვის) [18]
- **Wi-Fi Direct** ტექნოლოგიით ბეჭდვისას საჭიროა ადაპტერი **Wi-Fi Direct** მხარდაჭერით;
- **InstantGo** მუშაობს იმ კომპიუტერებთან, რომელთაც გააჩნიათ დოკინის რეჟიმის მხარდაჭერა ჩართულ მდგომარეობაში. რა არის **InstantGo**? ამ შემთხვევაში კომპიუტერი რჩება ქსელში ჩართულ მდგომარეობაში.

თვით ოპერაციულ სისტემას ამ შემთხვევაში შეუძლია გადმოქაჩოს ყველანაირი განახლებები შემდგომი დაყენების მიზნით. **Skype**-იც მუშა მდგომარეობაში რჩება.

### 1.3.4. ქსელური ოპერაციული სისტემები

ქსელში კომპიუტერების გაერთიანებამ დღის წესრიგში დააყენა მათი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების შექმნის აუცილებლობა. დღეისათვის შექმნილია შემდეგი ქსელური ოპერაციული სისტემები: **Ms Windows 3.1, Ms Windows 95/98, Ms Windows NT, Novel NetWare, Ms Windows Server 2003, Windows Server 2008** და სხვ.

### 1.3.5. ტექსტური პროცესორები

პირველი პროგრამები, რომლებიც დაიწერა კომპიუტერებისთვის, ძირითადად განკუთვნილი იყო ტექსტების დასამუშავებლად. ამიტომ მათ ტექსტურ რედაქტორებს უწოდებდნენ. ისინი დაბალი დონის რედაქტორები იყვნენ და ასრულებდნენ საბეჭდი მანქანების როლს. განსხვავება საბეჭდი მანქანისაგან მდგომარეობდა იმაში, რომ შეიძლებოდა ტექსტის დამახსოვრება და მრავალჯერ გამოყენება. რა თქმა უნდა, ტექსტური რედაქტორების ასეთი შესაძლებლობა კომპიუტერის მომხმარებლებს არ აკმაყოფილებდათ. ტექსტური რედაქტორების განვითარება სწრაფად მიმდინარეობდა. ამას ხელი შეუწყო საგამომცემლო-პოლიგრაფიული საქმიანობის კომპიუტერულმა წარმოებამ. მძღავრი საგამომცემლო-პოლიგრაფიული პროგრამების შექმნის პარალელურად, შეიქმნა ისეთი ტექსტური რედაქტორები, რომლებიც ტოლს არ უდებდნენ საგამომცემლო სისტემებს.

არსებობს ტექსტური რედაქტორების ისეთი მძღავრი საშუალებები, როგორცაა: **Ms Word, Team Pad; XP Text Editor; MultiReplace; Crypt Edit; SuperPad**-ი და სხვ.

დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ ტექსტურ პროცესორს წარმოადგენს **Ms Word**-ი, რომელშიც შეიძლება: ა) დიდი რაოდენობის სხვადასხვა სახის ფონტების გამოყენება; ბ) ნებისმიერი ტექსტის აკრეფა; გ) ორთოგრაფიისა და სინტაქსის შემოწმება და ჩასწორება; დ) განმეორებადი სიტყვების შეცვლა სინონიმებით; ე) ილუსტრაციების, ცხრილებისა და სხვადასხვა სახის გრაფიკული ობიექტების ჩასმა ტექსტში; ვ) მთელ ტექსტში სიმბოლოს, სიტყვის ან ფრაგმენტის შეცვლა; ზ) ტექსტის გვერდებზე ნუმერა-

ციის ავტომატური ჩასმა; თ) ტექსტში გადატანების გაკეთება და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

### 1.3.6. ელექტრონული ცხრილები

ოპერაციული სისტემების ერთ-ერთი სახეა ელექტრონული ცხრილები, რომლებიც განკუთვნილია სამეცნიერო გათვლების, საბუღალტრო და სხვა რუტინული სამუშაოების შესასრულებლად. აგრეთვე ისეთი სამუშაოების ავტომატიზაციისათვის, რომლებიც მოითხოვს დიდი რაოდენობის გათვლებს. ელექტრონული ცხრილები საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს ფუნქციები, რომლებშიც მხოლოდ მონაცემების შეცვლაა საკმარისი, ხოლო გათვლები ავტომატურად სრულდება. ელექტრონულ ცხრილებს შეუძლია გათვლის შედეგები წარმოგვიდგინონ სხვადასხვა სახის დიაგრამების სახით, აგრეთვე საშედეგო დოკუმენტების წარმოდგენა თანამედროვე დიზაინით.

არსებობს ელექტრონული ცხრილების ისეთი მძლავრი საშუალებები, როგორცაა: **KSpread** და **Gnumeric**, რომელიც **Linux**-ის ოპერაციულ სისტემაში ფუნქციონირებს; **OpenOffice Calc**, რომელიც შედის ფირმა **Sun Microsystems**-ის საოფისე პაკეტ **Open Office** -ში.

დღეისათვის ყველაზე მეტად გავრცელებულია კომპანია **Microsoft**-ის ელექტრონული ცხრილი **Ms Excel**-ი.

### 1.3.7. მონაცემთა ბაზის მართვის სისტემები

მონაცემთა ბაზის მართვის სისტემები განკუთვნილია დიდი რაოდენობის მონაცემების (ვართოთეკების, საცნობარო ინფორმაციის და სხვ.) შესანახად. და, არა მარტო შესანახად, არამედ მათი სწრაფად მოსაძებნად, დასახარისხებლად, დასაჯგუფებლად სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, დაჯგუფებული მონაცემების ამოსარჩევად და სხვ.

დღეისათვის არსებობს მონაცემთა ბაზის მართვის ისეთი სისტემები, როგორცაა: **Devrace FIBPlus**; **IBAdmin - Complete Interbase SQL Tool**; **CDBF - DBF Viewer and Editor**; **Database Workshop**, **Ms Access** და სხვ.

დღეისათვის გავრცელებულია კომპანია **Microsoft**-ის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა **Ms Access**-ი.

### 1.3.8. გრაფიკული რედაქტორები

გრაფიკული რედაქტორები განკუთვნილია სურათების, ნახატებისა და სხვადასხვა სახის გრაფიკული გამოსახულებების დასამუშავებლად.

დღეისათვის არსებობს ისეთი გრაფიკული რედაქტორები, როგორიცაა: **Adobe Photoshop; Adobe Illustrator CC 2015; CorelDRAW; Corel PhotoPaint; Paint; Animagic GIF; Fractal Painter; VideoCraft GIF Animator; WebPaint; ACD Systems; Impressionist; SmartPictures Zoomer.**

### 1.3.9. საგამომცემლო-პოლიგრაფიული სისტემები

საგამომცემლო-პოლიგრაფიული სისტემები გამოიყენება პროფესიონალური საგამომცემლო საქმიანობისთვის. მათი საშუალებით შესაძლებელია: წიგნების, ჟურნალების, გაზეთების, საინფორმაციო ბუკლეტების, ცნობარების, კატალოგებისა და სხვა გამოცემების ედუქტორული აწყობა-დაკაბადონება უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე. მათ შეუძლიათ: გამოიყენონ ყვედანაირი შრიფტები, დაამუშაონ გრაფიკული ობიექტები, შეასრულონ ტექსტების რედაქტირება, იმუშაონ ქსელში სხვადასხვა პლატფორმაზე და სხვა.

თანამედროვე საგამომცემლო-პოლიგრაფიული პაკეტებია: **Adobe Indesigner, Page Maker, Corel Ventura, QuarkXPress, Frame Maker, MS Publisher, Page Plus, Compu Work Publisher** და სხვა.

### 1.3.10. ბრაუზერები

ბრაუზერები ეწოდებათ ისეთ პროგრამულ პროდუქტებს, რომლებიც გამოიყენებიან ინტერნეტში ინფორმაციის მოსაძებნად.

შექმნილია ისეთი ინტერნეტ ბრაუზერები, როგორიცაა: **Google Chrome, Internet Explorer, Mozilla, Opera, K-Meleon Browser, Netscape.**

დღეისათვის ყველაზე პოპულარულ ბრაუზერებს მიეკუთვნება: **Google Chrome, Internet Explorer, Mozilla, Opera.**

### 1.3.11. საფოსტო პროგრამა

კორესპონდენციის ედუქტორული გადაგზავნისათვის გამოიყენება სპეციალური პროგრამული პროდუქტები. ზოგიერთი ბრაუზერების შემადგენლობაში შედის, ზოგიერთი კი დამოუკიდებლად არსებობს. ასეთ პროგრამას მიეკუთვნება **Outlook Express**-ი, რომელიც პოპულარულია დღეისათვის.

### 1.3.12. ავტომატიზებული დაპროექტების სისტემები

ავტომატიზებული დაპროექტების სისტემები განკუთვნილია საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად. ასე, მაგალითად, ნავებობების, ავტომანქანების, საცხოვრებელი ინტერიერის, სხვადასხვა მექანიზმების, დანადგა-

რებისა და სხვათა პროექტების შესადგენად. დაპროექტების სისტემები არსებობენ დარგების მიხედვითაც.

შექმნილია ავტომატიზებული დაპროექტების შემდეგი სისტემები: **eCuto-ut; CAD/CAM/CAE; T-FLEX CAD 7.2; Avto CAD, ArchiCAD** და სხვ.

### **1.3.13. სასწავლო პროგრამები**

პერსონალური კომპიუტერების სწრაფმა განვითარებამ და გავრცელებამ წარმოშვა ედექტრონული სკოლების შექმნის იდეა, სადაც მასწავლებლების როლს შეასრულებდნენ კომპიუტერები, რომლებიც ალტურვირი იქნებოდნენ სასწავლო და მაკონტროლებელი პროგრამებით. თავიდან ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოსდა ედექტრონული სწავლება მთლიანად შეცვრიდა მოსწავლისა და მასწავლებლის ინსტიტუტს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მოსწავლეები, რომლებიც საათობით ისხდნენ საუკეთესო სასწავლო პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერებთან, სიამოვნებით მიდიოდნენ გაკვეთილებზე, სადაც მასწავლებელი არა კომპიუტერი, არამედ ადამიანი იყო.

არსებობს სასწავლო პროგრამების სხვადასხვა სახე: სასწავლო, საპროექტო, მაკონტროლებელი, განმავითარებელი და სხვა.

### **1.3.14. საცნობარო პროგრამები და ენციკლოპედიები**

თავიდან ამ ტიპის პროგრამები გამოიყენებოდა ცნობარებისა და რეესიკონებისათვის. როგორც კი კომპიუტერის ეკრანზე ვიდეო გამოსახულების ხარისხმა მაღალ დონეს მიაღწია, მაშინვე აღნიშნული პროგრამები გამოყენებულ იქნა სხვადასხვა დარგში (სახვით ხელოვნებაში, ფერწერაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში და მეცნიერების სხვადასხვა დარგებში) ენციკლოპედიების შესაქმნელად.

დღეისათვის არსებული ენციკლოპედიების უმეტესობა გახმოვანებულია.

### **1.3.15. კომპიუტერის მონწყობილობათა დრაივინები**

დრაივინი ისეთი პროგრამაა, რომელიც მართავს კომპიუტერის ცადკეურ მონწყობილობებს. მაგალითად, პროგრამა რომელიც მართავს პრინტერის მუშაობას, პრინტერის დრაივინი ეწოდება, ხოლო სკანერის მუშაობის მმართველ პროგრამას - სკანერის დრაივინი და ა. შ.

დრაივინების შექმნის აუცილებლობა გამოიწვია იმან, რომ კომპიუტერის დისკური ოპერაციული ყველა სისტემა ვერ უზრუნველყოფს კომპიუტერის ყველა მონწყობილობის მართვას.

### 1.3.16. მომსახურე პროგრამები

მომსახურე პროგრამები განკუთვნილია კომპიუტერის, როგორც ცენტრალური, ისე პერიფერიული მოწყობილობების ტესტირებისათვის (შემონუმებისათვის). აღნიშნული პროგრამების საშუალებით გამოავლენენ კომპიუტერის მოწყობილობების უნესრიგობას და ასევე ახდენენ ამ მოწყობილობათა მუშაობის ოპტიმიზაციასაც.

### 1.3.17. პროგრამა არქივატორები

პროგრამა არქივატორები გამოიყენებიან ფაილების მოცულობის კომპრესირებისათვის (შეკუმშვისათვის). არქივატორები ფაილის შეკუმშვისას დამახინჯების გარეშე ინარჩუნებენ ფაილის ყველა მონაცემს. პროგრამა არქივატორების საშუალებით შესაძლებელი ხდება დამამახსოვრებელი მოწყობილობების „მოცულობის გაზრდა“, ანუ მეხსიერების ერთეულში შესაძლებელია, ჩავატოთ ბევრად მეტი ინფორმაცია ფაილის შეკუმშვის ხარჯზე. შეკუმშულ ფაილებს დაარქივებულს უწოდებენ. პროგრამა არქივატორები დაარქივებული ფაილების დეარქივაციასაც (არქივის გახსნა) აკეთებენ.

არსებობენ ისეთი არქივატორი პროგრამები, როგორცაა: **ZIP, ARJ, ICE, Shez, RAR** და სხვ.

დღეისათვის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს არქივატორი **WinZip**-ი და **WinRAR**-ი, რომელსაც საკუთარი გარსი გააჩნია და მასთან მუშაობა ადვილია.

### 1.3.18. ვირუსული პროგრამები

კომპიუტერული ვირუსები (შემდგომში - ვირუსები) ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მსოფლიო საზოგადოებისათვის. თუ თვალს გადავავლებთ ვირუსების მიერ კერძო პირებისა და ორგანიზაციებისთვის მიყენებულ ზარალს, რომელიც მილიარდობით დოლარს აღემატება, დაგრწმუნდებით, რომ ვირუსებთან ბრძოლა მსოფლიო საზოგადოებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. გარდა ამისა, ცნობილია შემთხვევები, როცა ვირუსები პირდაპირი, თუ არაპირდაპირი გზით, მომავკვდინებლად მოქმედებს ადამიანებზე.

ანტივირუსული პროგრამის შემქმნელი ფირმების ძალისხმევით მიუხედავად, ვირუსების მიერ მიყენებული ზარალის ოდენობა ასტრონომიულად იზრდება. საყურადღებოა ისიც, რომ ანტივირუსული პროგრამები და

ტექნიკური საშუალებები არ იძლევა ვირუსებისგან დაცვის სრულ გარანტიას.

ვირუსებთან ბრძოლის მხრივ უკეთესი მდგომარეობაა დასავლეთის ქვეყნებში, სადაც ლიტერატურაც მეტია, ხოლო ვირუსები - ნაკლები, რადგანაც პირატული კომპაქტ-დისკების იმპორტი კატეგორიულად აკრძალულია.

სამწუხაროდ, საქართველოში ეს პრობლემა უყურადღებოდაა დარჩენილი. ვირუსებისა და ანტივირუსების შესახებ ქართულ ენაზე ლიტერატურა თითქმის არ არსებობს. ხოლო უცხოური ლიტერატურა მოსახლეობისთვის მიუწვდომელია.

ბიოლოგიურად, სამედიცინო გაგებით, სიტყვა ვირუსი (ლათ. Virus - შხამი) წარმოადგენს სიცოცხლის არაუჭრედოვან ფორმას მარტივი პარაზიტული სტრუქტურით, რომელსაც გააჩნია უნარი შეაღწიოს უჯრედში და გამრავლდეს. კომპიუტერული ვირუსი თავისი ქცევით კი ჰგავს ბიოლოგიურ ვირუსს, მაგრამ ის შედგება არა ნუკლეინის მჟავებისგან, არამედ მათემატიკური გამოსახულებებისგან.

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არ არსებობს კომპიუტერული ვირუსის საყოველთაოდ აღიარებული განმარტება, შევეცდებით განვმარტოთ.

**კომპიუტერული ვირუსი არის პატარა ტანის, რთული კოდის მქონე მაგნებლური პროგრამა, რომელსაც გააჩნია გამრავლებისა და გავრცელების თვისება კომპიუტერის მეხსიერებაში არსებულ პროგრამებში თვითჩანერგვის გზით.**

ვირუსის გამოვლენის ფორმებია: კომპიუტერის მუშაობის ძლიერ შენელება; უცხო ფრაზების მოულოდნელი გამოჩენა ეკრანზე; სხვადასხვა ვიდეო-ეფექტის გამოჩენა. მაგალითად, მონიტორის ეკრანის ამოტრიალება; მონიტორის ეკრანიდან ინფორმაციის გაქრობა; სხვადასხვა ბგერის გენერაცია; ზოგიერთი პროგრამა წყვეტს მუშაობას, ხოლო დანარჩენი უცნაურად იქცევა; მეხსიერების დისკებზე ჩნდება გაფუჭებული ფაილების დიდი რაოდენობა; ერთბაშად ინგრევა რომელიმე დისკზე ფაილური სისტემა; ოპერაციული სისტემა ვერ ხედავს ვინჩესტერს; დამოუკიდებლად იცვლება ზოგიერთი ფაილის ზომა; ფაილების წაშლა; დრაივრების შეცვლა სისტემისთვის გამოუსადეგარი დრაივრებით; ინტერნეტიდან უსარგებლო ინფორმაციის გადმოქაჩვა კომპიუტერში; ვინჩესტერის დაფორმატება.

არსებობს სხვადასხვა ტიპის მავნებლური პროგრამა, რომელთა შორის აღსანიშნავია: კლასიკური ვირუსები, ტროიანები, „ჭიები“, ჯაშუში პროგრამები და სპამები.

#### **კლასიკურ ვირუსებს მიეკუთვნება:**

- **თანამგზავრი-ვირუსები** - ყველაზე პრიმიტიული ვირუსებია;
- **ფაილური-ვირუსები** აზიანებენ **Com** და **exe** გაფართოების მქონე ფაილებსაც და დისკების ჩამტვირთავ სექტორებსაც;
- **ჩამტვირთავი-ვირუსები** აზიანებს მეხსიერების დისკების ჩამტვირთავ სექტორებს;
- **მაკრო-ვირუსები** - ვირუსების ორიგინალური კლასია;
- **ვირუსი-მოჩვენებები**. ამ ჯგუფს, კომპიუტერზე გადატანისას, შეუძლია შეიცვალოს კოდირების პარამეტრები ისე, რომ იკარგება მსგავსება მის წინა ვარიანტთან.

ხშირად, არასპეციალისტები კომპიუტერულ ვირუსებს მიაკუთვნებენ ისეთ მავნებლურ პროგრამებს, როგორიცაა **ტროიანები** (ტროას ცხენები), **პროგრამა-ჯაშუშები** და **სპამები**.

სახელწოდება ტროიანები წარმოიშვა მითიური ტროას ცხენიდან, რომელიც გარედან მომხიბვლელად გამოიყურება, მაგრამ შიგნით საფრთხე იმალება. ეს პროგრამები ვირუსებისგან იმით განსხვავდება, რომ ის იმართება ადამიანის მიერ, რომელიც მის გლობალური ქსელის მეორე მხარეს. ტროიანებს აკადემიური ენით „ადმინისტრირების დაშორებულ სისტემებსაც“ უწოდებენ. ტროიანებს გააჩნია სხვადასხვა ფუნქცია: მათი უმეტესობა განკუთვნილია მხოლოდ პაროლების (ფრანგ. **Parole** - სიტყვა) მოსაპარავად; ტროიანებს შეუძლია ამოიღოს სხვადასხვა სახეობის ინფორმაცია მსხვერპლის კომპიუტერიდან; შეცვალოს ინფორმაცია კომპიუტერის შიგნით; შეუძლია, მთლიანად აკონტროლოს მსხვერპლის კომპიუტერი.

პროგრამა ტროიანები კონსტრუქციულად მარტივია და შესაქმნელადაც ადვილი. მარტივი ტროიანი 10 სტრიქონიან კოდშიც ეტევა.

**ჯაშუშური პროგრამა - Spyware** (ინგლ. **Spy** - ჯაშუში და **Software** - პროგრამული უზრუნველყოფა) არასანქცონირებულად ჯდება მსხვერპლის კომპიუტერზე, მისი ნაწილობრივი ან სრული გაკონტროლების მიზნით.

**სპამები** მოთხოვნის გარეშე გამოგზავნილი ანონიმური მასობრივი გზავნილებია. ბოლო პერიოდში სპამების შექმნის ტენდენცია მიზანმიმართული გახდა, მისი იერიშები კი - შეუმჩნეველი. ყოველწლიურად ქსელით გადაიცემა 120 მლრდ არასასურველი გზავნილი, ე. ი. საშუალოდ 20

გზავნილი პლანეტის თითოეულ მოსახლეზე. სპამების იერიშები მოკლევადიანია. ასე, მაგალითად, სპამი Mp3-ის სიცოცხლის ხანგრძლივობა 3 დღეა. სამაგიეროდ, მსგავსი პროგრამა ბევრია.

გარდა ხსენებულისა, არსებობს ჯამშური პროგრამები, რომელსაც იყენებენ მობილური სატელეფონო საუბრების მოსასმენად.

„ადამიანის ლტოლვა აკრძალული ხილისადმი“ ისევე ძველია, როგორც თვით სამყარო. ერთ-ერთი ასეთი აკრძალული ხილია პორნო პროდუქცია, რომელიც უხვადაა პორნო საიტებზე. ფაქტია, რომ პორნო პროდუქციას ათვალიერებს ინტერნეტის ყველა მომხმარებელი. საკმარისია 3-4 პორნო სურათის გადმოქაჩვა, რომ თქვენს კომპიუტერზე ჩაჯდეს მინიმუმ ხუთი ჯამში პროგრამა.

როგორ დავიცვათ კიბერდამნაშავეებისაგან ჩვენი ელექტრონული საფულები და სხვა საქმიანი ინფორმაცია, რომლებსაც ვინახავთ კომპიუტერებში? ამისათვის საჭიროა:

- არასოდეს გახსნათ, სხვისი თანდასწრებით, თქვენი ელექტრონული საფულეს „ლოჯინი“ და პაროლი;

- ნუ ენდობით ისეთ წერილებს, რომლებიც „ქვიშის ცათამბჯენებს“ გპირდებიან;

- ნუ ჩაატარებთ ელექტრონულ კომერციას საეჭვო მალაზიებსა და კერძო პირებთან;

- კომპიუტერის სამუშაო მაგიდაზე (**Desktop**-ზე) არასოდეს დადოთ ფაილები, რომლებშიც გინერიათ თქვენი პაროლი;

- თუ თქვენ ოფისში მუშაობთ, არ შეინახოთ „ლოჯინისა“ და პაროლის დუბლიკატები მაგიდის უჯრებში და ნუ მიაწვებთ მას კომპიუტერზე დამახსოვრების მიზნით;

- ყველაზე მთავარი დაცვაა რთული პაროლების შემუშავება;

- პაროლი უნდა შეიცავდეს: ციფრებს, სასვენ ნიშნებსა და ასოებს;

- ყურადღებით უნდა ვიყოთ ამა თუ იმ პროგრამის ინსტალაციისას;

- ქსელის სპეციალისტები რეკომენდაციას უწევენ ქსელური ეკრანის კლასის პროგრამებს - **Brandmauer**-ს ანუ **FireWall**-ს (გერმ. **Brandmauer** - ცეცხლგამძლე კედელი; ინგლ. **FireWall** - ცეცხლგამძლე კედელი). ე. ი. **Brandmauer**-ი და **FireWall**-ი ერთი და იგივეა;

- დაბოლოს, გირჩევთ, აიმაღლოთ კომპიუტერული ცოდნა და გამოცდილება და თვალყური ადევნოთ ახალთახალ ანტივირუსულ პროგრამულ პროდუქტებს, კომპიუტერზე დააყენეთ მათი სერთიფიცირებული ვარიანტები.

### 1.3.19. ანტივირუსული პროგრამები

კომპიუტერული ვირუსები წარმოადგენენ პატარა ტანის მავნებლურ პროგრამებს, რომელთაც შეუძლიათ დაანგრიონ სხვა პროგრამები ან გაანადგურონ შენახული ფაილები, რაც უზარმაზარ ზარალს აყენებს, როგორც კერძო პირებს, ასევე ფირმებსა და კომპანიებს.

კომპიუტერში ვირუსული პროგრამების მოსაძებნად და მათ გასანადგურებლად იქმნება ანტივირუსული პროგრამები.

დღეისათვის არსებობს ანტივირუსული პროგრამები: **Kaspersky, Norton Antivirus, Dr. Web, AVP, Avast, Avira, Eset NOD32, McAfee** და სხვ. აღნიშნულ პროგრამებს ამუშავებენ ლობინსკის, კასპერსკის და სხვ. დაბორატორიები. დღეისათვის ყველაზე პოპულარულია კასპერსკის ანტივირუსები.

### 1.3.20. პროგრამირების ენები

პროგრამირების ენები ანუ ადგორითმული ენები წარმოადგენენ განსაკუთრებულ პროგრამულ პროდუქტებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელია კომპიუტერული პროგრამების შექმნა.

პროგრამირების ენები შეიქმნა გასული საუკუნის 50-იან წლებში. დღეისათვის არსებობს 1000-ზე მეტი ადგორითმული ენა. ენების სიმრავლე გამომიწვია სხვადასხვა ფირმებისა და კომპანიების მიერ კომპიუტერების შექმნის გასაიღმეობამ. სხვადასხვა ფირმის კომპიუტერები ერთმანეთთან თავსებადები არ იყვნენ. ამიტომ მათი ტექნოლოგია ითხოვდა სპეციალურად მათთვის პროგრამირების ენის შექმნას. ეს კი იწვევდა ადგორითმული ენების რაოდენობის გაზრდას.

პროგრამირების ენებია: **PL/1, COBOL, FORTRAN, ADA, PASCAL, BASIC, GW BASIC, QUIC BASIC, VISUAL BASIC, C, VISUAL C, C+, C++, C Sharp (C#)** და სხვ.

### 1.3.21. ჰიპერტექსტი

ჰიპერტექსტი - ეს არის რამდენიმე ტექსტური დოკუმენტების გაერთიანების ტექნოლოგია მიმართვების დახმარებით.

დიდი მოცულობის ტექსტურ დოკუმენტებში საჭირო ინფორმაციის მოძებნა ტექსტის ჩვეულებრივი გადაფურცვლით არაეფექტურია, ვინაიდან ის დროის დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ საჭირო გახდა ტექსტში არანრფივი გადაადგილების საშუალებების შექმნა. ტექსტში არანრფივი

გადაადგილების იდეა გამოთქვა ამერიკელმა მეცნიერმა ვანეგარ ბუშმა ჯერ კიდევ 1945 წელს. ვანეგარ ბუში (1890-1971) ამერიკის პრეზიდენტის ფ. რუზველტის მეცნიერ კონსულტანტი იყო.

ტერმინი ჰიპერტექსტი 1965 წელს შემოიღო ამერიკელმა მეცნიერმა ტედ ნელსონმა და ღუგლას ენჯელებერტმა. ჰიპერტექსტი ჰქვია ტექსტურ დოკუმენტს, რომლის შემადგენლობაში იმყოფება მიმართვა ისეთ დოკუმენტზე, რომელიც სხვაგანაა შენახული. ჰიპერტექსტური დოკუმენტების მიმართვებს ჰიპერმიმართვები ეწოდება. ტექსტურ დოკუმენტში ჰიპერმიმართვები გამოიყურებიან, როგორც ჩვეულებრივი ტექსტური სტრიქონები, რომელსაც გააჩნიათ ან სხვა ფერი, ანდა ქვეშ ხაზი აქვთ გასმული. როგორც კი ჰიპერმიმართვასთან მივიყვანთ კურსორს, იგი მიიღებს ადამიანის ხელის მტევიან ფორმას. თუ დავაჭერთ კურსორს მიმართვაზე, ცაღვე გამოვა ფანჯარა ან პანელი, სადაც იქნება ის ტექსტი, რომელზედაც მიუთითებდა ჰიპერმიმართვა.

1967 წელს მეცნიერთა ჯგუფმა ენდი ვან დამას ხელმძღვანელობით შექმნა პირველი ჰიპერტექსტური რედაქტორი.

„თაგვის“ გამომგონებელმა ღუგლას ენჯელებერტმა თავისი ჰიპერტექსტური სისტემის დემონსტრირება 1968 წელს მოახდინა.

### 1.3.22. ჰიპერმედია

კომპიუტერული ტექნიკის განვითარებასთან ერთად შესაძლებელი გახდა ტექსტურ დოკუმენტებში სხვადასხვა სახის გრაფიკული გამოსახულებების ჩაშენება. რა თქმა უნდა, ეს პროცესი არც ჰიპერტექსტებს აცდა. მაგრამ არატექსტურ დოკუმენტებთან მიმართვის დროს, ტერმინის ჰიპერტექსტის ხმარება უხერხულობას იწვევდა. ამიტომ გაჩნდა ახალი ტერმინი ჰიპერმედია.

ჰიპერმედია - ეს არის კომპიუტერული დოკუმენტებისა და პროგრამების ორგანიზაციის ტექნოლოგია, სადაც გამოიყენება ჰიპერმიმართვები სხვადასხვა (ტექსტური, გრაფიკური, ბგერითი, ვიდეო, მულტიპერიპერიფერიული და სხვ.) ობიექტებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი ჰიპერტექსტი ჰიპერმედიაზე ადრე წარმოიშვა, ჰიპერტექსტი ჰიპერმედიის კერძო შემთხვევა გახდა.

### 1.3.23. მულტიმედია

მულტიმედია - ეს არის კომპიუტერის გამოყენების ტექნოლოგია ყველა შესაძლებელი ტექნიკური საშუალებების (ბგერითი, გრაფიკური გამოსახულებების, ვიდეო გამოსახულებების, მულტიპერიპერიფერიული, რადიოს, ტელევიზიის)

გამოყენებით. მულტიმედიაური კომპიუტერული პროგრამების უმეტესობა ორგანიზებულია ჰიპერმედიაური ტექნოლოგიის გამოყენებით. ჰიპერმედიის გამოყენება ინტერაქტიური პროგრამების შექმნის საშუალებას იძლევა. ინტერაქტიური ენოდეზა პროგრამას, რომელიც რეაგირებს მომხმარებლის ქცევამდე და ქმნის სხვადასხვა ეფექტებს. მაგალითად, საბავშვო სათამაშო პროგრამები, სადაც, თუ თავვით დავაჭერთ ამა თუ იმ ობიექტს, იგი გამოიწვევს მის ამოქმედებას, ხმის გამოცემას (ჟღერადობას).

ინტერაქტიურ პროგრამებს დიდი გამოყენება აქვს სასწავლო პროგრამებში.

დღეისათვის მულტიმედიაურს წარმოადგენენ სათამაშო, სასწავლო, ენციკლოპედიური და სხვ. პროგრამები.

ყველა გრაფიკული ოპერაციული სისტემა ერთდროულად წარმოადგენს მულტიმედიაურს, ჰიპერმედიაურსა და ინტერაქტიურს.

#### 1.4. თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები

კომუნიკაცია (ლათ. **Communicatio** - შეტყობინება; **Communico** - საერთოს ვხდი). ფართო გაგებით კომუნიკაცია არის ინფორმაციის გაცვლა.

კომუნიკაცია ცოცხალი არსების ერთ-ერთი თვისებაა. თვით ცნება „კომუნიკაცია“ კი აღბათ წარმოიშვა ცნება „საზოგადოებასთან“ ერთად. კომუნიკაციის თეორიას, როგორც მეცნიერებას, დიდი ხნის ისტორია არა აქვს. იგი აქტუალური გახდა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად.

კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ვერბალური ან არავერბალური მეთოდებით.

**ვერბალური კომუნიკაცია** გულისხმობს სიტყვების საშუალებით ინფორმაციის გადაცემას.

**არავერბალური კომუნიკაცია** მოიცავს მოსაუბრის დამოკიდებულებას, რომელიც ავსებს სიტყვიერ ინფორმაციას. მოსაუბრის დამოკიდებულებაში იკვლისხმება: პოზა, მიმიკა, ჟესტიკულაცია, პაუზები, ხმის ინტონაცია, სქემა, დიაგრამა, შირიფტი და სხვ. არავერბალური სიგნალები ხელს უწყობენ სიტყვების მნიშვნელობის გაგებას. არავერბალური სიგნალები მიგვითითებენ იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს სიტყვების მნიშვნელობის გაგება. კომუნიკაცია ეფექტურია მაშინ, როდესაც ვიგებთ არა მხოლოდ ტექსტის პირდაპირ შინაარსს, არამედ ქვეტექსტსაც, ანუ იმას, თუ რას გულისხმობს მოსაუბრე მის მიერ ჩამოყალიბებულ ტექსტში.

არსებობს კომუნიკაციის განხორციელების მექანიკური და შემოქმედებით მიდგომებიც. კომუნიკაცია, მექანიკური მიდგომით, არის ცადმხრივი პროცესი ინფორმაციის წყაროდან ინფორმაციის მიმღებამდე. ხოლო კომუნიკაცია შემოქმედებითი მიდგომით, არის კომუნიკაციის მონაწილეთა ერთობრივი მოღვაწეობა, რომლის დროსაც გამომუშავდება საგნებზე და მოქმედებებზე საერთო შეხედულებები.

2014 წლის მონაცემებით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსით, საქართველო მსოფლიო ათეულში მოხვდა [19].

„საქართველო მსოფლიოს 166 ქვეყანას შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) განვითარების ინდექსით 9 ყველაზე დინამიურად განვითარებადი ქვეყნის ჩამონათვალში მოხვდა“.

დღეისათვის მსოფლიოში ადამიანთა ურთიერთობაში დიდ როლს თამაშობს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები და კავშირის ისეთ საშუალებები, როგორიცაა: ტელეფონი, ფაქსი, ვეფოსტა, ტელეკონფერენცია, ინტერნეტი, **Twitter, Facebook**, ბიბლორდები, გაზეთები, ჟურნალები და სხვ.

ცნება „**ტელეფონი**“ თანამედროვე ადამიანში იწვევს მობილური ტელეფონის ასოციაციას. მობილური ტელეფონმა ფართო გავრცელება ჰპოვა მსოფლიოში. კავშირის ფიჭური სტრუქტურით იგი თითქმის ფარავს მსოფლიოს. გარდა სატელეფონო ფუნქციისა, თანამედროვე მობილურ ტელეფონებს გააჩნიათ შემდეგი სერვისები: მოკლე ტექსტური შეტყობინებები, მულტიმედია შეტყობინებები (**MMS**), ვიდეოტელეფონი ფოსტა, წვდომა ინტერნეტთან, ახლო მანძილის უკაბელო კომუნიკაციები (**Infrared, Bluetooth**), ბიზნეს აპლიკაციები, თამაშები და ფოტოგრაფია.

ჩამოთვლილი შესაძლებლობების მქონე მობილურ ტელეფონებს, სმარტფონები ეწოდება.

### 1.4.1. ფაქსი

**ფაქსი** (ინგლ. **Fax**) — სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგია, რომლის მეშვეობით გადასცემენ გამოსახულებას ელექტრული სიგნალებით. წარმოადგენს ტელეფონისა და ტელექსის სინთეზს. იგი განიხილება როგორც ასლის გადაღების სისტემა, რომელიც ადრესატს აძლევს დოკუმენტის ასლს.

1971 წელს ამერიკური კომპანია BBN-ის მთავარმა ინჟინერმა რეი ტომლინსონმა ერთი კომპიუტერიდან მეორე კომპიუტერზე გაგზავნა შეტყობინება „**QWERTYUIOP**“ - სტანდარტული კლავიატურის ზედა რეგისტრის სიმბოლოები, რომელშიც პირველმა გამოიყენა ნიშანი „**@**“. შეტყობინება ზუსტად იქნა

მიღებული მეორე კომპიუტერზე. ამით დაიწყო ახალი ერა ადამიანთა ურთიერთობის ისტორიაში.

გასული საუკუნის დასაწყისში მნიშვნელობა ედითისათვის იყო ხელმისაწვდომი. 20-იან წლებში შემუშავებულ იქნა უნივერსობასთან ბრძოლის პროგრამა, ხოლო საუკუნის ბოლოს კი საზოგადოების გარკვეული ნაწილი მსოფლიოს ედექტრონულ ბიბლიოთეკებს ათვალთვლებდა **Internet**-ით.

მსოფლიო საზოგადოების განათლებულობის ამადღებამ დღის წესრიგში დააყენა საფოსტო მომსახურებაზე მოთხოვნა, რომელსაც დასაწყისში კერძო კომპანიები ახორციელებდნენ.

სახელმწიფო ორგანოები როგორც კი მიხვდნენ აღნიშნული სფეროს მნიშვნელობასა და მომგებიანობას, საფოსტო მომსახურება სახელმწიფო მონოპოლია გახდა.

საფოსტო მომსახურება საფოსტო მარკებით მე-19 საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა.

1844 წელს მორზემ დაამყარა პირველი სატელეგრაფო კავშირი 35 მილით დაშორებულ ქალაქებს (ვაშინგტონი-ბალტიმორი) შორის, სადაც გადასცა ფრაზა „**აი რა შუქია ღმერთს!**“.

#### **ტელეგრაფს ედექტრონი ფოსტა ეწოდა.**

ედექტროლობამ პირველი პრაქტიკული გამოყენება ტელეგრაფში ჰპოვა. ტელეგრაფი ვრცელდებოდა დაახლოებით ისეთივე სიჩქარით, როგორც დღეს ინტერნეტი.

### **1.4.2. ინტერნეტი**

დღის წესრიგში დადგა სხვადასხვა უნივერსიტეტების კომპიუტერების ერთმანეთთან შეერთების საკითხი. ამ პროექტმა მიიღო **ARPANET**-ის სახელწოდება. 1969 წელს ერთმანეთს მიუერთდა აშშ-ს ოთხი უნივერსიტეტის კომპიუტერები, რითაც შეიქმნა პირველი კომპიუტერული ქსელი.

1972 წელს **ARPANET**-ი აერთიანებდა 23 კომპიუტერს, რომლებისთვისაც შეიქმნა ედექტრონული ფოსტის ქსელური გაცვლის პირველი პროგრამა. **ARPANET**-ის ნაკვი ის იყო, რომ მას შეეძლო გაერთიანებია ერთმანეთის მსგავსი არქიტექტურის მქონე კომპიუტერები.

გასული საუკუნის 70-იან წლებში **ARPANET**-სთვის შემუშავებულ იქნა ინფორმაციის გადაცემის ახალი სტანდარტები, რომელიც საშუალებას იძლეოდა ერთმანეთთან დაეკავშირებინა სხვადასხვა არქიტექტურის მქონე ქსელები.

სწორედ ამ დროს წარმოიშვა სიტყვა **INTERNET**-ი [**INTERNATIONALE NETWORK**]. აღნიშნულმა სტანდარტებმა შემდგომში მიიღეს **TCP/IP** პროტო-

კოდების სახელწოდება და საფუძველი ჩაუყარეს გლობალური კომპიუტერული ქსელების შექმნას, რომელიც ითვალისწინებდა უკვე არსებული კომპიუტერული ქსელების გაერთიანებას.

1983 წელს **ARPANET**-ი გადავიდა ახად პროტოკოლზე და გაიყო ორ დამოუკიდებელ ქსელად სამხედრო და საგანმანათლებლო. ამ დროისათვის ქსელში გაერთიანებული იყო 1000-ზე მეტი კომპიუტერი, მათ შორის, ევროპაში და ჰავაის კუნძულებზე. ეს უკანასკნელი იყენებდნენ კავშირგაბმულობის თანამგზავრულ არხებს.

**INTERNET**-ის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა აშშ-ს სამეცნიერო ეროვნულმა ფონდმა (**NSF**), რომლის ინიციატივით აშშ-ს უმაღლესი განათლების სისტემაში შეიქმნა გლობალური ქსელური ინფრასტრუქტურა. **NSF**-მა შექმნა კავშირგაბმულობის ჩქაროსნული მაგისტრალური არხების ქსელები და გამოჰყო თანხები ამ ქსელში ამერიკის უნივერსიტეტების მისაერთებლად.

90-იან წლებამდე **INTERNET**-ი რჩებოდა საუნივერსიტეტო ქსელად. თუმცა **NSF**-ი მაშინათვე შეეცადა **INTERNET**-ი დამოუკიდებელი ყოფილიყო სახელმწიფო დაფინანსებისაგან. ამ მიზნით **NSF**-ი აწარმოებდა უნივერსიტეტების წახადისებას, რათა ეზოვნათ კომერციული კლიენტები.

1988 წლისთვის **INTERNET**-ი უკვე 56 ათას კომპიუტერს აერთიანებდა.

**INTERNET**-მა სწრაფი გავრცელება დაიწყო 1992 წლიდან, როცა შეიქმნა უცნაური სახელწოდების მქონე სამსახური „მსოფლიო ობობას ქსელი“ (**World Wide Web**), რომლის აბრევიატურული სახელწოდებაა **WWW**.

**WWW** წარმოადგენდა ნავიგაციის მოხერხებულ საშუალებას. **INTERNET**-ი ნელნელა გასცდა ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების ჩარჩოებს და მიმოწერისა და ფაიდების გაცვლის საშუალებიდან ინფორმაციის გიგანტურ „სათავსოდ“ გადაიქცა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ **INTERNET**-ი გახდა უზარმაზარი ელექტრონული ბიბლიოთეკა.

1992 წლისთვის **INTERNET**-ი აერთიანებდა დაახლოებით მილიონზე მეტ კომპიუტერს.

ჯერ კიდევ 1999 წელს ინტერნეტი აერთიანებდა დაახლოებით 60 მილიონ კომპიუტერსა და 275 მილიონ მომხმარებელს.

**INTERNET**-მა გამოიწვია მასთან დაკავშირებული ისეთი ახალი პროფესიების ჩამოყალიბება, როგორცაა: სისტემური ადმინისტრატორი და ქსელის ადმინისტრატორი. აღნიშნული პროფესიის ადამიანები უზრუნველყოფენ: კომპიუტერებისა და კომპიუტერული ქსელების უწყვეტ მუშაობას, ღებულობენ გადაწყვეტილებას ახალი მოწყობილობების შესყიდვამდე, აწარმოებენ ახალი მომხმარებლების რეგისტრაციას, უზრუნველყოფენ მომსახურე პროგრამების ახალი ვერსიების დაყენებას, თვალყურს ადევნებენ კომპიუტერული

უსაფრთხოების წესების შესრულებასა და სხვა. პატარა ორგანიზაციებში აღნიშნულ საქმიანობას ასრულებენ ე. წ. ოფის-მენეჯერები.

**INTERNET**-მა თავის მხრივ ცვლილებები გამოიწვია საზოგადოებაშიც. ადამიანის ერთ-ერთი თვისებაა ის, რომ ვერ იტანს ცვლილებებს, თუნდაც უკეთესობისკენ, ანუ „მიჩვეული ჭირი ურჩევნია მიუჩვეველს“. მაგრამ როცა მოდის ახალი, თუ ის საზოგადოებისათვის მიუღებელი არაა, სჯობია თვარი გავუსწოროთ, ფეხი ავუბათ და ხელი შევუწყოთ მის სწრაფ დანერგვას, რათა არ ჩამოვრჩეთ გლობალიზაციის პროცესებს, ანუ ვიხედმძღვანელოთ ანდაბით „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო“. ამერიკის მთავრობაში **INTERNET**-ის მთავარი პროპაგანდისტი აღბერტ გორი ამბობდა „დაე, ცვლილებები იყოს თქვენი მეგობარი“.

**INTERNET**-მა საფუძველი ჩაუყარა ინფორმაციული საზოგადოების შექმნას, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დაკავებულია ინფორმაციის წარმოებითა და დამუშავებით.

ინფორმაციული საზოგადოების შექმნამ გამოიწვია ის, რომ ჩვენი ფოსტა რამდენიმე წამში აღწევს ნებისმიერ წერტილს დედამიწის ზედაპირზე და თვით კოსმოსშიც, ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა მსოფლიოს ინფორმაციული რესურსები, ანუ ნებისმიერი ქვეყნის რკინის ფარდა გვერდზეა გადაწეული. **INTERNET**-ით ჩვენ შეგვიძლია მინიმალური დანახარჯებით დავამყაროთ, როგორც აუდიო, ისე ვიდეო ურთიერთობა ჩვენთვის სასურვედ, თუ არასასურვედ ადამიანთან მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. მივიღოთ მონაწილეობა ინტერნეტკონფერენციებში.

ამდენად, საზოგადოების ცივილიზაცია უწყვეტი პროცესია და მას ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს.

**ედექტრონული ფოსტა.** ედექტრონული ფოსტა არის ვირტუალური საფოსტო ყუთი, სადაც ადამიანებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ერთმანეთს ინტერნეტისა და კომპიუტერის დახმარებით, გაუგზავნონ შეტყობინება ან ფაილი. როგორც მობილურს გააჩნია საკუთარი ნომერი ისე გააჩნია ედექტრონულ ფოსტას საკუთარი მისამართი. მას გააჩნია უამრავი დადებითი თვისება, მაგალითად:

- ინფორმაციის გაგზავნის სწრაფი საშუალებაა;
- ედექტრონული საჩუქებისას ინფორმაცია უფრო დაცულია და შეტყობინება შესაძლებელია გაუგზავნოთ რამდენიმე ადამიანს ერთდროულად.

### 1.4.3. სოციალური ქსელები

ძნელია ინტერნეტში არსებული ყველა სოციალური ქსელის დახასიათება, რადგან მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულს შეადგენს. მთავარი

დადებითი მხარე სოციალური ქსელებისა არის ადამიანებს შორის ურთიერთობების დამყარება, გაცნობა, ახალი ინფორმაციის მიღება, ვიდეო და აუდიო ინფორმაციის ნახვა და მოსმენა. აღნიშნულიდან გამომდინარე სოციალური ქსელების მნიშვნელობა ადამიანისათვის ძალიან დიდია. ბევრი ადამიანი ინტერნეტში ამ მიზნით ქმნის საკუთარ გვერდს.

სოციალური ქსელები, როგორც აღვნიშნეთ რათქმა უნდა კარგია, ისინი ამარტივებენ ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ მათ გააჩნიათ დადებითთან ერთად უარყოფითი მხარეები. ამიტომ სოციალურ ქსელებთან მიმართებაში საჭიროა გარკვეული სიფრთხილე.

ქვემოთ განვიხილოთ მსოფლიოში პოპულარული რამდენიმე სოციალური ქსელი.

#### 1.4.3.1. ფეისბუკი (Facebook)

**Facebook** - სოციალური ქსელი, რომელსაც ფლობს კომპანია **Facebook, Inc.** მომხმარებლებს შეუძლიათ დაამატონ მეგობრები და გააგზავნონ მესიჯები, შექმნან და განაახლონ პერსონალური პროფილები. გარდა ამისა, მომხმარებელს შეუძლია შეუერთდეს ქსელს ქადაქის, სამუშაო ადგილის, სკოლის ან რეგიონის მონაცემების მიხედვით.

**Facebook-ი** დაარსა **მარკ ცუკერბერგმა**, 2004 წელს, ჰარვარდის უნივერსიტეტში სტუდენტობის დროს.

ფეისბუკი დღეისათვის ყველაზე პოპულარული ქსელია მსოფლიოში. 2015 წლისათვის ამ ქსელის მომხმარებელთა რაოდენობამ გადააჭარბა 1,55 მლრდ. იგი მრავალენოვანი სოციალური ქსელია და მოიცავს მსოფლიოს 200 ქვეყანას.

#### 1.4.3.2. გუგლი+ (Google+)

**Google+** არის სოციალური ქსელი კომპანია **Google-ს** მიერ დაარსებული 2011წელს. 2012 წლისათვის **Google-ის** მომხმარებელთა რაოდენობამ გადააჭარბა 400 მლნ. ამ ქსელის აქტიურ მომხმარებელთა ყოველთვიური რაოდენობა შეადგენს 100 მლნ. აღნიშნული სოციალური ქსელი ინტერნეტის მეშვეობით იძლევა ადამიანთა შორის ურთიერთობების დამყარების საშუალებას შემდეგი კომპონენტების საშუალებით: თემები, ვიდეოშეხვედრები და წიგნები.

**Google+** მრავალენოვანი სოციალური ქსელია.

### 1.4.3.3. Одноклассники (OK.Ru)

სოციალური ქსელი „Одноклассники“ ეკუთვნის **Mail.Ru Group**-ს. იგი დააფუძნა ღონღონში მცხოვრებმა ადბერტ პოპკოვმა 2006 წელს. 2013 წლისთვის ამ ქსელის მომხმარებელთა რაოდენობა იყო 205 მლ. ადამიანი. 2015 წლისათვის დღე-ღამის განმავლობაში ქსელით სარგებლობდა 70 მილიონე მეტი მომხმარებელი. ქსელის შექმნის ძირითადი მიზანი იყო თანაკლასელებისა და თანაკურსელების მოძებნა. სერვისი საშუალებას იძლევა არამარტო აღვადგინოთ დაკარგული კავშირები, არამედ დავამყაროთ ურთიერთობები შეტყობინებებისა და ვიდეო ჩატების საშუალებით. ინტერესების მხედვით შევქმნათ ჯგუფები, მომხმარებელს საკუთარ გვერდზე შეუძლია შექმნას სტატუსები, ფოტოაღბომები, დაუმატოს სხვადასხვა დანართები, დაათვალიეროს სტუმართა სია, გაეცნოს მეგობრების სიახლეებს, განახორციელოს ონლაინ თამაშები და სხვ. ქსელი რუსულენოვანია.

### 1.4.3.4. My Space

ამ სოციალური ქსელის დანიშნულებას განმარტავენ, როგორც **„ონლაინ საზოგადოებას თქვენი მეგობრების მეგობრებთან ურთიერთობებისათვის“**. **My Space**-ი შეიქმნა 2003 წელს. ინგლისურენოვანია. მომხმარებელთა რაოდენობა 80 მლ. აჭარბებს.

**My Space**-ის მონაწილეებს შეუძლიათ ინტერესების მიხედვით შექმნან საკუთარი თანასაზოგადოება, განათავსონ ქსელში ფოტოსურათები, მუსიკა, და ვიდეო მასალები, შექმნან ბლოგები.

### 1.4.3.5. LinkedIn

**LinkedIn**-ი შეიქმნა 2003 წელს. მომხმარებელთა რაოდენობამ გადაჭარბა 100 მილიონს. ქსელის საშუალებით შესაძლებელია საკუთარი პორტფოლიოს შექმნა, კლიენტებისა და პარტნიორების მოძიება და ურთიერთობების გააფართოება საქმიან ადამიანებთან და პროფესიონალებთან.

### 1.4.3.6. ტვიტერი

**Twitter** - არის სოციალური ქსელი მომხმარებლებს შორის ინფორმაციის გასაცვლელად. იგი მოიცავს სოციალური ქსელისა და მიკრობლოგინგის სერვისებს. მომხმარებლებს შეუძლიათ გაგზავნონ და წაიკითხონ შეტყობ-

ბინებები - „ტვიტები“ (**tweets**). ტვიტი არის 140-მდე სიმბოლოსგან შემდგარი ტექსტური პოსტი, რომელიც მომხმარებლის გვერდზე ჩანს.

მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ და გაგზავნონ ტვიტები ტვიტერის ვებგვერდის, თავსებადი გარე აპლიკაციების, ან მოკლეთქსტური შეტყობინების სერვისის მეშვეობით.

**Twitter**-ის მთავარი ოფისი მდებარეობს სან-ფრანცისკოში, კალიფორნიის შტატში. ტვიტერს ოფისები და სერვერები აქვს აგრეთვე სან-ანტონიოსა და ბოსტონში.

2006 წლიდან ტვიტერმა მოიპოვა მსოფლიო პოპულარობა. დღეს-დღეობით მას ჰყავს დაახლოებით 190 მილიონი მომხმარებელი და ყოველდღიურად აგენერირებს 65 მილიონ შეტყობინებას. ზოგჯერ მას „**ინტერნეტის SMS**“-ს უწოდებენ.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა მსოფლიოში შექმნილია სხვადასხვა დანიშნულებისა და მიმართულებების სოციალური ქსელები.

#### 1.4.3.7. სკაიპი (Skype)

სკაიპ ტექნოლოგიის კომპანია შეიქმნა 2003 წელს შვედ ნიკლას ბენსტერემისა და დანიელ იანუს ფრისის მიერ. სკაიპის პროგრამის შექმნაში აგრეთვე მონაწილეობდნენ ესტონელი პროგრამისტები აჰტი ჰეინლა (ესტ. **Ahti Heinla**), პრიიტ კაზესალუ (ესტ. **Priit Kasesalu**) და იან ტალინი (ესტ. **Iaan Tallinn**). სკაიპის საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს: ხმოვანი კავშირი, ვიდეოკავშირი, ვიდეოკონფერენცია, **SMS** შეტყობინება, ჯგუფური ვიდეობარები, ფაილების გაცვლა, გამომავალი მარები მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში, როგორც მობილური, ასევე სტაციონარული ტელეფონებიდან. საუბრის ღირებულების ანაზღაურება წუთობრივია.


2011 წელს Microsoft-მა შეიძინა სკაიპის შემმუშავებელი კომპანია 8,5 მილიარდ დოლარად. ამ მომენტიდან სკაიპის ყველა უფლება გადავიდა Microsoft-ის ხელში. 2010 წელს სკაიპში სააღრიცხვო ჩანაწერების რაოდენობამ გადააჭარბა 663 მლნ. 2012 წლის 23 თებერვადს სკაიპით ერთდღოვად ისარგებლა 32 მილიონმა მომხმარებელმა. 2008 წელს სკაიპი კომპანიის შემოსავალმა შეადგინა 145 მლნ დოლარი.

## თავი 2. ბიზნეს-გარემოში არსებული დოკუმენტების მომზადება MS Word 2010-ის გამოყენებით

### 2.1. ბიზნესის სფეროში არსებულ ბდანკვებთან და შაბლონებთან მუშაობა








#### Word 2010-ის ჩატვირთვა





არსებობს **Word 2010**-ის ჩატვირთვის რამდენიმე ვარიანტი. მოვიყვანოთ ერთ-ერთი. დავაჭიროთ ვკრანის მარცხენა ქვედა კუთხეში მოთავსებულ ღიდავს **Start / All Programs** / გაშლილ მენიუში მოვძებნოთ **Microsoft Office**. გაიშლება **Microsoft Office**-ის ჩამონათვალი / ავირჩიოთ **Microsoft Office Word 2010** / გაიხსნება **Microsoft Office Word 2010**-ის მთავარი ფანჯარა (იხ. სურ.2.1.1).



2.1.1. Word 2010-ის მთავარი ფანჯრის სტრუქტურა

1. **File** ფუნქციის ღიდავი **File**, სადაც განთავსებულია **Word**-ის მარტივი ბრძანებები და ბოლო დროს შესრულებული საბუთების სია;

2. სწრაფი მიმართვის ზოლი, განკუთვნილია ხშირად გამოყენებად ფუნქციებთან სწრაფი მიმართვისათვის;
3. სატიტულო ზოლი - გვიჩვენებს საბუთის დასახელებას;
4. მენიუს ზოლი. აქ განთავსებულია **Word**-ის ძირითადი ფუნქციები შესაბამისი ინსტრუმენტთა პანელებით;
5. ინსტრუმენტთა პანელი, რომელიც განლაგებულია მენიუს ზოლის ქვეშ;
6. ლიდაკი  - **Minimize**. ამ ლიდაკის დაჭერით **Word**-ის აქტიური ფანჯარა განთავსდება ამოცანათა პანელზე;
7. ლიდაკი  - **Restore Down**. ამ ლიდაკის დაჭერით **Word**-ის ფანჯარა სიმეტრიულად შემცირდება და ლიდაკი - **Restore Down** შეიცვლება ლიდაკით  - **Maximize**. მასზე კურსორის დაჭერით **Word**-ის ფანჯარა სიმეტრიულად გადიდება მთელს ეკრანზე;
8. ლიდაკი  - **Close**. ამ ლიდაკზე კურსორის დაჭერა დახურავს **Word**-ის ფანჯარას;
9. ლიდაკი  - **Word**-ის დახმარების ცნობარი **M Microsoft Office Word Help**;
10. ლიდაკი  - **View Ruler**. ამ ლიდაკზე კურსორის დაჭერით გამოვა ჰორიზონტალური და ვერტიკალური სახაზავი;
11. ლიდაკებით   შეგვიძლია საბუთის გადაადგილება ზევით ან ქვევით;
12. ლიდაკი  - **Previous Page**. საბუთის წინა გვერდზე გადასვლა;
13. ლიდაკი  - **Select Browse Object**. ამ ლიდაკზე დაჭერით გადავადტ საბუთში განთავსებულ სხვადასხვა ობიექტზე;
14. ლიდაკი  - **Next Page**. ამ ლიდაკზე დაჭერით გადავადტ საბუთის შემდეგ გვერდზე;
15. მარჯვენა ქვედა კუთხეში განლაგებული ლიდაკი  - **Zoom** - ეკრანზე საბუთის ზომის შეცვლის ლიდაკი;
16. ლიდაკი  - **Draft** - ამ რეჟიმის ჩართვისას ეკრანის მარცხენა ნაწილში ავტომატურად ჩნდება საბუთის სქემა, სადაც შეგვიძლია გამოვიყენოთ **Word 2010**-ის ახალი შესაძლებლობები;

17. ღილაკი  - **Outline View** - სტრუქტურა. ამ რეჟიმის ჩართვისას ეკრანის მარცხენა ნაწილში ავტომატურად ჩნდება საბუთის სქემა, რომელიც მასში ადვილი გადაადგილების საშუალებას იძლევა;
18. ღილაკი  - **Web Layout** - ვებ-საბუთი, რომელიც საბუთის ვებგვერდის სახით წარმოდგენის საშუალებას იძლევა;
19. ღილაკი  - **Full Screen Reading** \_ კითხვის რეჟიმი. ეს რეჟიმი საბუთს წიგნის სახით წარმოგვიგენს;
20. ღილაკი  - **Print Layout View** - გვერდების ბეჭდვის რეჟიმი. ეს რეჟიმი საბუთს წარმოადგენს დასაბეჭდი ფორმით;
21. საინფორმაციო სტრიქონი, სადაც მოცემულია საბუთის გვერდების რაოდენობა, საბუთში სიტყვების რაოდენობა და სხვა ინფორმაცია;
22. ამოცანათა პანელი - **Taskbar**, სადაც განთავსებულია აქტიური ფანჯრების დასახელებები. მისი გადატანა შეგვიძლია სამუშაო მაგიდის მარცხენა, მარჯვენა ან ზედა ნაწილში. ამისათვის საკმარისია მივიყვანოთ კურსორი ამოცანათა პანელთან, დავაჭიროთ თავგის მარცხენა ღილაკს და თითის აულებრად გადავიტანოთ სასურველ ადგილზე;
23. სამუშაო არე, რომელშიც განთავსდება საბუთი.

### **Word-ის ახალი დოკუმენტის შექმნა შაბლონების გამოყენებით**

**Word**-ში ახალი დოკუმენტის შესაქმნელად უნდა შევასრულოთ მოქმედებათა შემდეგი თანმიმდევრობა: კურსორის მოქმედებით მენიუს ზოლზე გავააქტიუროთ ფუნქცია **File**. გამოსურ ჩამონათვალში (იხ. სურ. 2.1.2) ავირჩიოთ ბრძანება **New**.




სურ. 2.1.2. ფუნქცია File-ის ბრძანებათა ჩამონათვალი

გამოვა ახალი დოკუმენტის შექმნის ფანჯარა(იხ.სურ.2.1.3), რომელიც გაყოფილია სამ ნაწილად. შუა ნაწილი გაყოფილია ორად: ზედა **Available Templates** და ქვედა **Office.com Templates** განყოფილებად.


ზედა **Available Templates**-ში მოცემულია Microsoft Word 2010-ში არსებული სტანდარტული შაბლონები, ხოლო **Office.com Templates** განყოფილებაში – სერვერზე განთავსებული შაბლონები, სადაც შეგვიძლია სასურველი ტიპის დოკუმენტის არჩევა.

ახალი დოკუმენტის შესაქმნელად ფანჯრის მესამე მარჯვენა ნაწილში კურსორის მოქმედებით გავააქტიურით **Blank document**-ის ქვემოთ განთავსებული ბრძანება **Create**. ეკრანზე გამოვა Word-ის ფანჯარა ახალი დოკუმენტით.



სურ. 2.1.3. ახალი დოკუმენტის შექმნის ფანჯარა


**Available Templates** განყოფილებიდან შაბლონის ასარჩევად საჭიროა ახალი დოკუმენტის შექმნის ფანჯარაზე (იხ. სურ.2.1.3) ვიმოქმედოთ შაბლონების ნიმუშებზე, მაგ., **Sample templates**-ზე. ფანჯარაში გამოჩნდება შაბლონების ვარიანტები (იხ. სურ. 2.1.4) / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ ჩვენთვის სასურველი შაბლონი. შაბლონი გამოჩნდება ფანჯრის მარჯვენა



სურ. 2.1.4. შაბლონების ამოსარჩევი ფანჯარა


ნაწილში (იხ. სურ.2.1.4) / კურსორის მოქმედებით გავააქტიურეთ ფანჯრის მარჯვენა ნაწილის ქვედა არეში განთავსებული ბრძანება **Create**. გაიხსნება დოკუმენტი-შაბლონი / შევითანოთ მასში სასურველი მონაცემები და შევინახოთ შაბლონი ახალი სახელით შემდეგნაირად: კურსორის მოქმედებით გავააქტიურეთ **File / Save As /** გამოსურდ დიალოგურ ფანჯარაში მივუთითოთ ფაილის განთავსების ადგილი, მაგ., **Desktop /** ფაილის სახელით **Shabloni-1 /** გავააქტიურეთ დიალოგური ფანჯრის ქვედა მარჯვენა კუთხეში **Save** ბრძანება.

ბიზნეს-დოკუმენტის გამოსაძახებლად **Office.com Templates** განყოფილებიდან შევასრულოთ ბრძანებების შემდეგი თანმიმდევრობა: კურსორის მოქმედებით გავააქტიურეთ მენიუს ზოლზე არსებული ფუნქცია **File**. გამოვა ბრძანებათა ჩამონათვალი / მიღებულ ჩამონათვალში კურსორის მოქმედებით გავააქტიურეთ **New /** გამოსურდი ფანჯრის **Office.com Templates** განყოფილებაში შაბლონების ჩამონათვალში ავირჩიოთ სასურველი ვარიანტი, მაგ., **Business** (იხ. სურ. 2.1.5) და კურსორის მოქმედებით გავააქტიურეთ.



სურ.2.1.5. ბიზნეს-შაბლონის არჩევის ფანჯარა

გამოვა ახალი ფანჯარა, რომლის შუა ნაწილში მოცემულია შაბლონების ჩამონათვალი / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ რომელიმე მათგანი, მაგ., **Business cards (10 per page)** (იხ. სურ.2.1.6).



სურ. 2.1.6. ბიზნეს-ბარათის ასარჩევი ფანჯარა

ფანჯრის მარჯვენა მხარეს გამოჩნდება ბიზნეს ბარათის შაბლონი / კურსორის მოქმედებით გავააქტიურეთ ფანჯრის მარჯვენა ქვედა არეში განთავსებული ბრძანება **Download** / მოხდება ამ ბარათ-შაბლონის გადმოტანა სერვერიდან და ეკრანზე გაიხსნება ვორდის დოკუმენტის სახით, რომელშიც მოცემული იქნება ბიზნეს-ბარათის 10 ეგზემპლარი (იხ. სურ. 2.1.7).



სურ. 2.1.7. ბიზნეს ბარათის შაბლონი

ბიზნეს ბარათების ყველა ეგზემპლარიანს ერთდროულად შესავსებად, საჭიროა კურსორით ვიმოქმედოთ პირველი ბარათის პირველ მაჩვენებელზე. მაჩვენებელი მოინიშნება ბლოკის სახით (იხ.სურ.2.1.8) / მოინიშნულ მაჩვენებელში ჩავწეროთ კომპანიის დასახელება, მაგ., „**ეკოტექსი**“. მოვნიშნოთ შემდეგი მაჩვენებელი. ამ მაჩვენებლის მონიშვნისას პირველი ჩანაწერი გავრცელება ყველა ბარათზე (იხ. სურ. 2.1.9) / შევავსოთ მონიშნული მეორე მაჩვენებელი შესაბამისი მონაცემით / როგორც კი მოვნიშნავთ შემდეგ მაჩვენებელს მეორე ჩანაწერიც გავრცელება ყველა ბარათზე.

ასეთნაირად შევავსოთ პირველი ბარათის ყველა მარკენებელი. დანარჩენ ბარათებზეც გავრცედდება პირველი ბარათის ჩანაწერები. შესაბამისად მივიღებთ მზა ბიზნეს-ბარათებს.




სურ. 2.1.8. მონაცემის შეტანა ბიზნეს-ბარათში




სურ. 2.1.9. შევსებული ბიზნეს ბარათები

თუ მოვნიშნავთ ბიზნეს-ბარათს (ან მოვნიშნავთ ყველა ბარათს) მენუს ზოლზე გამოჩნდება დამატებითი მენიუ **Table Tools**, რომელშიც მოცემულია ბარათის დასამუშავებლად საჭირო ბრძანებები (იხ. სურ. 2.1.10).



სურ. 2.1.10. Table Tools-ის ინსტრუმენტთა პანელი

ბიზნეს-ბარათებს შეგვიძლია შევუცვალთ არსებული სტილი. ამისათვის, მოვნიშოთ ბიზნეს-ბარათი / კურსორით ვიმოქმედოთ მენიუს ზოლის **Home** ფუნქციაზე / **Styles** განყოფილებაში კურსორით ვიმოქმედოთ ფუნქციაზე **Change Styles-ზე** / ჩამონათვაღში ამოვირჩიოთ **Style Set** / გამოვა სტილების ჩამონათვაღი (იხ. სურ. 2.1.11) / ავირჩიოთ სასურველი სტილი. ბიზნეს ბარათი მიიღებს შესაბამისი სტილის სახეს.



სურ. 2.1.11. სტილების ჩამონათვაღი


## 2.2. ბიზნეს-დოკუმენტების დაფორმატება და სტილებთან მუშაობა

### დოკუმენტების დაფორმატება.

დოკუმენტის დაფორმატება გულისხმობს ამ დოკუმენტში განთავსებული ტექსტისათვის სხვადასხვა პარამეტრების შერჩევას, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მენიუს ზოღზე განლაგებული ფუნქციების ინსტრუმენტთა პანელის სხვადასხვა განყოფილებაში განთავსებული ინსტრუმენტებით.


მაგალითად, **Home** ფუნქციის ინსტრუმენტთა პანელის სხვადასხვა განყოფილებაში განთავსებული ინსტრუმენტების მიხედვით ხდება:

- ტექსტისათვის შრიფტის შერჩევა, შრიფტის ზომის მინიჭება, მისი გამუქება, დახრა, ქვეშ ხაზგასმა, ფერის მინიჭება, ტექსტის ქვეშ ფონის დადება და სხვ. ფუნქციების შესრულება შესაძლებელია **Home** ფუნქციის **Font** განყოფილების ინსტრუმენტებით (იხ. სურ. 2.2.1).



სურ. 2.2.1. Home ფუნქციის Font განყოფილების ინსტრუმენტები


- ტექსტისათვის კიდევების გასწორება, ხაზებს შორის სივრცის რეგულირება, აბზაცის პარამეტრების დაყენება, აბზაცების მონიშვნა მარკერებით, ჩამონათვადის დანომვრა, ტექსტის ჩასმა ჩარჩოში, დანომრილი ჩამონათვადის დადაგება ზრდადობისა და კლებადობის მიხედვით და სხვ. ფუნქციების შესრულება შესაძლებელია **Home** ფუნქციის **Paragraph** განყოფილების ინსტრუმენტებით (იხ. სურ. 2.2.2).



სურ. 2.2.2. Home ფუნქციის Paragraph განყოფილების ინსტრუმენტები

### სტილებთან მუშაობა.

სტილი არის დაფორმატების პარამეტრების ერთობლიობა, რომელსაც აქვს სახელი. ტექსტისათვის სტილების მინიჭება ხდება Home ფუნქციის Styles განყოფილების ინსტრუმენტებით (იხ. სურ. 2.2.3).



სურ. 2.2.3. Home ფუნქციის Styles განყოფილების ინსტრუმენტები

## 2.3. სარჩევის ავტომატური შექმნა

Word 2010-ის გადერვა სარჩევის შექმნის სხვადასხვა ვარიანტს გვთავაზობს. განვიხილოთ სარჩევის ავტომატური შექმნა კონკრეტულ მაგალითზე. ქვემოთ მოცემულია ერთ-ერთი სახელმძღვანელოს “ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკასა და ბიზნესში” სტრუქტურა. სადაც ხაზები გულისხმობს იმ სათაურის ქვეშ არსებულ ტექსტს.

შესავალი

-----  
-----  
-----

თავი 1. ინფორმაციული პროცესები ეკონომიკაში

1.1. ინფორმაციის ცნება

-----  
-----  
-----  
-----  
-----

1.1.1. ინფორმაციის კლასიფიკაცია

-----  
-----  
-----  
-----  
-----

1.2. მონაცემები, ინფორმაცია, ცოდნა

-----  
-----  
-----  
-----  
-----

1.2.1. მონაცემები

-----  
-----  
-----  
-----  
-----

თავი 2. ინფორმატიკა და ინფორმატიზაცია

2.1. ინფორმაციის როლი საზოგადოების განვითარებაში

-----  
-----  
-----

-----  
-----  
2.2. საზოგადოების ინფორმაციზაცია  
-----  
-----  
-----


გამოყენებული ლიტერატურა

Word-ს აქვს 9 სხვადასხვა ჩაშენებული სტილი: **Heading1**-დან **Heading9**-მდე.


ზემოთ მოყვანილი წიგნის სტრუქტურაში შესავადს, თავების დასახელებებს და გამოყენებულ ლიტერატურას მივანიჭოთ პირველი დონე **Heading1**, პარაგრაფების დასახელებას მივანიჭოთ მეორე დონე **Heading2**, ქვეპარაგრაფების დასახელებას - მესამე დონე **Heading3**.

დონეების მისანიჭებლად საჭიროა ცად-ცადვე მოვნიშნოთ შესაბამისი დონეები / გავააქტიუროთ მენიუს ზოღზე განდაგებული ფუნქცია **Home**. გამორჩევა შესაბამისი ინსტრუმენტთა პანელი / მივმართოთ განყოფილებას **Style** და ავირჩიოთ ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული დონეები.

კურსორი დავსვათ იქ, სადაც სარჩევის შექმნა გვსურს / მივმართოთ მენიუს ზოღზე არსებულ ფუნქციას **Reference**. გამოვა შესაბამისი ინსტრუმენტთა პანელი / **Table of Contents** განყოფილებაში კურსორით ვიმოქმედოთ **Table of Contents**-ის მარჯვენა მხარეს განთავსებულ ისარს. ჩამოიშლება სარჩევის ავტომატური შექმნის ვარიანტები / (იხ. სურ. 2.3.3) კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ ჩამონათვადის ბოლოს განთავსებული ფუნქცია **Insert Table of Contents** / გამოვა დიალოგური ფანჯარა **Table of Contents** (იხ. სურ. 2.3.4)




სურ. 2.3.3. Insert Table of Contents ფუნქცია



სურ. 2.3.4. Table of Contents დიალოგური ფანჯარა

გააქტიურებული **Table of Contents** ფუნქციით / დიალოგურ ფანჯარაში კურსორის მოქმედებით გავააქტიურეთ ღილაკი **Options**. გამოვა დამატებითი დიალოგური ფანჯარა **Table of Contents Options** (იხ. სურ. 2.3.5) /



სურ. 2.3.5. Table of Contents Options დამატებითი დიალოგური ფანჯარა

Table of Contents Options ფანჯარაში Available styles მხარეს ჩამონათვალში მოცემულია სარჩევის სტილის დასახელებები Heading 1, Heading 2, Heading 3 რომელიც უნდა გამოვიყენოთ დოკუმენტში, ხოლო TOC Level ვეღში სტილის სახელის გასწვრივ, მოცემულია დონეების მისათითებელი რიცხვები 1-დან 3-მდე. გავააქტიუროთ Table of Contents Options დიალოგური ფანჯრის ლიდაკი OK / გავააქტიუროთ Table of Contents დიალოგური ფანჯრის ლიდაკი OK. მივიღებთ სარჩევს (იხ. სურ.2.3.6)

შესავალი..... 1

თავი 1. ინფორმაციული პროცესები ეკონომიკაში ..... 1

    1.1. ინფორმაციის ცნება..... 1

        1.1.1. ინფორმაციის კლასიფიკაცია..... 1

    1.2. მონაცემები, ინფორმაცია, ცოდნა..... 1

        1.2.1. მონაცემები..... 1

თავი 2. ინფორმატიკა და ინფორმატიზაცია ..... 1

    2.1. ინფორმაციის როლი საზოგადოების განვითარებაში..... 1

    2.2. საზოგადოების ინფორმატიზაცია..... 2

გამოყენებული ლიტერატურა..... 2


სურ. 2.3.6. ავტომატურად შექმნილი სარჩევი

თუ სარჩევის რომელიმე სათაურთან ან პარაგრაფთან მივიტანთ კურსორს და პარადეურად ვიმოქმედებთ **Ctrl** ღილაკზე, კურსორი სარჩევიდან ავტომატურად გადავა ტექსტის შესაბამის სათაურზე.

თუ დოკუმენტში დავამატეთ ან ამოვიღეთ სარჩევის რომელიმე პუნქტი, სარჩევი შეიძლება განვაახლოთ სწრაფად. სარჩევის გასაახლებლად საჭიროა: კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ მენიუს ბოლის ჩანართი **References / Table of Contents** განყოფილებაში კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Update Table** (იხ. სურ. 2.3.7). გამოვა დიალოგური ფანჯარა **Update Table of Contents** (იხ. სურ. 2.3.8) შეტყობინებით: მთლიანი სარჩევის განახლება გვინდა თუ მხოლოდ გვერდების ნომრების - **Update entire table** ან **Update page numbers only** / ავირჩიოთ **Update entire table** / გავააქტიუროთ ღილაკი **OK**. მივიღებთ განახლებულ სარჩევს.



სურ. 2.3.7. Update Table ფუნქცია




სურ. 2.3.8. Update Table of Contents დიალოგური ფანჯარა

სარჩევის წასაშლელად მოვნიშნოთ სარჩევი და ვიმოქმედოთ კლავიატურის **Delete** ღილაკზე. სარჩევი წაიშლება.

## 2.4. ცხრილებთან მუშაობა Word-ში. ცხრილების აგების ვარიანტები

Word-ში ცხრილის შესაქმნელად საჭიროა:

ა) დავსვათ კურსორი საბუთში იქ სადაც გვინდა ცხრილის აგება/ მენიუს ზოლზე ვიმოქმედოთ ფუნქციაზე **Insert / Insert-ის** ინსტრუმენტთა პანელის ქვეგანყოფილებაში **Tables** ვიმოქმედოთ კურსორით ფუნქცია **Table-ს** ისარზე ▼ / ჩამოშლილ ფანჯარაში გამოჩნდება კვადრატები, რომელიც აღნიშნავს ცხრილის სვეტებისა და სტრიქონებს (იხ. სურ. 2.4.1) / თავის მარცხენა ღილაკიდან თითქმის აუღებლად მოვნიშნოთ საჭირო




სურ. 2.4.1. ცხრილის სვეტებისა და სტრიქონების ნიმუშის ფანჯარა

რაოდენობის კვადრატები. ცხრილის სტანდარტული ფორმა ჩაჯდება იქ სადაც დგას კურსორი / შემდეგ კი ასაგები ცხრილის მიხედვით შევცვალოთ ცხრილის სვეტებისა და სტრიქონების სიგრძე და სიგანე გამყოფი ხაზების გადაადგილებით. ცხრილის აგების ეს ვარიანტი გამოსადეგია მარტივი ცხრილის ასაგებად.

ბ) დავსვათ კურსორი საბუთში იქ სადაც გვინდა ცხრილის აგება/ მენიუს ზოლზე ვიმოქმედოთ ჩანართზე **Insert / Insert-ის** ინსტრუმენტთა პანელის ქვეგანყოფილებაში **Tables** ვიმოქმედოთ კურსორით ფუნქცია **Table-ს** ისარზე ▼ / ჩამოშლილ მენიუში (იხ. სურ. 2.4.1.) ამოვირჩიოთ ბრძანება **Insert Table /** გამოვა დიალოგური ფანჯარა **Insert Table** (იხ.სურ. 2.4.2) / ვედში **Number of columns:** ღილაკების ▲▼ საშუალებით მივუთითოთ ცხრილის სვეტების რაოდენობა / ვედში **Number of rows:** ღილაკების ▲▼ საშუალებით მივუთითოთ

ცხრილის სტრიქონების რაოდენობა / **OK**. ცხრილი ჩაჯდება საბუთის იმ ადგილზე სადაც დგას კურსორი.



სურ. 2.4.2. Insert Table-ის დიალოგური ფანჯარა

გ) თუ გვინდა ჩვენ თვითონ დავხაზოთ ცხრილი საჭიროა დავსვათ კურსორი საბუთში იქ სადაც გვინდა ცხრილის აგება და მენიუს ბოლზე გავააქტიუროთ ფუნქცია **Insert** / ინსტრუმენტთა პანელის ქვეგანყოფილებაში **Tables** კურსორით დავაჭიროთ **Table**-ის ისარს  / ჩამოშლიდ მენიუში (იხ.სურ. 2.4.1) დავაჭიროთ ფუნქციას **Draw Table**. კურსორი მიიღებს ფანქრის ფორმას და მენიუს ბოლზე გამოჩნდება **Table Tools Design** და **Layout** ინსტრუმენტებით. (იხ. სურ. 2.4.3)./



სურ. 2.4.3. Table Tools ჩანართების ინსტრუმენტთა პანელი

გადავიღეთ იქ სადაც უნდა ავაგოთ ცხრილი / ფანქარ-კურსორით დავხაზოთ ცხრილი / ცხრილის დახაზვისას გამოვიყენოთ ინსტრუმენტთა პანელზე განლაგებული სტილები (ცხრილის ხაზვის სტილი, ფერი, ცხრილის უჯრების შევსება ფერით და სხვა) / თუ ცხრილში ხაზი არასწორად გავავდეთ შეგიძლია წავშალოთ **Table Tools / Design** ინსტრუმენტთა პანელზე მარჯვენა კუთხეში

განდაგებული საშუალებით **Eraser** / ცხრილის დახაზვის დამთავრების შემდეგ კურსორი ორჯერ დაგანკაპუნოთ ნებისმიერ ადგილზე.

### **ცხრილის უჯრების მონიშვნის გარიანტები.**

ა) კურსორი დავაყენოთ პირველ მოსანიშნ უჯრაზე და თავის მარცხენა ღიდაკიდან თითის აულებდად კურსორი გადავატაროთ მოსანიშნი სტრიქონებისა და სვეტების უჯრებზე;


ბ) იმისათვის, რომ მოვნიშნოთ მთლიანი სტრიქონი, კურსორი მივიყვანოთ მოსანიშნი სტრიქონის მარცხენა საზღვართან ცხრილს გარეთ. კურსორი მიიღებს მარჯვნივ გადახრილი ისრის ფორმას. დავაჭიროთ თავის ღიდაკს ერთხედ;

გ) იმისათვის, რომ მოვნიშნოთ მთლიანი სვეტი კურსორი მივიყვანოთ მოსანიშნი სვეტის ზედა საზღვართან ცხრილს გარეთ. კურსორი მიიღებს ქვემოთ მიმართული შავი ისრის ფორმას. დავაჭიროთ თავის ღიდაკს ერთხედ;

დ) იმისათვის, რომ მოვნიშნოთ რამდენიმე სვეტი ერთდროულად, კურსორი მივიყვანოთ პირველი მოსანიშნი სვეტის ზედა საზღვართან ცხრილის გარეთ. კურსორი გახდება შავი ისრის ფორმის. დავაჭიროთ თავის მარცხენა ღიდაკს და დაჭერიდ მდგომარეობაში კურსორი გადავასრიალოთ მოსანიშნი სვეტების თავზე.



### **ცხრილის უჯრების გაერთიანება.**


კურსორი დავაყენოთ გასაერთიანებელი უჯრების პირველ უჯრაში / დავაჭიროთ თავის მარცხენა ღიდაკს და კურსორი გადავასრიალოთ მოსანიშნი უჯრების არეში. უჯრები მონიშნება / მონიშნდ უჯრებზე დავაჭიროთ თავის მარჯვენა ღიდაკს. გაშლილ კონტექსტურ მენიუში დავაჭიროთ ფუნქციას **Merge Cells** (იხ.სურ.2.4.4) . უჯრები გაერთიანდება.




სურ. 2.4.4. უჯრების გაერთიანების ფუნქცია Merge Cells

#### ცხრილის უჯრის დაყოფა.

კურსორი დავაყენოთ იმ უჯრაზე, რომლის დაყოფა გვინდა რამოდენიმე უჯრად / დავაჭიროთ თავგის მარჯვენა ღილაკს / გაშლილ კონტექსტურ მენიუში (იხ. სურ. 2.4.5.) დავაჭიროთ ფუნქციას **Split Cells...** / გამოვა დიალოგური ფანჯარა **Split Cells** (იხ.სურ. 2.4.6), რომლის **Number of columns** ვეღში  ღილაკების საშუალებით მივუთითოთ სვეტების რაოდენობა / ვეღში **Number of rows**  ღილაკების საშუალებით მივუთითოთ სტრიქონების რაოდენობა / გავააქტიუროთ ღილაკი **OK**.




სურ. 2.4.5. უჯრების დაყოფის ფუნქცია Split Cells



სურ. 2.4.6 Split Cells დიალოგი ფანჯარა

### ცხრილში სვეტის ჩამატება.

მოვნიშნოთ ჩასამატებელი სვეტის წინა ან მომდევნო სვეტი / მონიშნულ არეში დავაჭიროთ თავგის მარჯვენა ღიდაკს / გაშლილ კონტექსტურ მენიუში მივიყვანოთ კურსორი **Insert** ფუნქციამდე. გაიშლება ქვეკონტექსტური მენიუ (იხ. სურ. 2.4.7) /



სურ. 2.4.7. სვეტის ჩამატების Insert ბრძანება


სვეტის ჩასამატებლად მონიშნული სვეტის მარცხნივ დავაჭიროთ ფუნქციას **Insert Columns to the Left**. სვეტი დაემატება მარცხენა მხარეს / თუ გვინდა სვეტის ჩამატება მონიშნული სვეტის მარჯვენა მხარეს, მაშინ დავაჭიროთ ფუნქციას **Insert Cilumns to the Right** . სვეტი დაემატება მარჯვენა მხარეს.

### ცხრილში სტრიქონის ჩამატება.

მოვნიშნოთ ჩასამატებელი სტრიქონის წინა ან მომდევნო სტრიქონი / მონიშნულ არეში დავაჭიროთ თავგის მარჯვენა ღიდავს / გაშლილ კონტექსტურ მენიუში კურსორი მივიყვანოთ **Insert** ფუნქციამდე. გაიშლება ქვეკონტექსტური მენიუ (იხ. სურ. 2.4.7) / მონიშნული სტრიქონის ქვემოთ სტრიქონის ჩასამატებლად დავაჭიროთ ფუნქციას **Inset Rows Below**. სტრიქონი დაემატება მონიშნული სტრიქონის ქვემოთ / თუ გვინდა სტრიქონის ჩამატება მონიშნული სტრიქონის ზემოთ, მაშინ დავაჭიროთ ფუნქციას **Insert Rows Above**. სტრიქონი დაემატება მონიშნული სტრიქონის ზემოთ.

### ცხრილის სვეტების ამოშლა.

კურსორი დავაყენოთ ამოსაშლელი სვეტების დასაწყისში / დავაჭიროთ თავგის მარცხენა ღიდავს და გავასრიალოთ კურსორი ამოსაშლელი სვეტების არეში. სვეტები მოინიშნება / მონიშნულ არეში დავაჭიროთ თავგის მარჯვენა ღიდავს /




სურ. 2.4.8. სვეტების ამოშლის Delete Columns ბრძანება

გაშლილ კონტექსტურ მენიუში (იხ. სურ. 2.4.8) დავაჭიროთ ფუნქციას **Delete Columns**. სვეტები ამოიშლება.

### ცხრილის სტრიქონების ამოშლა


კურსორი დავაყენოთ მოსანიშნი სტრიქონების დასაწყისში / დავაჭიროთ თავგის მარცხენა ღიდავს და კურსორი გავასრიალოთ მოსანიშნი სტრიქონების არეში. სტრიქონები მოინიშნება. მონიშნულ არეში დავაჭიროთ თავგის მარჯვენა ღიდავს / გაშლილ კონტექსტურ მენიუში (იხ. სურ. 2.4.9) ამოვირჩიოთ ფუნქცია **Delete Rows**. სტრიქონები ამოიშლება.



მოვნიშნოთ **A1:A2** უჯრების ღიაპაზონი / მენიუს ზოღზე კურსორის დაჭერით გავააქტიუროთ ფუნქცია **Home** / განყოფილებაში **Cells** კურსორის მოქმედებით ჩამოვშალთ ბრძანება **Format**-ის მარჯვნივ ისარი / ჩამოშლილ კონტექსტურ მენიუში მენიუში ავირჩიოთ **Format Cells...** / *ბოლო ორი მოქმედება შეგვიძლია შევასრულოთ შემდეგი თანმიმდევრობითაც: მონიშნულ უჯრაზე დავაჭიროთ თავის მარჯვენა ღიდაკით / გაშლილ კონტექსტურ მენიუში დავაჭიროთ ფუნქციას **Format Cells** / გამოვა დიალოგური ფანჯარა **Format Cells** / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **General** / დავაჭიროთ ღიდაკს **OK** (იხ. სურ. 4.2.31). დაფორმატებულ **A1** უჯრაში*


ჩავწეროთ სიტყვა „ბიზნესი“, ხოლო A2 უჯრაში ჩავწეროთ რიცხვითი მონაცემი „3456“, მონაცემი. ტექსტი განთავსდება უჯრის მარცხენა მხარეს, ხოლო რიცხვითი მონაცემი განთავსდება აქტიური უჯრის მარჯვენა მხარეს (იხ. სურ. 4.2.32)


	A
1	ბიზნესი
2	3456

სურ. 4.2.32. General კატეგორიის ფორმატით დაფორმატებულ უჯრებში განთავსებული მონაცემები


**Number - რიცხვითი**

ამ კატეგორიის ფორმატი წარმოადგენს რიცხვითი მონაცემების აღწერის ზოგად საშუალებას.


კურსორის მოქმედებით მოვნიშნოთ A1 უჯრა, ვდავიატურაზე ავკრიფოთ რაიმე რიცხვი, მაგ.: 213456798 / დავაჭიროთ ვდავიატურის Enter ღილაკს, ან დავაჭიროთ ფორმულის ბოლოში მოთავსებულ პიქტოგრამას  - Enter, ანდა დავაჭიროთ სამუშაო ფურცლის სხვა ადგილას / მენიუს ბოლოზე კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ Home / განყოფილებაში Cells ჩამოვშალოთ ბრძნება Format-ის მარჯვნივ ისარი / ჩამოშლილ კონტექსტურ მენიუში დავაჭიროთ  Format Cells... / გამოვადლო დიალოგური ფანჯარა Format Cells / გავააქტიუროთ ჩანართი Number. ვერში Category: გაიშლება რიცხვის დაფორმატების ვარიანტთა ჩამონათვალი / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ Number / ვერში Sample გამოჩნდება ჩვენს მიერ აკრეფილი რიცხვი (213456798,00), წილად ნაწილში ორი თანრიგით (იხ. სურ. 4.2.33), რადგანაც Excel-ი რიცხვს წილადი ნაწილისათვის გაჩუმიებით (ავტომატურად) უნიშნავს ორ თანრიგს.



სურ. 4.2.33. Number - რიცხითი კატეგორიის ფორმატის მაგალითი

თუ გვინდა რიცხვს წილად ნაწილში ჰქონდეს თანრიგთა მეტი ან ნაკლები რაოდენობა, მაშინ ვერში **Decimal places:**  დიდაკვებზე კურსორის მოქმედებით შევცვადლოთ წილადი ნაწილის თანრიგთა რაოდენობა, მაგ. 3 თანრიგით. ჩვენი რიცხვი მიიღებს შემდეგ სახეს: 213456798,000, რაც ჩანს ვერში **Sample**. კურსორის მოქმედებით ჩავრთოთ გადამრთველი **Use 1000 Separator (,)**, რომელიც დიდ რიცხვებს დაყოფს ათასეულებად. ჩვენი რიცხვი მიიღებს სახეს: **213,456,798.000**, რასაც ვნახავთ ვერში **Sample** / ვერში **Negative numbers:** ავირჩიოთ რიცხვის დადებითი ან უარყოფითი ფორმატი და ფერიც. ესენი ძირითადად გამოიყენება საშედეგო უჭრებისათვის / **OK**.


მაგალითად, **A1** უჯრაში ჩავწეროთ რიცხვი **3** / **A2** უჯრაში ჩავწეროთ რიცხვი **5** / **A3** უჯრაში ჩავწეროთ ფორმულა = **A1-A2** / ავირჩიოთ წითელი ფერის უარყოფითი ფორმატი(იგულისხმება ფრჩხილებში ჩასმული წითელი ფერის რიცხვი) / **OK**. **A3** უჯრაში მივიღებთ წითელი ფერის უარყოფით რიცხვს (2) (იხ. სურ. 4.2.34).



	A	B	C	D	E
1	3				
2	5				
3	(2)				

სურ. 4.2.34. A3 საშუალო უჯრის წითელი ფერის უარყოფითი ფორმატის სწორი პასუხი


ახლა A3 უჯრისათვის ავარჩიოთ წითელი ფერის დადებითი ფორმატი. A3 უჯრაში სხვაობა იქნება არაუარყოფითი 2-იანი, წითელი ფერის, რაც მიუთითებს შეცდომიან შედეგზე (იხ.სურ. 4.2.35).



	A	B
1	3	
2	5	
3	2	

სურ. 4.2.35. A3 საშუალო უჯრის Negative numbers: წითელი ფერის დადებითი ფორმატი და მისი არასწორი შედეგი 2 (არა უარყოფითი 2)

ებღა A1 უჯრაში ჩავწეროთ 9 / ვეღში Negative numbers ავირჩიოთ წითელი ფერის უარყოფითი ფორმატი / OK. მიუხედავად წითელი ფერის ფორმატისა უჯრაში სხვაობა იქნება შავი ფერის 4-იანი (იხ. სურ. 4.2.36).



სურ. 4.2.36. A3 საშუალო უჯრის Negative numbers: წითელი ფერის უარყოფითი ფორმატი და მისი სწორი შედეგი 4


### Currency - ფულადი.

ეს კატეგორია განკუთვნილია უჯრების დასაფორმატებლად ფულადი ერთეულებისათვის.

კურსორის მოქმედებით მოვნიშნოთ უჯრა / ვლავიატურაზე ავკრიფოთ რაიმე რიცხვი, მაგ. 12345 / დავაჭროთ ვლავიატურის **Enter** ღიდაკს, ან დავაჭროთ ფორმულის სტრიქონზე პიქტოგრამას  ანდა დავაჭროთ სამუშაო ფურცლის სხვა ადგილას / მენიუს სტრიქონზე დავაჭროთ ფუნქციას **Home** / განყოფილებაში **Cells** კურსორის მოქმედებით ჩამოვშალთ ბრძანება **Format** / ჩამოშლილ კონტექსტურ მენიუში კურსორის დაჭერით გავააქტიუროთ **Format Cells** / გამოვა დიალოგური ფანჯარა **Format Cells** /კურსორის დაჭერით გავააქტიუროთ ჩანართი **Number**. ველში **Category** გაიშლება რიცხვის დაფორმატების ვარიანტთა ჩამონათვალი / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Currency**. ველში **Sample** გამოჩნდება ჩვენს მიერ აკრეფილი რიცხვი (12345,00), წიდად ნაწილში ორი თანრიგით. იმიტომ, რომ **Excel**-ი წიდადი ნაწილისათვის რიცხვს ავტომატურად უნიშნავს ორ თანრიგს.

რიცხვის წიდადი ნაწილის შეცვლა შეგვიძლია ველში **Decimal places**  ღიდაკებზე კურსორის მოქმედებით. ყველა ცვლილება ჩანს ველში **Sample** / დავაჭროთ  ღიდაკს / გაიშლება ფურცლის აღმნიშვნელი სიმბოლოების ჩამონათვალი / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ რომელიმე, მაგ. **\$**. ველში **Sample** გამოჩნდება ჩვენი რიცხვი დოლარის ნიშნით (იხ. სურ.4.2.37) / ველში **Negative numbers** შეგვიძლია ავირჩიოთ რიცხვის დადებითი ან უარყოფითი

ფორმატი და ფერიც. ესენი ძირითადად გამოიყენება საშედეგო უჯრებისათვის / OK.



სურ. 4.2.37. Format Cells დიალოგური ფანჯარა Currency კატეგორიის ფორმატით

მაგალითისთვის, A1 უჯრაში ჩავწეროთ რიცხვი \$30,25 / A2 უჯრაში რიცხვი \$50,20 / A3 უჯრაში ჩვენერთ ფორმულა = A1- A2 / ველში **Negative numbers** ავირჩიოთ წითელი ფერის უარყოფითი ფორმატი / OK. A3 უჯრაში მივიღებთ წითელი ფერის უარყოფით რიცხვს (\$19,95), ანუ „გადახარჯვას“. ახლა A3 უჯრისათვის ავირჩიოთ წითელი ფერის დადებითი ფორმატი. A3 უჯრაში იქნება სხვაობა არაუარყოფითი რიცხვი \$19,95 წითელი ფერის, რაც მიუთითებს შეცდომიან შედეგზე.

ახლა A1 უჯრაში ჩავწეროთ რიცხვი \$60,25 / A3 უჯრისთვის ავირჩიოთ ფორმატი / ველში **Negative numbers** მივუთითოთ წითელი ფერის უარყოფითი ფორმატი / OK. მიუხედავად, წითელი ფერის უარყოფითი ფორმატისა, A3 უჯრაში სხვაობა \$10,05 იქნება შავი ფერის.

#### Accounting - ფინანსური.

მისი დანიშნულებაა ფუად ერთეულებს თავში (უცხოური ვალუტის ნიშნები - \$, €, £ და სხვ. ან ბოლოში რუსული რუბლის ნიშანი - р) დაუსვას ვალუტის ნიშანი. აგრეთვე, რიცხვებს ჰყოფს ათასეულებად და სვეტის უჯრებში ადაგებს ერთმანეთის ქვეშ, მარჯვნიდან მარცხნივ (იხ. სურ. 4.2.38).

	A
1	\$ 345678,0,00
2	€ 456879,0,00
3	\$ 8934567854,0,00


სურ. 4.2.38. მონაცემთა ფინანსური Accounting კატეგორიის ფორმატი

**Date - თარიღი.**

ეს ფორმატი განკუთვნილია უჭრების დასაფორმატებლად, როგორც თარიღისათვის, ისე ერთდროულად თარიღისა და დროითი მონაცემებისათვის.

თარიღის შეტანისას ციფრებს შორის გამყოფად უნდა გამოვიყენოთ წერტილი ან დახრილი ხაზი.

უჭრაში თარიღის ჩასაწერად საჭიროა: კურსორით მოგნიშნოთ ის უჭრა, სადაც უნდა ჩავწეროთ თარიღი /კლავიატურაზე აგვრიფოთ 01/08/16 / გადავიტანოთ კურსორი სხვა უჭრაზე / ან დავაჭიროთ კლავიატურის **Enter** ღიდაკს ან ფორმულათა ბოლბე მოთავსებულ პიქტოგრამას  - **Enter** / მენიუს ბოლბე კურსორის დაჭერით გავააქტიუროთ ფუნქცია **Home** / ქვემენიუში **Cells** ჩამოვშალოთ ფუნქცია **Format** / ჩამოშლილ მენიუში დავაჭიროთ **Format Cells** / გამოვა დიალოგური ფანჯარა **Format Cells** / დავაჭიროთ ღიდაკს **Number**. ველში **Category** გაიშლება რიცხვის დაფორმატების ვარიანტთა ჩამონათვალი / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Date**. ველში **Type** გამოჩნდება თარიღის ფორმატის ჩამონათვალის ამერიკული ვარიანტები, რამდენადაც ველში **locale Excel**-ი ავტომატურად აყენებს ამერიკულ ინგლისურ ენას- **English(United states)** /კურსორით, მიმდევრობით დავაჭიროთ ყველას და ყოველ დაჭერაზე შევხედოთ ველს **Sample**, სადაც ვნახავთ ყველა ვარიანტის ნიმუშს. თუ ეს ვარიანტები არ გვანყობს, მაშინ ველში **Locale** დავაჭიროთ  ღიდაკს. გაიშლება ენების ჩამონათვალი ქვეყნების მიხედვით /კურსორით ავირჩიოთ **Georgian**. ველში **Type** გამოჩნდება თარიღის ფორმატების ჩამონათვალი / კურსორით მიმდევრობით დავაჭიროთ ყველას და ყოველ დაჭერაზე შევხედოთ ველს **Sample**, სადაც ვნახავთ ყველა ვარიანტის ნიმუშს. შევჩერდეთ იმ ვარიანტზე, რომელიც გვჭირდება (იხ. სურ. 4.2.39) / **OK**. ფურცლის უჭრაში მივიღებთ თარიღის სასურველ ფორმატს.




სურ. 4.2.39. Format Cells / დიალოგი ფანჯარა Date კატეგორიის ფორმატით

### Time - დრო.

ეს ფორმატი განკუთვნილია უჯრების დასაფორმატებლად, როგორც დროითი მონაცემებისათვის, ისე ერთდროულად თარიღისა და დროითი მონაცემებისთვისაც.

უჯრაში დროის ჩასაწერად საჭიროა: კურსორით მოვნიშნოთ ის უჯრა, სადაც უნდა ჩავწეროთ დრო / კლავიატურაზე ავკრიფოთ 1135 / გადავიტანოთ კურსორი სხვა უჯრაზე ან დავაჭიროთ / კლავიატურის **Enter** ღიდაკს ან ფორმულათა ზოლზე მოთავსებულ პიქტოგრამას  - **Enter** /მენიუს ზოლზე კურსორის დაჭერით გავააქტიუროთ **Home** / ქვემენიუში **Cells** ჩამოვშალოთ ფუნქცია **Format** / ჩამოშლილ მენიუში დავაჭიროთ **Format Cells** / გამოვადიალოგო დიალოგური ფანჯარა **Format Cells** / დავაჭიროთ ღიდაკს **Number**. ვერში **Category** გაიშლება რიცხვის დაფორმატების ვარიანტთა ჩამონათვალი / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Time**. ვერში **Type** გამოჩნდება დროითი ფორმატის ჩამონათვალის ამერიკული ვარიანტები, რამდენადაც ვერში **locale Excel**-ი ავტომატურად აყენებს ამერიკულ ინგლისურ ენას - **English(United States)** / კურსორით, მიმდევრობით დავაჭიროთ ყველას და ყოველ დაჭერაზე შევხედოთ ვერს **Sample**, სადაც ვნახავთ ყველა ვარიანტის ნიმუშს. თუ ეს ვარიანტები არ გვანყობს, მაშინ ვერში **Locale** დავაჭიროთ  ღიდაკს. გაიშლება ენების ჩამონათვალი ქვეყნების მიხედვით /კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ იმ ქვეყნის ენა, რომელიც გვჭირდება. ვერში **Type** გამოჩნდება დროის ფორმატების ჩამონათვალი / კურსორით მიმდევრობით დავაჭიროთ ყველას და ყოველ დაჭერაზე შევხედოთ ვერს **Sample**, სადაც ვნახავთ ყველა

ვარიანტის ნიმუშს. შევჩერდეთ იმ ვარიანტზე, რომელიც გვჭირდება (იხ. სურ. 4.1.40) / **OK**.



სურ. 4.2.40. Format Cells დიალოგური ფანჯრის Time კატეგორიის ფორმატი

### Percentage - პროცენტული.


ეს კატეგორია განკუთვნილია უჭრაში რიცხვებისათვის პროცენტის ფორმატის მისანიჭებლად.

კურსორი დავსვათ რომელიმე უჭრაზე / ვდავიატურნიდან ჩავწეროთ რაიმე რიცხვი. მაგალითად 45 / დავაჭიროთ ვდავიატურაზე განდაგებულ **Enter** ღიდაკს ან ფორმულათა ზოდზე მოთავსებულ პიქტოგრამას  - **Enter** / მენიუს ზოდზე დავაჭიროთ ფუნქციას **Home** / განყოფილებაში **Cells** კურსორის დაჭერით ჩამოვშარლოთ ბრძანება **Format**-ის მარჯვნივ ისარი / ჩამოშდილ კონტექსტურ მენიუში კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Format Cells** / გამოვადიალოგური ფანჯარა **Format Cells** / ავირჩიოთ ჩანართი **Number**. ველში **Category** გაიშლება რიცხვის დაფორმატების ვარიანტთა ჩამონათვალი / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Percentage**. /ველში **Decimal places**  ღიდაკებზე კურსორის მოქმედებით შევცვალთ წიდადი ნაწილის თანრიგთა რაოდენობა, მაგ. 2 თანრიგით. ჩვენი რიცხვი მიიღებს შემდეგ სახეს 4500,00%, რასაც ვნახავთ ველში **Sample** /**OK**. ფურცლის უჭრაშიც მივიღებთ რიცხვს იმავე ფორმატით.

### Fraction- წილადური.

ამ კატეგორიის ფორმატი განკუთვნილია უჯრების დასაფორმატებლად წილადი რიცხვებისათვის.



კურსორით მოვნიშნოთ უჯრა ან უჯრათა დიაპაზონი / მენიუს ზოლზე დავაჭიროთ ფუნქციას **Home** / განყოფილებაში **Cells** ჩამოვშალოთ ბრძანება **Format**-ის მარჯვნივ ისარი / ჩამოშლილ კონტექსტურ მენიუში დავაჭიროთ **Format Cells** / გამოვა დიალოგური ფანჯარა **Format Cells** / დავაჭიროთ ღილაკს **Number**. ვედში **Category** გაიშლება რიცხვის დაფორმატების ვარიანტთა ჩამონათვალი / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Fraction**. /ვედში **Type** გამოჩნდება წილადების [მარტივი წილადების, წილადების ორი ციფრით, ნახევარით, მეოთხედით, მერვედით და მეთექვსმეტედით] ჩამონათვალი / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ რომელიმე / **Ok**. მონიშნული არე დაფორმატდება შესაბამისი წილადური ფორმით.

თუ გვინდა უჯრაში ჩავწეროთ წილადი (1/2, 2/9, 5/10 და ა.შ.), დაფორმატების გარეშე, ამისათვის საჭიროა: კდავიატურაზე ავკრიფოთ **ჰარა**(ცარიელი ადგილი) და შემდეგ ავკრიფოთ წილადი/ კდავიატანოთ კურსორი სხვა უჯრაზე ან დავაჭიროთ კდავიატურაზე მოთავსებულ **Enter** ღილაკს / ან დავაჭიროთ ფორმულის ზოლზე მოთავსებულ პიქტოგრამას  - **Enter**. [თუ წილადის წინ არ ჩავწერთ ჰარს(ცარიელი ადგილი), მაშინ ჩვენს მიერ აკრეფილი რიცხვი აღიქმება როგორც თარიღი(2-Jan(ორი იანვარი), 9-Feb(ცხრა თებერვალი),10-May(10 მაისი))]

### Scientific - ექსპონენციალური.

კატეგორიის ეს ფორმატი განკუთვნილია უჯრების დასაფორმატებლად ძალიან მცირე ან ძალიან დიდი რიცხვებისათვის.

Excel-ში რიცხვების შეტანის დიაპაზონია  $-1*10^{307}+1*10^{308}$ - მდე.

კურსორი დავსვათ რომელიმე უჯრაზე / კდავიატურაზე ავკრიფოთ რაიმე რიცხვი. მაგალითად, რიცხვი 123456789 / დავაჭიროთ კდავიატურაზე **Enter** ღილაკს ან ფორმულათა ზოლზე მოთავსებულ პიქტოგრამას  - **Enter** / მენიუს ზოლზე დავაჭიროთ ფუნქციას **Home** / განყოფილებაში **Cells** ჩამოვშალოთ ბრძანება **Format**-ის მარჯვნივ ისარი / ჩამოშლილ კონტექსტურ მენიუში გავააქტიუროთ **Format Cells** / გამოვა დიალოგური ფანჯარა **Format Cells** / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ჩანართი **Number** / ვედში **Category**: გაიშლება რიცხვის დაფორმატების ვარიანტთა ჩამონათვალი / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Scientific**. დიალოგური ფანჯარის მარჯვენა განყოფილების ვედში **Decimal places**  ღილაკებზე კურსორის მოქმედებით

შევცვალეთ წილადი ნაწილის თანრიგთა რაოდენობა, მაგ., 3 თანრიგით. ჩვენი რიცხვი მიიღებს შემდეგ სახეს **1.235E+08**, რასაც ვნახავთ ველში **Sample /OK**. ფურცლის უჯრაშიც მივიღებთ რიცხვს იმავე ფორმატით. თუ ავკრიფავთ რიცხვს 50000000000 და მივცემთ ექსპონენციალურ ფორმატს, სადაც ათწილადის თანრიგთა რაოდენობა იქნება 0, მაშინ იგი ჩაიწერება შემდეგნაირად: **5E+12**.

**Text** - ტექსტური. ეს ფორმატი ნებისმიერ ინფორმაციას განიხილავს როგორც ტექსტს და მას უჯრის მარცხენა მხარეს განათავსებს.

კურსორით მოვნიშნოთ უჯრა ან უჯრათა დიაპაზონი / მენიუს ბოლოზე კურსორით ვიმოქმედოთ ფუნქციაზე **Home / განყოფილებაში Cells** კურსორის მოქმედებით ჩამოვშალოთ ფუნქცია **Format** -ის მარჯვნივ ისარი/ ჩამოშლილ კონტექსტურ მენიუში გავააქტიროთ **Format Cells...** / გამოვა დიალოგური ფანჯარა **Format Cells /** დავაჭიროთ ჩანართს **Number**. ველში **Category:** გაიშლება რიცხვის დაფორმატების ვარიანტთა ჩამონათვალი / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Text**. მონიშნული არე დაფორმატდება ტექსტური ინფორმაციის ჩასაწერად. თუ ჩვენ ამ დიაპაზონში ჩავწეთ რიცხვებს **Excel**-ი მას აღიქვამს როგორც ტექსტს და ჩაწერს უჯრის მარცხენა მხარეს (იხ. სურ. 4.2.41).

	A
1	345
2	67890

სურ. 4.2.41. Text ფორმატით უჯრებში მონაცემთა განთავსება


**Special** - დამატებითი. ეს ფუნქცია განკუთვნილია სპეციალური მონაცემების (ზიპ კოდების, სატელეფონო ნომრების და სხვ.) მონაცემების ჩასაწერად.

**Cuztom-** სამომხმარებლო ფორმატი. აქ მოთავსებულია ზემოთ აღწერილი თითქმის ყველა ფორმატი.

დაფორმატების ამ სახის გამოყენებისას, ველში **Type**, დაფორმატების ჩამოთვლილი რაოდენობიდან კურსორის სათითაოდ დაჭერით და **Symple** ველზე დაკვირვებით შეგვიძლია ჩვენთვის საჭირო ფორმატის ამორჩევა.

**სამომხმარებლო ფორმატის** შესაქმნელად შევასრულოთ ბრძანებათა შემდეგი თანმიმდევრობა მენიუთა ბოლიდან: კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ფუნქცია **Home / განყოფილებაში Cells** ჩამოვშალოთ ბრძანება

Format-ის მარჯვნივ ისარი / ჩამოშლივ კონტექსტურ მენიუში ავირჩიოთ **Format Cells** / გამოვა დიალოგური ფანჯარა **Format Cells** / გავააქტიუროთ ჩანართი **Number**. ვეღბი **Category** გაიშვება რიცხვის დაფორმატების ვარიანტთა ჩამონათვადი / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Custom / Type** ვეღბი მოვახდინოთ არჩეული ფორმატის **0,00** რედაქტირება **0,00ლარი** (იხ. სურ.4.2.42) / **OK**. სამომხმარებლო შაბლონი **0,00ლარი** აღმოჩნდება შაბლონების აღმნიშვნელ სიაში.





სურ. 4.2.42. Format Cells დიალოგური ფანჯრის Custom-კატეგორიის სამომხმარებლო ფორმატი

აღსანიშნავია ის, რომ თუ ფუღად ერთეულს პირდაპირ მივუწერთ რიცხვით მნიშვნელობას, პროგრამა მას აღიქვამს, როგორც ტექსტს და არა რიცხვით მნიშვნელობას, ამიტომ ნებისმიერი მათემატიკური ოპერაციის გამოყენება შეუძლებელი ხდება მოცემული უჯრისთვის. სწორედ ამიტომ აუცილებელია სამომხმარებლო ფორმატის (სტილის) შექმნა. ამ შემთხვევაში უჯრაში ჩაწერილი „ლარი“ აღიშნავს ფუღად ერთეულს, ხოლო უჯრაში ჩაწერილი სიღვე კი აღიქმება რიცხვად.


**ცხრიღბი მონაცემთა ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად განლაგების დაფორმატება.**


დავსვათ კურსორი **A5** უჯრაზე / კლავიატურაზე ავკრიფოთ რიცხვი, მაგალითად, **4321** / დავაჭიროთ კლავიატურის ღიღაკს **Enter** / დავსვათ კურსორი **A5** უჯრაზე / მივმართოთ მენიუს ზოღს / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Home** / განყოფიღვებაში **Cells** ჩამოვშაღლოთ **Format**-ის მარჯვნივ ისარი / ავირჩიოთ **Format cells** / გამოვა დიალოგური ფანჯრა **Format**

**Cells** / გავააქტიურეთ ჩანართი **Alignment** / ველში **Horizontal** კურსორით გავააქტიურეთ ამ ველის ისარი . გაიშლება უჭრაში მონაცემების კორიბონტალურად განლაგების [General-მონაცემის მნიშვნელობის (რიცხვია თუ ტექსტი) მიხედვით; **Left** -მარცხენა მხარეს; **Center**-ცენტრში; **Right**- მარჯვენა მხარეს და სხვ.] ვარიანტები. დავაჭიროთ კურსორი რომელიმე მათგანს **Center** და გავააქტიურეთ **Ok** ღილაკი. უჭრაში რიცხვი მოთავსდება არჩეული განლაგების მიხედვით. კერძოდ, უჭრის ცენტრში(იხ. სურ. 4.2.43)



სურ. 4.2.43. Format Cells დიალოგი ფანჯარა Alignment ჩანართის Text Alignment Horizontal / Center ბნძანებით


დავსვათ კურსორი **A5** უჭრაზე, ჩავწეროთ ტექსტი „ბიზნესი“ / ველში **Vertical** კურსორით დავაჭიროთ ამ ველის ფანჯარას ან ისრიან  ღილაკს. გაიშლება უჭრაში მონაცემების ვერტიკალურად განლაგების [Top -უჭრის ზედა კიდეზე; **Center** -ცენტრში; **Bottom** უჭრის ქვედა კიდეზე და სხვ.] ვარიანტები. დავაჭიროთ კურსორი **Bottom** და გავააქტიურეთ (იხ. სურ.4.2.44) / **Ok** ღილაკი. უჭრაში ტექსტი მოთავსდება უჭრის ფსკერზე.



სურ. 4.2.44. Format Cells დიალოგი ფანჯარა Alignment / Text Alignment / Vertical / Bottom ბრძანებით


ერთ უჯრაში რამდენიმე სტრიქონად ტექსტის განთავსების დაფორმება.

დავსვათ კურსორი A5 უჯრაზე / მაუსის მარჯვნივ ღიდავით ჩამოვშალოთ კონტექსტური მენიუ / ავირჩიოთ **Format Cells** / გამოვა დიალოგური ფანჯარა **Format Cells** / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ჩანართი **Alignment** / ვეღში **Text control** ჩავრთოთ აღამი **Wrap text** / **Ok**. კურსორი დავაფიქსიროთ A5 უჯრაში და შევიტანოთ ტექსტი „ბიზნეს ინფორმატიკა“. ტექსტი განთავსდება რამდენიმე სტრიქონად (იხ. სურ. 4.2.45)




სურ. 4.2.45. Format cells დიალოგი ფანჯარის Alignment ჩანართის Wrap text ბრძანება

სტილები - STYLE. სტილი არის დაფორმატების პარამეტრების ერთობლიობა, რომელსაც აქვს სახელი. უჯრების გარკვეული დიაპაზონისათვის ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ როგორც ახალი სტილი, ასევე შეგვიძლია გამოვიყენოთ კომპიუტერში არსებული სტილები. კომპიუტერში არსებული სტილის არჩევისათვის, მოვნიშნოთ უჯრების დიაპაზონი, რომლისთვისაც სტილი გვინდა ავირჩიოთ, მივმართოთ მენიუს ზოდს და შევასრულოთ ბრძანებათა თანმიმდევრობა მენიუს ზოლიდან: კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ფუნქცია **Home / განყოფილებაში Styles** კურსორის მოქმედებით ჩამოვშალოთ **Cell Styles** მარჯვნივ ისარი / ევრანზე გამოჩნდება სტილების გადერევა(იხ. სურ. 4.2.46) / დავაჭიროთ ჩვენთვის სასურვედ სტილს. მონიშნულ უჯრათა დიაპაზონს მიენიჭება არჩეული სტილი.




სურ. 4.2.46. სტილთა გადერევა

სტილის შექმნა. ახალი სტილის შესაქმნელად უჯრისთვის ან უჯრების დიაპაზონისათვის საჭიროა მოვნიშნოთ უჯრების დიაპაზონი და შევასრულოთ ბრძანებათა შემდეგი თანმიმდევრობა მენიუს ზოლიდან: კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Home / განყოფილებაში Styles** ჩამოვშალოთ **Cell Styles** მარჯვნივ ისარი / გამოვა სტილთა გადერევა / გავააქტიუროთ ბოლოში მოთავსებული ბრძანება **New Cell Style /** გამოჩნდება დიალოგური ფანჯარა **Style**, რომლის **Style name** ველში ავკრიფოთ ახალი სახელი, მაგალითად:




სურ. 4.2.47.ახალი სტილის შექმნის Style დიალოგური ფანჯარა

„axali stili“ (იხ. სურ.4.2.47) / გავააქტიურეთ Style დიალოგური ფანჯრის Format ლიდაკი / გამოვა დიალოგური ფანჯარა Format Cells (სურ. 4.2.48) /




სურ. 4.2.48. Format Cells დიალოგური ფანჯარა Font ჩანართით

შევარჩიოთ სასურველი პარამეტრები (შირიფტი, შირიფტის ზომა, აბზაცის ზომა და სხვ.) / **Ok**. ახალი სტილი სახელით: „axali stili“ ჩაჯდება სტილთა გადერევაში (იხ. სურ. 4.2.49).



სურ. 4.2.49. „axali stili “ სტილთა გადრევაში



სურ. 4.2.50. სტილის წაშლის Delete ბრძანება

**სტილის წასაშლელად**, მოვნიშნოთ წასაშლელი სტილი / ჩამოვშალოთ მაუსის მარჯვენა ღილაკით კონტექსტური მენიუ / კურსორის მოქმედებით გადააქტიუროთ **Delete** ფუნქცია (იხ. სურ. 4.2.50).


**ცხრილის სტილის არჩევა და გაუქმება.** ცხრილის სტილის ფორმატი საშუალებას იძლევა გავთავისუფლოთ ცხრილის ხელით გაფორმებისაგან. პროგრამის მონაცემთა ბაზაში ჩადებულია ტექსტისა და ცხრილების სხვადასხვანაირი კომბინაცია. ერთ-ერთის არჩევით შეიძლება მთლიანად შეიცვალოს ცხრილის სახე.

**მაგალითად, A2:C7** უჭრათა დიაპაზონში მოცემული გვაქვს ცხრილი (იხ. სურ. 4.2.51). შევუჩინოთ მას სტილი.

ცხრილის სტილების ფანჯრის გამოსატანად შევასრულოთ შემდეგი ბრძანებების თანმიმდევრობა მენიუს ბოლიდან:

	A	B	C
1	მარკეტების მიერ პროდუქციის რელიზაციის შედეგები		
2	მარკეტი	გაყიდული პროდუქციის რაოდენობა (ცალი)	გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი (ლარი)
3			
4			
5			
6			
7			

სურ. 4.2.51. სტილის შესარჩევად გამზადებული ცხრილი



სურ. 4.2.52. ცხრილის სტილების გადჩერვა


კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ფუნქცია **Home / განყოფილებაში Styles** ჩამოვშალოთ **Format as Table**-ს მარჯვნივ ისარი / გამოვჩაჩამოშალოთ ფანჯარა ცხრილების ფორმატის სხვადასხვა ვარიანტებით (იხ.სურ. 4.2.52). სტილები წარმოვსარჩევოთ საში კატეგორიის ფერებით:

**Light** - ღია ფერები;

**Medium** - საშუალო;

**Dark** - მუქი. ავინჩიოთ ნებისმიერი სტილი.

ავინჩიოთ სტილი. სტილის არჩევის შემდეგ გამოვა დიალოგური ფანჯარა: **Create Table**, რომლის ველში: **Where is the data for your table?** უნდა მივუთითოთ უჯრების ის დიაპაზონი, სადაც განთავსებულია ჩვენი ცხრილი. ამისათვის, კურსორით მოვნიშნოთ ცხრილის უჯრების დიაპაზონი და ფანჯარაში ავტომატურად დაფიქსირდება ამ დიაპაზონის მისამართი. ჩვენ შემთხვევაში მივუთითოთ ჩვენი არსებული ცხრილის დიაპაზონი **A2:C7**(იხ. სურ. 4.2.53).



სურ. 4.2.53. მზა ცხრილის სტილის შექმნის Create Table დიალოგური ფანჯარა

ჩავრთოთ ველი **My Table has headers** (ჩემ ცხრილს აქვს სათაურები), რადგან ცხრილს აქვს ჩვენს მიერ ჩასმული სვეტების სათაურები. მივიღებთ ცხრილს (იხ. სურ. 4.2.54), შევიტანოთ მონაცემები (იხ. სურ. 4.2.55).

	A	B	C
1	მარკეტების მიერ პროდუქციის რეალიზაციის შედეგები		
2	მარკეტი	გაყიდული პროდუქციის რაოდენობა (ცალი)	გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი (ლარი)
3			
4			
5			
6			
7			

სურ. 4.2.54. ცხრილი სტილის არჩევის შემდეგ

მონაცემებით შევსებულ ცხრილში შეგვიძლია მონაცემთა გაფილტვრაც კონკრეტული პირობის მიხედვით.

	A	B	C
1	მარკეტების მიერ პროდუქციის რეალიზაციის შედეგები		
2	მარკეტი	გაყიდული პროდუქციის რაოდენობა (ცალი)	გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი (ლარი)
3	მარკეტი 1	1500	3900
4	მარკეტი 2	1100	2890
5	მარკეტი 3	345	4900
6	მარკეტი 4	980	1789
7	მარკეტი 5	880	2100

სურ.4.2.55. ცხრილი მონაცემებით სტილის არჩევის შემდეგ

თუ **Create Table** ფანჯრის (იხ. სურ.4.2.53) ველს **My Table has headers** (ჩემ ცხრილს აქვს სათაურები), არ გავააქტიურებთ, მაშინ ცხრილს ავტომატურად დაუფიქსირდება სვეტების სათაურები **Column1, Column2 ...**( იხ. სურ. 4.2.56.) /OK.

Column1	Column2	Column3

სურ. 4.2.56. ცხრილი სტილის არჩევის შემდეგ სვეტების სათაურებით


ფორმატირების მოცემული სტილი რომ ჩავურთოთ ჩვენს მიერ შედგენილ ცხრილს სტრიქონებზე, საჭიროა შევასრულოთ შემდეგი ბრძანებების თანმიმ-

ღვერობა: გაგააქტიურეთ ცხრილის რომელიმე უჯრა / მენიუს ზოდზე გამონათ-  
 ება **Table Tools / (იხ. სურ.4.2.57)**



სურ. 4.2.57. Table Tools / Design ჩანართის ბრძანებები

/ გაგააქტიურეთ ჩანართი **Design / განყოფილებაში Table Stile Options /**  
 ჩავრთოთ **Banded Rows** (იხ. სურ. 4.2.58). იგივე ხდება სვეტებისათვის **Banded**  
**Column**-ზე შემოქმედებით (იხ. სურ. 4.2.59).



სურ. 4.2.58. ფორმატირების სტილის ჩართვა ცხრილის სტრიქონებზე -Banded Rows ბრძანება

მარკეტი	გაყიდული პროდუქციის რაოდენობა (ცალი)	გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი (ლარი)
მარკეტი 1	1500	3900
მარკეტი 2	1100	2890
მარკეტი 3	345	4900
მარკეტი 4	980	1789
მარკეტი 5	880	2100

სურ. 4.2.59. ფორმატირების სტილის ჩართვა ცხრილის სვეტებზე-Banded Columns

ფორმატირების მოცემული სტილი რომ გამოვრთოთ სტრიქონებზე, საჭიროა შევასრულოთ შემდეგი ბრძანებების თანმიმდევრობა: გავააქტიუროთ ცხრილის რომელიმე უჯრა / მენიუს ზოდზე გამონათდება დამატებითი მენიუ **Table Tools** (იხ. სურ. 4.2.57.) / გავააქტიუროთ ჩანართი **Design** / განყოფილებაში **Table Style Options** გამოვრთოთ **Banded Rows**. იგივე ხდება სვეტებისათვის **Banded Column**-ზე შემოქმედებით.

ცხრილის სათაურის (თავაკის) დასამადაე საჭიროა გავააქტიუროთ ცხრილის რომელიმე უჯრა / მენიუს ზოდზე გამონათდება დამატებითი მენიუ **Table Tools** / შევასრულოთ შემდეგი ბრძანებების თანმიმდევრობა: **Table Tools** / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ჩანართი **Design** / **Table Style Options** განყოფილებაში / კურსორის მოქმედებით გამოვრთოთ **Header Row** (იხ. სურ. 4.2.57). ცხრილს მოშორდება სათაური (იხ. სურ. 4.2.60).

	A	B	C
1	მარკეტების მიერ პროდუქციის რეალიზაციის შედეგები		
2			
3	მარკეტი 1	1500	3900
4	მარკეტი 2	1100	2890
5	მარკეტი 3	345	4900
6	მარკეტი 4	980	1789
7	მარკეტი 5	880	2100

სურ. 4.2.60. ცხრილი დამადული სათაურით


ცხრილის სათაურის (თავაკის) გამოსაჩენად საჭიროა: გავააქტიუროთ ცხრილის რომელიმე უჯრა / მენიუს ბოლოზე გამონათდება **Table Tools** / შევასრულოთ შემდეგი ბრძანებების თანმიმდევრობა: კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ჩანართი **Design / Table Style Options** განყოფილებაში კურსორის მოქმედებით ჩავრთოთ **Header Row** (იხ. სურ. 4.2.57). ცხრილს გაუჩნდება თავისი სათაური .

თუ ჩავრთავთ დამატებითი მენიუს **Table Tools / Design** ჩანართის / **Table Style Options** ქვემენიუში **Total Row-ს** (იხ. სურ. 4.2.57), ცხრილს ბოლოში დაემატება საშედეგო სტრიქონი **Total** და თუ გავააქტიურებთ ცხრილის ბოლო სტრიქონში რომელიმე უჯრას, შეგვეძლება ცხრილის ამ სვეტისათვის მათემატიკური (**SUM**) და სხვადასხვა სტატისტიკური ფუნქციების შესრულება (იხ. სურ. 4.2.61)

	A	B	C
1	მარკეტების მიერ პროდუქციის რეალიზაციის შედეგები		
2	მარკეტი	გაყიდული პროდუქციის რაოდენობა (ცალი)	გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი (ლარი)
3	მარკეტი 1	1500	3900
4	მარკეტი 2	1100	2890
5	მარკეტი 3	345	4900
6	მარკეტი 4	980	1789
7	მარკეტი 5	880	2100
8	<b>Total</b>		15579
9		None	
10		Average	
11		Count	
12		Count Numbers	
13		Max	
14		Min	
		Sum	
		StDev	
		Var	
		More Functions...	

სურ. 4.2.61. ცხრილი საშედეგო სტრიქონის Total Row-ს ფუნქციებით

ცხრილზე ფილტრაციის ნიშნების მოსაშორებლად გავააქტიუროთ ცხრილის რომელიმე უჯრა და მივმართოთ მენიუს ზოდს: კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Home** / განყოფილებაში **Editing** ჩამოვშალოთ **Sort & Filter** / ვიმოქმედოთ ბრძანებაზე **Filter**(იხ. სურ. 4.2.62).



სურ. 4.2.62. ცხრილისთვის ფილტრაციის ნიშნების მოშორება

### 4.3. ფორმულები და ფუნქციები. ფორმულები და მისი შემადგენელი ნაწილები

Excel 2010-ის ფურცლის უჯრებში, გარდა ტექსტური და რიცხვითი მონაცემებისა, შეიძლება შევიტანოთ ფორმულები.

ფორმულა არის გამოსახულება, რომლის მიხედვითაც სრულდება გამოთვლები.

Excel 2010-ში ფორმულა შედგება: ფუნქციების, მიმართვების, ოპერატორებისა და კონსტანტებისაგან (მუდმივებისაგან).

**ფუნქცია** არის სტანდარტული ფორმულა, რომელიც იძლევა მონაცემებზე (არგუმენტებზე) შესრულებული მოქმედებების შედეგს. ფუნქცია საშუალებას იძლევა გავამარტივოთ ფორმულა ფურცლის უჯრაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი გრძელია ან რთულია.

**არგუმენტი** არის რაიმე მნიშვნელობა (რიცხვი, ტექსტი, უჯრებზე მიმართვა), რომელსაც იყენებს ფუნქცია ოპერაციის შესასრულებლად.

**მიმართვა** მიუთითებს ფურცლის უჯრას ან უჯრათა ღიაპაზონს და Excel 2010-ს გადასცემს შეტყობინებას, იმ მონაცემების ადგილმდებარეობის შესახებ, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ ფორმულაში.

**მიმართვების** საშუალებით შეგვიძლია მივმართოთ, როგორც ამავე, ასევე სხვა წიგნების ფურცლების უჯრებს. აგრეთვე შეგვიძლია რამდენიმე ფორმულაში გამოვიყენოთ ერთი და იმავე უჯრის მონაცემები.

სხვა წიგნის უჯრებთან მიმართვას **კავშირები** ჰქვია.

**ოპერატორი** არის ოპერაციის პირობითი აღნიშვნა (ნიშანი ან სიმბოლო: „+“ –პლუსი, „-“ -- მინუსი, „\*“ -- გამრავლება, „/“-- გაყოფა და სხვ.), რომელიც განსაზღვრავს გამოთვლის ტიპსა და თანმიმდევრობას ფორმულაში.

Excel 2010-ს გააჩნია ოთხი სახის ოპერატორი: არითმეტიკული, ტექსტური, შედარების(პირობის) და მიმართვის.

**არითმეტიკული ოპერატორი** განკუთვნილია არითმეტიკული ოპერაციების შესასრულებლად.

**ტექსტური ოპერატორი** განკუთვნილია რამდენიმე ტექსტური სტრიქონის გასაერთიანებლად ერთ სტრიქონად.

**შედარების ოპერატორი** განკუთვნილია ორი მნიშვნელობის შესადარებლად, რომლის შედეგადაც ვღებულობთ ღოგიკურ მნიშვნელობა: ჭეშმარიტია ან მცდარია.

**მიმართვის ოპერატორი** არის ფურცლის უჯრათა კოორდინატების ერთობლიობა, რომელიც განკუთვნილია უჯრებზე ან დიაპაზონზე მიმართვების აღსაწერად.

<b>არითმეტიკული ოპერატორები</b>		
ოპერატორები	დანიშნულება	მაგალითი
+ (პლუსი)	შეკრება	=A1+C5
- (მინუსი)	გამოკლება	=B8-D9
* (გარსკვლავი)	გამრავლება	=A7*C9
/ (დახრილი ხაზი)	გაყოფა	=B17/C12
^ (ქოღვა)	ახარისხება	=A8^B5
% (პროცენტი)	პროცენტი	=45%

<b>შედარების ოპერატორები</b>		
ოპერატორები	დანიშნულება	მაგალითი
= (ტოლობის ნიშანი)	ტოლია	A1= C5

> (მეტობის ნიშანი)	მეტია	B8>D9
< (ნაკლებობის ნიშანი)	ნაკლებია	A7< C9
>= (ნიშანი მეტია ან ტოლი)	მეტია ან ტოლი	B7>=C2
<= (ნიშანი ნაკლებია ან ტოლი)	ნაკლებია ან ტოლი	A8<=B5
<> (ნიშანი არაა ტოლი)	არაა ტოლი	A2<>B2

ტექსტური ოპერატორი		
ოპერატორები	დანიშნულება	მაგალითი
& (ამპერსანდი)	ნიშანთა თანმიმდევრობის გაერთიანება ერთ თანმიმდევრობაში	A1-ში ჩაწერილია: ვებ B2-ში ჩაწერილია: გვერდი =A1&"&B2 შედეგი: ვებ გვერდი =A1&B2 შედეგი: ვებგვერდი(მხოლოდ მისამართით)

მიმართვის ოპერატორები		
ოპერატორები	დანიშნულება	მაგალითი
: (ორწერტილი)	ღიაპაზონზე მიმართვა. დაისმება ღიაპაზონის პირველი და ბოლო უჯრების მიმართვებს შორის	A2:A18
;(წერტილმძიმე)	რამდენიმე მიმართვის გაერთიანება ერთ მიმართვაში	SUM(A5:A15;B5:B15)
ჰარი(ცარიელი ადგილი)	სიმრავლეთა გადაკვეთის საერთო უჯრებზე მიმართვა	A7:D7 C6:C8

## მოქმედებების შესრულების თანმიმდევრობა ფორმულებში

Excel-ში ფორმულები აუცილებლად უნდა დაიწყოს ნიშნებით:

„=“ ან „+“. ფორმულაში შეიძლება გამოვიყენოთ ოპერატიული ფრჩხილები . მაგალითად, ფორმულას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სახე:  $=A1*A2$  ან  $=B5/(D2+32)$  და ა.შ. ამ ფორმულაში შემავალი სიდიდეები: **A1, A2, B5, D2** წარმოადგენენ უჯრების მისამართებს, სადაც შეიტანება რაიმე მნიშვნელობები. ფორმულაში კი მათ ოპერაციის წევრები, ანუ ოპერანდები ჰქვია.

მოვიყვანოთ მაგალითი:  $=(D5-52)/SUM(A6:C6)$ . ამ ფორმულაში მოქმედებები შესრუდება შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ რიგში შესრუდება **D5-52**. შემდეგ მიღებული შედეგი გაიყოფა **A6, B6, C6** უჯრებში მოთავსებული მნიშვნელობების ჯამზე.

### ერთი და იგივე ფორმულის ერთდროული ჩასმა რამდენიმე უჯრაში.

კლავიატურაზე დავაჭიროთ ღილაკს **Ctrl** / მისგან ხელაულებლად, კურსორის მოქმედებით, ფურცელზე მოვნიშნოთ **A1:B6** უჯრათა დიაპაზონი, სადაც გვინდა ჩაჭდეს ერთი და იგივე ფორმულა / ბოლო მონიშნულ უჯრაში ჩაგწეროთ ფორმულა  $=C5+D3$  / დავაჭიროთ ღილაკთა კომბინაციას **Ctrl+Enter**. ყველა მონიშნულ უჯრაში ჩაჭდება აკრეფილი ფორმულა (იხ. სურ.4.3.1)

	A	B	C	D
1	=C5+D3			
2				
3				
4				
5				
6				

სურ. 4.3.1. ერთი და იგივე ფორმულის ჩასმა რამდენიმე უჯრაში

### ფარდობითი და აბსოლუტური მისამართები (კავშირები) ფორმულებში. ფარდობითი მისამართები

ფორმულაში ფარდობითი მისამართი ეფუძნება იმ უჯრის ფარდობით პოზიციას, რომელზეც მიუთითებს მიმართვა. ფორმულის შემცველი უჯრის პოზიციის შეცდისას, სტრიქონის ან სვეტის გასწვრივ, იცვლება მისამართიც. განუძეობით (ავტომატურად) ფორმულებში გამოიყენება ფარდობითი მისამართი. ფარდობითი მისამართი ჩაიწერება შემდეგი სახით:  $=A1, =G10, =D15$ .

განვიხილოთ ფორმულის კოპირების მაგალითი: კურსორი დავსვათ **C1** უჯრაზე / ავკრიფოთ ფორმულა **=A1+A2 / Enter** / დავსვათ კურსორი ისევ **C1** უჯრაზე / დავაჭიროთ ღიდაკთა კომბინაციას **Ctrl+C** / ამით მოვახდენთ ფორმულის კოპირებას / დავსვათ კურსორი **D1** უჯრაზე / დავაჭიროთ ღიდაკთა კომბინაციას **Ctrl+V**. ამით მოვახდენთ ფორმულის ჩასმა **D1** უჯრაში / კურსორი ორჯერ დავანკაპუნოთ სხვა უჯრაზე, რათა **C1** უჯრას მოეხსნას კოპირების მონიშვნა / დავსვათ კურსორი **D1** უჯრაზე. ფორმულების სტრიქონზე **= A1+A2** ფორმულის მაგივრად გამოჩნდება ფორმულა **=B1+B2** ანუ ფარდობითი მიმართვების მქონე ფორმულაში, კოპირებისას მისამართები შეიცვალა(იხ. სურ.4.3.1).



სურ. 4 2.2. ფორმულის კოპირება

### აბსოლუტური მისამართები

ფარდობითი მისამართებისაგან განსხვავებით აბსოლუტური მისამართები, მიუხედავად მათი ადგილმდებარეობისა, ყოველთვის მიუთითებენ ერთი და იგივე მისამართს. აბსოლუტური მისამართის დროს **=A1** აღინერება ასე: **=\$A\$1**. სტრიქონის ან სვეტის გასწვრივ ფორმულის კოპირებისას აბსოლუტური არ იცვლება. მაგალითად, დავსვათ კურსორი **C3** უჯრაში / კდავიატურიდან ჩავწერთ ფორმულა აბსოლუტური მისამართით **=\$A\$1+\$A\$2** (იხ. სურ. 4.3.3) / დავაჭიროთ ღიდაკს **Enter** / დავსვათ კურსორი **C3** უჯრაში / დავაჭიროთ **Ctrl+C** ღიდაკთა კომბინაციას / ამით ვაკეთებთ ფორმულის კოპირებას / დავსვათ კურსორი **E3** უჯრაზე / დავაჭიროთ ღიდაკთა კომბინაციას **Ctrl+V**. ამით ვაკეთებთ ფორმულის ჩასმას **E3** უჯრაში / კურსორი ორჯერ დავანკაპუნოთ სხვა უჯრაზე, რათა **C3** უჯრას მოეხსნას კოპირების მონიშვნა / დავსვათ კურსორი **E3** უჯრაზე, ფორმულათა ზოლში გამოჩნდება ფორმულა **=\$A\$1+\$A\$2** (იხ. სურ.4.3.4) ანუ აბსოლუტური მისამართების მქონე ფორმულაში, კოპირებისას მისამართები არ შეიცვალა.

		C3		fx		= \$A\$1+\$A\$2	
	A	B	C	D	E	F	
1							
2							
3			0				

სურ. 4.3.3. ფორმულა აბსოლუტური მისამართით

		E3		fx		= \$A\$1+\$A\$2	
	A	B	C	D	E	F	
1							
2							
3			0		0		


სურ. 4.3.4. კოპირებული ფორმულა აბსოლუტური მისამართით

სამგანზომილებიანი მიმართვები (კავშირები) ფორმულაში.

სამგანზომილებიანი ენოდევა მიმართვებს, რომლებიც აღწერილი არიან ერთ ფორმულაში და მიმართავენ ერთი წიგნის რამდენიმე ფურცელში განთავსებულ უჯრებს ან დიაპაზონებს.


სამგანზომილებიანი მიმართვები გამოიყენება მაშინ, როდესაც საჭიროა ერთი წიგნის სხვადასხვა ფურცლების ერთიდაიგივე მისამართის მქონე უჯრის ან უჯრათა დიაპაზონის მონაცემების ანალიზი. სამგანზომილებიანი მიმართვა შეიცავს მიმართვას უჯრებზე ან დიაპაზონზე, რომელთა წინ ჩასმულია ფურცლის სახელი. ფურცლის სახელის შემდეგ აუცილებლად უნდა ჩვსვათ ძახილის(!) ნიშანი.

მაგალითად: გავხსნათ ახალი წიგნი / დავსვათ კურსორი A1 უჯრაზე / ვდავიატურაზე აგვრიფოთ რაიმე რიცხვი, მაგ. 5 / დავსავათ კურსორი C2 უჯრაზე ანუ იმ უჯრაზე სადაც შედეგი უნდა მივიღოთ ფორმულის მიხედვით და ვადავიატურაზე აგვრიფოთ ფორმულა: =Sheet1!A1+Sheet2!A1+Sheet3!A1 / (იხ. სურ. 4.3.5)



სურ. 4.3.5. სამგანზომილებიანი მიმართვის ფორმულა


დავაჭიროთ კლავიატურაზე განლაგებულ **Enter** ღიდაკს. კურსორის მოქმედებით გადავიღეთ წიგნის მეორე ფურცელზე **Sheet2** / კურსორი დავსვათ **A1** უჯრაზე / კლავიატურაზე ავკრიფოთ რაიმე რიცხვი, მაგ. 9 /კურსორის მოქმედებით გადავიღეთ წიგნის მესამე ფურცელზე **Sheet3** / კურსორი დავსვათ **A1** უჯრაზე / კლავიატურაზე ავკრიფოთ რაიმე რიცხვი, მაგ. 7 / კურსორის მოქმედებით დავბრუნდეთ წიგნის პირველ ფურცელზე **Sheet1**. **C2** უჯრაში აღმოჩნდება სამივე ფურცლის **A1** უჯრებში შეტანილი მონაცემების შეჯამების შედეგი 21 (იხ. სურ.4.3.6)



სურ. 4.3.6. სამგანზომილებიანი მიმართვის ფორმულის შედეგი

თუ რომელიმე ფურცლის **A1** უჯრაში შევცვლით მონაცემს და დაგუბრუნდებით წიგნის პირველ ფურცელზე **Sheet1**-ზე, **C2** უჯრაში აღმოჩნდება გამოთვლის შეცვლილი შედეგი.

რამდენადაც ვაკეთებთ სხვადასხვა ფურცელზე ერთსა და იმავე უჯრაში შეტანილი მონაცემების შეჯამებას, ამიტომ იგივე ფორმულა მოკლედ შეიძლება ჩავწერთ, შეჯამების ფუნქციის **SUM()** -ის გამოყენებით. დავსვათ კურსორი ამავე წიგნის ნებისმიერი ფურცლის ნებისმიერ უჯრაზე, მაგ. მესამე ფურცლის **B3** უჯრაზე და ავკრიფოთ ფორმულა: **=SUM(Sheet1:Sheet3!A1)** (ამ შემთხვევაში ძახილის (!) ნიშანი იწერება დიაპაზონის ბოლო სახელის შემდეგ / დავაჭიროთ კლავიატურის ლიდაკს **Enter**. წიგნის მესამე ფურცლის **B3** უჯრაში აღმოჩნდება სამივე ფურცლის **A1** უჯრებში მოთავსებული მონაცემების შეჯამების შედეგი 21 (იხ. სურ. 4.3.7).



სურ. 4.3.7. სამგანზომილებიანი მიმართვით SUM ფუნქციით მიღებული შედეგი

**ფორმულებში შეცდომების მოძებნის, მათი გამომწვევი მიზეზების დადგენისა და კორექტირების ცხრილი**

შეცდომის კოდი	შეცდომის გამომწვევი მიზეზი	შეცდომის შესწორება
######	1. სვეტის სიგანე ნაკლებია მასში ჩაწერილი მონაცემების სიგანეზე; 2. თარიღი ან დრო (წარმოადგენენ უარყოფით რიცხვებს) ჩაწერილია უარყოფითი ნიშნით	1. გაზზარდოთ სვეტის სიგანე; 2. შევამციროთ შრიფტი; 3. შევცვალეთ რიცხვის ფორმატი; 4. თუ Excel-ში ვიყენებთ თარიღის სისტემას 1900-დან, ის აუცილებლად უნდა იყოს დადებითი სიდიდე.
#VALUE!	1. ფორმულაში გამოყენებულია აკრძალული ტიპის არგუმენტი ან ოპერანდა; 2. ფორმულაში რიცხვის ან ლოგიკური (TRUE ან FALSE) მნიშვნელობებია შეტანილი როგორც ტექსტი; 3. ფორმულა, ფუნქცია ან მიმართვა მითითებულია როგორც მასივი	1. შევამოწმოთ ფორმულაში შეტანილი არგუმენტის ან ოპერანდის ჩაწერის მართებულობა; 2. ფორმულაში რიცხვის ან ლოგიკური (TRUE ან FALSE) მნიშვნელობის შეტანის შემდეგ აუცილებლად უნდა დავაჭიროთ ENTER-ს; 3. თუ ფორმულა, ფუნქცია ან მიმართვა მითითებულია როგორც მასივი, მაშინ შევცვალეთ.
#DIV/0!	რიცხვის გაყოფა მოხდა 0-ზე ან ცარიელ უჯრაზე	შევცვალეთ გამყოფი, ისე რომ იგი არ იყოს ნული ან ცარიელი.
#NAME?	1. სახელი შეცდომით წერია; 2. ფორმულაში შეტანილი ტექსტი არ არის ჩასმული ორმაგ აპოსტროფში-("); 3. ღიაპაზონის მითითებაში გამოტოვებულია ორმაგი წერტილი-(;)	1. შევამოწმოთ ორთოგრაფია და ავარჩიოთ საჭირო სახელი; 2. ფორმულაში შეტანილი ტექსტი ჩავსვათ ორმაგ აპოსტროფში-("); 3. ღიაპაზონის მითითებაში ჩვსვათ ორმაგი წერტილი(.).
#N/A	1. ფუნქციისათვის ან ფორმულისათვის მონაცემი შეუღწევადია; 2. გამოყენებულია შეუღწევადი ფუნქცია	1. მივცეთ სწორი „საძებნი ნიშნელობები“, რომელიც შეიძლება იყოს რაიმე სიდიდე ან მიმართვა, არა ღიაპაზონზე, არამედ უჯრაზე; 2. შევამოწმოთ ფუნქციის მუშაობის სისწორე.

**ფორმულებში შეცდომების მოძებნის, მათი გამომწვევი მიზეზების დადგენისა და კორექტირების ცხრილი**  
(გაგრძელება)



შეცდომის კოდი	შეცდომის გამომწვევი მიზეზი	შეცდომის შესწორება
<b>#REF!</b>	1. მიმართვა უჯრაზე მითითებულია არასწორად(უჯრა გადაადგილებულია ან მის ადგილზე სხვაა ჩასმული); 2. გამოყენებულია ისეთ პროგრამასთან კავშირი, რომელიც არაა გაშვებული	1. გავასწოროთ მიმართვა; 2. გავუშვათ პროგრამა.
<b>#NUM!</b>	1. ფუნქციაში გამოყენებულია დაუშვებელი რიცხვითი არგუმენტები; 2. შევადგინოთ ისეთი ფორმულა, რომელიც გვიბრუნებს ძალიან პატარა ან ძალიან დიდ რიცხვს	1. გამოვიყენოთ დასაშვები რიცხვითი არგუმენტი; 2. ფორმულა შევცვალოთ ისე, რომ შედეგი მოგვცეს დიაპაზონში $-1*10^{307}$ -დან $1*10^{307}$ -მდე.
<b>#NUL!</b>	1. მოცემულია ორი ველის გადაკვეთა, რომელთაც არ გააჩნიათ საერთო უჯრები	1. შევცვალოთ დიაპაზონი ისე, რომ მათ ერთმანეთი გადაკვეთონ.


ფორმულებში უჯრების ფარდობითი და აბსოლუტური მისამართების გამოყენება განვიხილოთ კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის დროს.

**ამოცანა.** ერთ ერთი ფირმა ახორციელებს საოჯახო ტექნიკის იმპორტს. მისი ანგარიშფაქტურა(ინვოისი) მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს: საქონლის დასახელება, ერთეული საქონლის ფასი, რაოდენობა, საერთო ღირებულება, დამატებითი ღირებულების გადასახადი, საქონლის ფასი ელგ-ს ჩათვლით. საერთო ღირებულება გამოითვლება ერთეული საქონლის ფასი გამრავლებული რაოდენობაზე. დამატებითი ღირებულების გადასახადი გამოითვლება საქონლის საერთო ღირებულების 18%, საქონლის ფასი დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით- გამოითვლება საერთო ღირებულებას დამატებული დამატებითი ღირებულების გადასახადი.

ავაგოთ ანგარიშფაქტურის (ინვოისის) ცხრილი.


შევიტანოთ ცხრილში ნებისმიერი სანყისი მონაცემები. საშუალო მაჩვენებლების გამოთვლის დროს გამოვიყენოთ უჯრების ფარდობითი და აბსოლუტური მიმართვები.

ცხრილის ასაგებად **A4:G13** უჯრების დიაპაზონს მივცეთ ცხრილის სახე. ამისათვის საჭიროა: მოვნიშნოთ **A4:G13** უჯრების დიაპაზონი / მენიუს ზოლიდან შევასრულოთ ბრძანებების თანმიმდევრობა: კურსორის დაჭერით გავააქტიუროთ **Home / Font** განყოფილებიდან ჩამოვშალოთ ჩარჩოს საზღვრების ვარიანტების პიქტოგრამების  მარჯვნივ ისარი / **Borders** ჩამონათვადში ავირჩიოთ  **All Borders**.


ცხრილის დასახელების ჩასაწერად საჭიროა: მოვნიშნოთ **A2:G2** უჯრების დიაპაზონი / მივმართოთ მენიუს ზოლს / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Home / Alignment** განყოფილებაში კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ  ლიდაკი. მენიუს ზოლის **Home** ფუნქციის **Font** განყოფილებაში ავირჩიოთ შრიფტი მუქი **B** / ზომა 10 / ჩავწეროთ ცხრილის დასახელება: „**ანგარიშფაქტურა (ინვოლისი)**“ / ამით, **A2:G2** უჯრების დიაპაზონი გაერთიანდება და ტექსტი განთავსდება უჯრის ცენტრში.

დავაფორმატოთ **A4:G4** უჯრების დიაპაზონი უჯრებში ტექსტის ჩასაწერად. ამისათვის, მოვნიშნოთ **A4:G4** უჯრების დიაპაზონი / მაუსის მარჯვენა ლიდაკით ჩამოვშალოთ კონტექსტური მენიუ / კურსორის დაჭერით ავირჩიოთ **Format Cells** / გამოვა ღადოგური ფანჯარა **Format Cells** / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Alignment** ჩანართი / **Text Alignment** განყოფილებაში, კურსორით ვიმოქმედოთ ვეღში **Horizontal** / გამოსუდ ჩამონათვადში კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Center** / კურსორით ვიმოქმედოთ ვეღში **Vertical** / ჩამონათვადში კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Center** / განყოფილებაში **Text control** კურსორის მოქმედებით ჩავურთოთ აღამი  **Wrap text**-ს (იხ. სურ. 4.3.8) / გავააქტიუროთ ლიდაკი **OK**.

მოვნიშნოთ **A4:G4** უჯრების დიაპაზონი / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ მენიუს ზოლის **Home / Font** ქვემენიუში კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ ფონტის ფერი მუქი - **B** / ფონტის ზომა - 10.





სურ. 4.3.8. Format Cells დიალოგური ფანჯარა Alignment ჩანართით

მოვნიშნოთ ცად-ცადვე **A4:A5, B4:B5, C4:C5,D4:D5, E4:E5** და **G4:G5** უჯრების დიაპაზონები და გავაერთიანოთ. ამისათვის საჭიროა მოვნიშნოთ **A4:A5** / დავაჭიროთ კლავიატურის **Ctrl** ლიდავს / არ ავუშვათ თითი და მოვნიშნოთ უჯრების დანარჩენი წყვილები / მივმართოთ მენიუს ზოდს / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Home** / განყოფილებაში **Alignment** კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ლიდავი . კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ მენიუს ზოდის ფუნქცია **Home** / **Font** განყოფილებაში ავირჩიოთ შრიფტი მუქი **B** / ზომა 10. **A5:G5** უჯრების დიაპაზონში თანმიმდევრობით ჩავწეროთ ცხრილის თავაკის მარჯვენალები: #, საქონლის დასახელება, ერთეული საქონლის ფასი(დარი), რაოდენობა(ცადი), საერთო ღირებულება(დარი), დამატებითი ღირებულების გადასახადი(დარი), საქონლის ფასი **დღგ-ს ჩათვლით(დარი)**, ხოლო **F5** უჯრაში ჩავწეროთ **18%**.

უჯრებში ჩაწერილი ტექსტი განთავსდება რამდენიმე სტრიქონად უჯრების ცენტრში.

ცხრილის **C6:G13** უჯრების დასაფორმატებლად მათში რიცხვითი მონაცემების შესატანად მძიმის მარჯვნივ ორი თანრიგით, საჭიროა მოვნიშნოთ **C6:G13** უჯრების დიაპაზონი / მაუსის მარჯვენა ლიდავით ჩამოვშადლოთ კონტექსტური მენიუ / ავირჩიოთ **Format Cells...** / გავააქტიუროთ **Number**

ჩანართი / ჩამონათვადში კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Number** კატეგორიის ფორმატი / მარჯვენა მხარეს **Decimal places** ვედის ბოლოს ღიდაკების  საშუალებით მივუთითოთ 2 (იხ. სურ.4.3.9) / **OK**.



სურ. 4.3.9. Format Cells დიალოგური ფანჯარა Number ჩანართის Number კატეგორიის ფორმატით

შვეიტანოთ ცხრილში ნებისმიერი საწყისი მონაცემები **B6:D13** უჯრების დიაპაზონში (იხ. სურ. 4.3.10).

	A	B	C	D	E	F	G
2		ანგარიშფაქტურა(ინვოისი)					
3							
4	#	საქონლის დასახელება	ერთეული საქონლის ფასი (ლარი)	რაოდენობა (ცალი)	საერთო ღირებულება (ლარი)	დამატებითი ღირებულების გადასახადი (ლარი)	საქონლის ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
5						18%	
6	1	სარეცხი მანქანა F1496TDT23	1210,00	10			
7	2	გაზქურა Samsung ME83	399,00	20			
8	3	მტვერსასრუტი Samsung MT76	92,00	15			
9	4	ფენი SCARLET SC-278	59,00	25			
10	5	წყლის გამაგებლებელი	119,00	20			
11	6	მაცივარი Samsung RT29	1157,00	5			
12	7	მაცივარი ORION OR FRO18	1099,00	7			
13	8	ყავის აპარატი Panasonic NC12	339,00	11			

სურ. 4.3.10. ანგარიშფაქტურა საწყისი მონაცემებით

საშედეგო მაჩვენებლის „საერთო ღირებულება (ლარი)“-ის გამოსათვრელად გავააქტიურეთ **E6** უჯრა და ჩავწერთ ფორმულა:  $=C6*D6$  / გავააქტიურეთ კლავიატურის **Enter** ღილაკი.

საშედეგო მაჩვენებლის დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოსათვრელად გავააქტიურეთ **F6** უჯრა და ჩავწერთ ფორმულა  $=E6*G5$  / დავაჭიროთ კლავიატურაზე მოთავსებულ **F4** ფუნქციონალურ ღილაკს / ფორმულაში **G5** უჯრის მისამართი ფარდობითი მისამართიდან გადავა აბსოლუტურ მისამართში და ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:  $=E6*\$F\$5$  (იხ. სურ. 4.3.11) / გავააქტიურეთ კლავიატურის **Enter** ღილაკი.

საშედეგო მაჩვენებლის „საქონლის ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)“-ის გამოსათვრელად გავააქტიურეთ **G6** უჯრა და ჩავწერთ ფორმულა:  $=E6+F6$  / გავააქტიურეთ კლავიატურის **Enter** ღილაკი. მივიღებთ ცხრილს პირველი ჩანაწერისთვის, სადაც **F6** უჯრაში ჩანერიდი ფორმულა წარმოდგენილია აბსოლუტური მისამართით, ხოლო **E6**, **G6** უჯრებში ჩანერიდი ფორმულები წარმოდგენილია ფარდობითი მისამართებით (იხ. სურ. 4.3.12).

ანგარიშფაქტურა(ინვოისი)						
#	საქონლის დასახელება	ერთეული საქონლის ფასი (ლარი)	რაოდენობა (ცალი)	საერთო ღირებულება (ლარი)	დამატებითი ღირებულების გადასახადი (ლარი)	საქონლის ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
1	სარეცხი მანქანა F1496TDT23	1210,00	10	12100,00	18%	
2	გაზქურა Samsung ME83	399,00	20			
3	მტვერსასრუტი Samsung MT76	92,00	15			
4	ფენი SCARLET SC-278	59,00	25			
5	წყლის გამაცხელებელი	119,00	20			
6	მაცივარი Samsung RT29	1157,00	5			
7	მაცივარი ORION OR FRO18	1099,00	7			
8	ყავის აპარატი Panasonic NC12	339,00	11			

სურ. 4.3.11. უჯრის აბსოლუტური მისამართის გამოყენება ფორმულაში

ანგარიშფაქტურა(ინვოისი)						
#	საქონლის დასახელება	ერთეული საქონლის ფასი (ლარი)	რაოდენობა (ცალი)	საერთო ღირებულება (ლარი)	დამატებითი ღირებულების გადასახადი (ლარი)	საქონლის ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
					18%	
1	სარევი მანქანა F1496TDT23	1210,00	10	12100,00	2178,00	14278,00
2	გაზქურა Samsung ME83	399,00	20			
3	მტვერსასრუტი Samsung MT76	92,00	15			
4	ფენი SCARLET SC-278	59,00	25			
5	წყლის გამაგებლებელი	119,00	20			
6	მაცივარი Samsung RT29	1157,00	5			
7	მაცივარი ORION OR FRO18	1099,00	7			
8	ყავის აპარატი Panasonic NC12	339,00	11			

სურ.4.3.12. ანგარიშფაქტურის მონაცემები პირველი ჩანაწერისთვის

ფორმულების გასაგრცვლებად დანარჩენ უჯრებზე მოვნიშნოთ E6:G6 უჯრების დიაპაზონი, მონიშნული უჯრების ბოლოს მარჯვენა ქვედა კიდეში განიღებოთ მარჯვნივ / მივიტანოთ კურსორი მასთან/ კურსორი შეიცვდის ფორმას და გახდება შავი ფერის „+“ პიქსელის ფორმის / დავაჭიროთ თავის მარჯვენა ღირაკს და თითის აულებდად გადავასრიადოთ დანარჩენი E13:G13 უჯრების დიაპაზონზე (იხ. სურ. 4.3.13). ყველა უჯრაში მივიღებთ ფორმულით გამოთვლის შედეგებს ყველა სტრიქონისათვის - ყველა ჩანაწერისათვის (იხ. სურ. 4.3.14).

ანგარიშფაქტურა(ინვოისი)						
#	საქონლის დასახელება	ერთეული საქონლის ფასი (ლარი)	რაოდენობა (ცალი)	საერთო ღირებულება (ლარი)	დამატებითი ღირებულების გადასახადი (ლარი)	საქონლის ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
					18%	
1	სარევი მანქანა F1496TDT23	1210,00	10	12100,00	2178,00	14278,00
2	გაზქურა Samsung ME83	399,00	20			
3	მტვერსასრუტი Samsung MT76	92,00	15			
4	ფენი SCARLET SC-278	59,00	25			
5	წყლის გამაგებლებელი	119,00	20			
6	მაცივარი Samsung RT29	1157,00	5			
7	მაცივარი ORION OR FRO18	1099,00	7			
8	ყავის აპარატი Panasonic NC12	339,00	11			

სურ. 4.3.13. ფორმულების გავრცელება უჯრების დიაპაზონზე

	A	B	C	D	E	F	G
2	ანგარიშგაქტურა(ინვოისი)						
3							
4	#	საქონლის დასახელება	ერთეული საქონლის ფასი (ლარი)	რაოდენობა (ცალი)	საერთო ღირებულება (ლარი)	დამატებითი ღირებულების გადასახადი (ლარი)	საქონლის ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
5						18%	
6	1	სარეცხი მანქანა F1496TDT23	1210,00	10	12100,00	2178,00	14278,00
7	2	გაზქურა Samsung ME83	399,00	20	7980,00	1436,40	9416,40
8	3	მტვერსასრუტი Samsung MT76	92,00	15	1380,00	248,40	1628,40
9	4	ფენი SCARLET SC-278	59,00	25	1475,00	265,50	1740,50
10	5	წყლის გამაგებლებელი	119,00	20	2380,00	428,40	2808,40
11	6	მაგივარი Samsung RT29	1157,00	5	5785,00	1041,30	6826,30
12	7	მაგივარი ORION OR FRO18	1099,00	7	7693,00	1384,74	9077,74
13	8	ფაფის აპარატი Panasonic NC12	339,00	11	3729,00	671,22	4400,22



სურ.4.3.14. ანგარიშგაქტურა სრული მონაცემებით


ხელფასის გაცემის უწყისის შედგენა.



ამოცანა. ფირმა „ფუდმარტის“ თანამშრომლებისათვის შევადგინოთ ხელფასის გაცემის უწყისი, სადაც მოცემული იქნება თანამშრომლების ძირითადი ხელფასი, პრემია, რომელიც გაიცემა ძირითადი ხელფასის 45%, საშემოსავლო(დაკავება), რომელიც გამოითვლება ძირითადი ხელფასისა და პრემიის ჯამის 20% და ხელზე გასაცემი თანხა.


ავაგოთ ცხრილი. შევიტანოთ ნებისმიერი საწყისი მონაცემები. გამოვთვალოთ საშედეგო მაჩვენებლები. პრემიის დარიცხვისას გამოვიყენოთ უჯრის აბსოლუტური მისამართი.

ცხრილის ასაგებად **A7:G15** უჯრების დიაპაზონს მივცეთ ცხრილის სახე. ამისათვის საჭიროა: მოვნიშნოთ **A7:G15** უჯრების დიაპაზონი / მენიუს ბოლდინგს შევასრულოთ ბრძანებების თანმიმდევრობა კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Home / Font** კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ღირაჟი

 / **Borders** ჩამონათვადში ავირჩიოთ  **All Borders**.


ცხრილის დასახელების ჩასაწერად საჭიროა მოვნიშნოთ **A4:G4** უჯრების დიაპაზონი / მივმართოთ მენიუს ბოლდს / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ფუნქცია **Home / Alignment** განყოფილებაში კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ღირაჟი . გავააქტიუროთ ფორმულის ბოლდის ფუნქცია **Home / Font** განყოფილებაში კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ შრიფტი მუქი **B** / დახრილი / / ზომა 10 / ჩავწეროთ ცხრილის დასახელება: ფირმა „ფუდმარტის“ თანამშრომლების ხელფასების გაცემის უწყისი / **A5:G5** უჯრების დიაპაზონი გაერთიანდება, ტექსტი განთავსდება უჯრის ცენტრში.

მოგნიშნოთ **A5:D5** უჯრების დიაპაზონი / მივმართოთ მენიუს ზოდს / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ფუნქცია **Home** / განყოფილებაში **Alignment** კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ღილაკი  / ავირჩიოთ  **Merge & Center** / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ფორმულის ზოდის ფუნქცია **Home** / **Font** განყოფილებაში ავირჩიოთ შრიფტი მუქი **B** / დახრილი // ზომა **10** / უჯრები გაერთიანდება / გაერთიანებულ უჯრაში ჩავწეროთ: **პრემია გაიცემა ძირითადი ხელფასის / E5** უჯრაში ჩავწეროთ **45%**.

დავაფორმატოთ **A7:G7** უჯრების დიაპაზონი უჯრებში ტექსტის ჩასაწერად. ამისათვის, მოგნიშნოთ **A7:G7** უჯრების დიაპაზონი / მაუსის მარჯვენა ღილაკით ჩამოვშალოთ კონტექსტური მენიუ / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Format Cells** / გამოვა დარღვევი ფანჯარა **Format Cells** / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Alignment** ჩანართი / **Text Alignment** განყოფილებაში კურსორით დავაჭიროთ **Horizontal** ველს / გამოსულ ჩამონათვალში კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Center** / კურსორით დავაჭიროთ ველს **Vertical** / ჩამონათვალში კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Center** / განყოფილებაში **Text control** კურსორის მოქმედებით ჩავურთოთ აღადი  **Wrap text**-ს (იხ. სურ.4.3.8) / **OK**.

მოგნიშნოთ **A7:G7** უჯრების დიაპაზონი / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ მენიუს ზოდის **Home** / **Font** განყოფილებაში ავირჩიოთ შრიფტის ფერი მუქი - **B** / ზომა - 10. ამით, უჯრებში ჩაწერილი ტექსტი განთავსდება რამდენიმე სტრიქონად უჯრების ცენტრში.

**A7:G7** უჯრების დიაპაზონში თანმიმდევრობით შევიტანოთ ცხრილის თავაკის მაჩვენებლები: **#, გვარი, სახელი, ძირითადი ხელფასი(ღარი), პრემია(ღარი), საშემოსავლო(ღარი), ხელზე გასაცემი ხელფასი(ღარი)**.

ცხრილის **D8:G15** უჯრების დასაფორმატებლად, რიცხვითი მონაცემების შესატანად მძიმის მარჯვნივ ორი თანრიგით, საჭიროა მოგნიშნოთ **D8:G15** უჯრების დიაპაზონი / მაუსის მარჯვენა ღილაკით ჩამოვშალოთ კონტექსტური მენიუ / ავირჩიოთ **Format Cells** / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Number** ჩანართი / ავირჩიოთ **Number** კატეგორიის ფორმატი / **Decimal places** ველის ბოლოს ღილაკების საშუალებით  მივუთითოთ 2 (იხ. სურ.4.3.9) / **OK**.

შევავსოთ ცხრილის **A7:D15** უჯრების დიაპაზონი ნებისმიერი სანყისი მონაცემებით (იხ. სურ. 4.3.15).

	A	B	C	D	E	F	G
4	ფირმა „ფუდმარტის“ თანამშრომლების ხელფასების გაცემის უწყისი						
მივიღებთ დასმული ამოცანის პირობით დინამიურ ცხრილს, მარკეტების მიერ გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების საერთო (ჯამობრივ) მონაცემებს, სხვადასხვა სახეობის პროდუქციის მიხედვით (იხ. სურ. 8.1.8).

	A	B	C	D
1	Sum of გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი (ლარი)	Column Lat		
2	Row Labels	მარკეტი 1	მარკეტი 2	Grand Total
3	გამოყვანილი თევზხეული	3101	2179	5280
4	დელიკატესები	3950	2410	6360
5	ქათამი	3800	2800	6600
6	ხიზილალა	2875	2900	5775
7	<b>Grand Total</b>	<b>13726</b>	<b>10289</b>	<b>24015</b>

სურ. 8.1.8. ფირმა „ნიკორას“ მარკეტების მიხედვით სხვადასხვა სახეობის პროდუქციის გაყიდვებიდან მიღებული საერთო თანხობრივი შემოსავლების დინამიური ცხრილი

საწყისი ცხრილის მონაცემების ცვლილების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები დინამიურ ცხრილში რომ აისახოს, ამისათვის საჭიროა გავააქტიუროთ დინამიური ცხრილის რომელიმე უჭრა / მენიუს ზოღზე გამონათდება დამატებითი მენიუ **PivotTable Tools** (იხ. სურ.8.1.6) / გავააქტიუროთ მისი ჩანართი **Options** / კურსორის მოქმედებით ჩამოვშაღოთ **Refresh** ქვემენიუს ქვემოთ ისარი / გავააქტიუროთ **Refresh All** (იხ. სურ.8.1.9). დინამიური ცხრილი განახლდება.



სურ. 8.1.9. დინამიურ ცხრილში მონაცემების განახლების Refresh All ფუნქცია

ამოცანა. ფირმა „ნიკორას“ შემოსავლების მონაცემთა ბაზის (იხ. სურ.8.1.3) საფუძველზე მივიღოთ დინამური ცხრილი (ანგარიშგებითი ფორმა), რომელშიც ასახული იქნება მარკეტებში გაყიდვებიდან მიღებული საერთო შემოსავლები კვარტალების მიხედვით.


დინამური ცხრილის ასაგებად საჭიროა: გემოთ აღწერილი წესით გამოვიძახოთ დინამური ცხრილის მაკეტი და **Pivot Table Field List** დამატებითი ფანჯარაში ცხრილის მაჩვენებლები განვადგოთ შემდეგნაირად: დინამური ცხრილის მაკეტის ფანჯრის **PivotTable Field List** (*დინამური ცხრილის ველის სია*) **Shoose field too add to report** განყოფილებიდან მოვკიდოთ მაუსის მარცხენა ლიდაკით და გადავასრიადოთ რიგრიგობით ველების დასახელებები: **Drag fields between areas below** განყოფილების **Column Labels** ველში / **მარკეტი - Row Labels** ველში / **გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი(დარი) - Column Labels** განყოფილების **Values** (*მნიშვნელობა*) ველში. მივიღებთ დინამურ ცხრილს (ანგარიშგებით ფორმას), რომელშიც მოცემულია მარკეტების მიერ პროდუქციის გაყიდვებიდან მიღებული საერთო თანხობრივი შემოსავლები კვარტალების მიხედვით (იხ. სურ. 8.1.10).

მარკეტი	პროდუქციის დასახელება	კვარტალი	1	2	Grand Total
მარკეტი 1	გამოყვანილი თევზი		1101	2000	3101
	დელიკატესები		1450	2500	3950
	ქათამი		2000	1800	3800
	ხიზილალა		1315	1560	2875
<b>მარკეტი 1 Total</b>			<b>5866</b>	<b>7860</b>	<b>13726</b>
მარკეტი 2	გამოყვანილი თევზი		1234	945	2179
	დელიკატესები		1300	1110	2410
	ქათამი		1000	1800	2800
	ხიზილალა		1200	1700	2900
<b>მარკეტი 2 Total</b>			<b>4734</b>	<b>5555</b>	<b>10289</b>
<b>Grand Total</b>			<b>10600</b>	<b>13415</b>	<b>24015</b>

სურ. 8.1.10. ფირმა „ნიკორას“ მარკეტების მიერ პროდუქციის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების საერთო თანხობრივი მონაცემების დინამური ცხრილი კვარტალების მიხედვით - Pivot Table Field List დამატებითი ფანჯრით

დინამიური ცხრილის მისაღებად დამატებითი ფანჯრის **Pivot Table Field List** გარეშე, საჭიროა გავააქტიუროთ მაუსი დინამიური ცხრილის გარეთ ნებისმიერ უჯრაზე.

**ამოცანა.** გაფილტვროთ დინამიური ცხრილი (იხ. სურ.8.1.8) პროდუქციის სახეობის მიხედვით და მივიღოთ ახალი ანგარიშგებითი ფორმა, რომელშიც ასახული იქნება ფირმა „ნიკორას“ მიერ პროდუქცია „ხიზილდას“ გაყიდვებიდან მიღებული საერთო თანხობრივი შემოსავალი მარკეტების მიხედვით.

ამოცანის გადასაწყვეტად კურსორის მოქმედებით ჩამოვშალოთ დინამიური ცხრილში **Row Labels** მარჯვნივ ისარი  /კურსორის მოქმედებით გამოვურთოთ ადამი პროდუქციის ყველა დასახელებას / ადამი დავუტოვოთ პროდუქცია „ხიზილდას“ (იხ.სურ.8.1.11) / გავააქტიუროთ **OK** ღილაკი.

Row Labels	მარკეტი 1	მარკეტი 2	Grand Total
გამი	3101	2179	5280
დელ	3950	2410	6360
ქათ	3800	2800	6600
ხიზ	2875	2900	5775
<b>13726</b>	<b>10289</b>	<b>24015</b>	

სურ. 8.1.11. ფირმა „ნიკორას“ შემოსავლების დინამიური ცხრილის მონაცემთა გაფილტვრა პროდუქციის სახეობის მიხედვით

მივიღებთ ახალ დინამიურ ცხრილს- ანგარიშგებით ფორმას მარკეტების მიერ პროდუქცია „ხიზილდას“ გაყიდვებიდან მიღებულ საერთო თანხობრივ შემოსავლებს (იხ. სურ.8.1.12).


	A	B	C	D
1	Sum of გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი (ლარი)	Column Labels		Grand
2	Row Labels	მარკეტი 1	მარკეტი 2	Total
3	ხიზილალა	2875	2900	5775
4	Grand Total	2875	2900	5775

სურ.8.1.12. მარკეტების მიერ პროდუქტია „ხიზილალა“ გაყიდვებიდან მიღებული საერთო თანხობრივ შემოსავლები

## 8.2. ჰიპერმიმართვა


ჰიპერმიმართვა გულისხმობს საბუთის ერთი ადგილიდან მის ნებისმიერ სხვა ადგილზე მიმართვას ან მიმდინარე საბუთის ერთი ადგილიდან სხვა ოპერაციული სისტემის საბუთის ნებისმიერ ადგილზე მიმართვას, გადასვლას. ჰიპერმიმართვის საშუალებით შესაძლებელია სწრაფად განხორციელდეს მიმართვა სხვა Web-გვერდთან, სურათთან, ელექტრონული ფოსტის მისამართთან ან პროგრამასთან. თვითონ ჰიპერმიმართვა განთავსებულია სამუშაო ფურცელზე ხაზგასმული ტექსტის სახით, რომელზეც მაუსის დაწკაპუნებით ხორციელდება საჭირო ფაილის სწრაფი გამოძახება. ჰიპერმიმართვის ჩასმა ასევე შეიძლება დიაგრამის განსაზღვრულ ელემენტებშიც.

ჰიპერმიმართვის ჩასმა ხდება შემდეგი ბრძანებების თანმიმდევრული შესრულებით: დავაფიქსიროთ კურსორი რომელიმე უჯრაზე / მივმართოთ მენიუს ბოლს და კურსორზე მოქმედებით გავაქტიუროთ ფუნქცია **Insert / links** განყოფილებაში კურსორით დავაჭიროთ **Hiperlink** (იხ. სურ. 8.2.1) /



სურ. 8.2.1. ჰიპერმიმართვის ჩასმის Insert Hiperlink ფუნქცია

/ გაიხსნება დიალოგური ფანჯარა **Insert Hiperlink** / დავაჭიროთ ღიდავს **Existing File or web page** (ფაილი ან ვებ გვერდი) / **Look in** ვედის მარჯნივ დავაჭიროთ ღიდავს **Local Disk (D:)** და მისი დახმარებით მოვძებნოთ ჩვენთვის საჭირო ფაილი / **Ok** (იხ. სურ. 8.2. 2).



სურ. 8.2.2. ჰიპერმიმართვის ჩასმის - Insert Hiperlink დიალოგური ფანჯარა


გამოჩნდება ფაილის დასახელება ღერჯი ფერით ქვეშ ხაზგასმული (იხ. სურ.8.2.3).



სურ. 8.2.3. ჰიპერმიმართვით ჩასმული ფაილი

ჰიპერმიმართვის გამოსაძახებლად მივიყვანოთ მაუსი მასთან და დავაჭიროთ მაუსის მარცხენა ღიდავს. გაიხსნება მითითებული ფაილი.

ფაილის წასაშლელად მივიტანოთ მაუსი მასთან / მაუსის მარჯვენა ღიდავით ჩამოვშალოთ კონტექსტური მენიუ / კურსორზე მოქმედებით ავირჩიოთ **Delete** (იხ. სურ.8.2.4) (ან დავაჭიროთ კლავიატურის ღიდავს **Delete**) ფაილი წაიშლება.



სურ. 8.2.4. ჰიპერმიმართვით ჩასმული ფაილის წაშლის Delete ბრძანება

### 8.3. მაკროსები

მაკროსი - ბრძანებებისა და ინსტრუქციების ერთობლიობაა, რომელსაც ის დავადების ავტომატურად შესრულების მიზნით ერთი ბრძანების ქვეშ აჯგუფებს. მაკროსის საშუალებით ხდება ხშირად გამოყენებული ამოცანისა და მოქმედებების ავტომატიზაცია, ცხრილის დაპროექტება და სხვა. **Excel**-ში არსებობს მაკროსის შექმნის ორი მეთოდი: პირველი მაკროსის შექმნა ბრძანებებისა და **Excel**-ის მომხმარებლის მიერ ჩატარებული მოქმედებების თანმიმდევრული ჩაწერით, რომელიც მარტივია და პოპულარულია და მეორე - მაკროსის შექმნა პროგრამირების ენის **Visual Basic for Applications** საშუალებით, რომელიც საჭიროებს პროგრამირების ცოდნას.


მაკროსის შექმნის პროცედურა განვიხილოთ ფირმების ფინანსური მდგომარეობის შეფასების ცხრილის აგების მაგალითზე.

მოცემული ცხრილისთვის (იხ. სურ. 8.3.1), რომელიც ითვალისწინებს ფირმის ფინანსური მდგომარეობის შეფასებას შემოსავლისა და გასავლის მიხედვით გამოვიყენოთ IF დოკიკური ფუნქცია და შეფასების უჯრებში ჩავწეროთ „მომგებიანია“ ან „წამგებიანია“.

	A	B	C	D
1	<b>ფირმების ფინანსური მდგომარეობის შეფასება</b>			
2				
3	<b>ფირმები</b>	<b>შემოსავალი (ლარი)</b>	<b>გასავალი (ლარი)</b>	<b>შეფასება</b>
4	ფირმა 1			
5	ფირმა 2			
6	ფირმა 3			
7	ფირმა 4			
8	ფირმა 5			
9	ფირმა 6			


სურ. 8.3.1. მაკროსით შესაქმნელი ცხრილი

**დავინწყოთ მაკროსის შექმნა.** ამისათვის საჭიროა, გავხსნათ **Excel**-ის ახალი წიგნი (ან უკვე გახსნილ წიგნში) / რომელიმე ფურცელზე დავსვათ კურსორი / მივმართოთ მენიუს ზოლს / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ფუნქცია **View** / განყოფილებაში **Macros** გავააქტიუროთ **Macros**-ი / მოცემულ ჩამონათვაღადში კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Record Macro** (იხ. სურ. 8.3.2). გამოვა **Record Macro** დიალოგური ფანჯარა (იხ. სურ.8.3.3) / **Record**



სურ. 8.3.2. მაკროსის შექმნის Record Macro ფუნქცია

**Macro** დიალოგური ფანჯრის **Macro name** ველში ჩავწერთ მაკროსის სახელი „Shefaseba“ / კურსორის მოქმედებით გავააქტიურთ ველი **Store Macro in** და ჩამონათვალში ავირჩიოთ ფუნქცია **This Workbook** / მაკროსისათვის კლავიატურის ღიდაკთა კომბინაციის მისანიჭებლად დავაყენოთ კურსორი დიალოგური ფანჯრის **Shortcut key** ველში „Ctrl +“ და კლავიატურაზე ავკრიფოთ, მაგ., **m** (ამ ღიდაკთა **Ctrl+m** კომბინაციით შევძლებთ აღწერილი მაკროსის გამოძახებას) / ველში **Description** აღწეროთ, თუ რომელ პროცედურას აღწერს მაკროსი - „ფირმების ფინანსური მდგომარეობის შეფასება“ (იხ. სურ. 8.3.3) / **OK**.




სურ.8.3.3. Record Macro დიალოგური ფანჯარა


**ავაგოთ ცხრილი.** ცხრილის ასაგებად **A3:D9** უჯრების დიაპაზონს მივცეთ ცხრილის სახე. ამისათვის საჭიროა მოვნიშნოთ **A3:D11** უჯრების დიაპაზონი და შევასრულოთ მენიუს ზოლიდან შემდეგი ბრძანებების თანმიმდევრობა:

კურსორის მოქმედებით გავააქტიურეთ ფუნქცია **Home / Font** განყოფილებიდან ჩამოვშალეთ ჩარჩოს საზღვრების ვარიანტების პიქტოგრამა




**შენიშვნა:** ცხრილის აგებისას უნდა გამოვიყენოთ ქართული ფონტები: **AcadNusx, LitNusx, DumbaNusx.**

ცხრილის დასათაურების ჩასაწერად მოვნიშნეთ **A1:D1** უჯრების დიაპაზონი და გავაერთიანოთ. ამისათვის მივმართოთ მენიუს ზოდს და შევასრულოთ ბრძანებების თანმიმდევრობა: კურსორზე მოქმედებით გავააქტიურეთ **Home / ქვემენიუში Alignment** გავააქტიურეთ ღილაკი . გაერთიანებული **A1:D1** უჯრების დიაპაზონში ჩავწეროთ ცხრილის დასახელება - **ფირმების ფინანსური მდგომარეობის შეფასება.**

ცხრილის თავაკის უჯრების დასაფორმატებლად, მოვნიშნეთ **A3:D3** დიაპაზონი / მაუსის მარჯვნივ ღილაკით ჩამოვშალეთ კონტექსტური მენიუ / ავირჩიოთ  **Format Cells...** / გამოვა დიალოგური ფანჯარა **Format Cells /** კურსორზე მოქმედებით გავააქტიურეთ **Alignment** ჩანართი / **Text Alignment** განყოფილებაში კურსორის მოქმედებით გავააქტიურეთ ველი **Horizontal /** ჩამონათვალში კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Center /** კურსორის მოქმედებით გავააქტიურეთ ველი **Vertical /** ჩამონათვალში კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Center /** ველში **Text control** კურსორის მოქმედებით ჩავსვით ადამი  **Wrap text-ს** (იხ. სურ. 8.1.1) / **OK.** კურსორის მოქმედებით გავააქტიურეთ მენიუს ზოდის ფუნქცია **Home / Font** განყოფილებიდან ავირჩიოთ შრიფტის ფერი მუქი - **B /** ზომა - **10.** უჯრებში ჩაწერილი ტექსტი განთავსდება უჯრების ცენტრში სტრიქონებად (იხ. სურ. 8.1.1).


**A3** უჯრაში ჩავწეროთ **ფირმები / B3-ში** ჩავწეროთ **შემოსავალი (ღარი) / C3-ში** ჩავწეროთ **გასავალი (ღარი) / D3-ში** ჩავწეროთ **შეფასება / A4:A9** უჯრების დიაპაზონში ჩავწეროთ **ფირმების ჩამონათვალი.** გავააქტიურეთ **D4** უჯრა და ჩავწეროთ ფორმულა **=IF(B4>C4,"მომგებიანია","წამგებიანია") /** ვიმოქმედოთ კლავიატურის **Enter** ღილაკზე. ფორმულის გასავრცელებლად დანარჩენ უჯრებზე მოვნიშნოთ **D4** უჯრა, მონიშნული უჯრის ბოლოს მარჯვნივ ქვედა კიდეში გაჩნდება მარკერი / მივიტანოთ კურსორი მასთან / კურსორი შეიცვლის ფორმას და გახდება შავი ფერის „+“ პიქტოგრამის ფორმის / დავაჭიროთ თავგის მარცხენა ღილაკს და თითის აულებლად გავავრცელოთ ფორმულა **D4:D9** უჯრების დიაპაზონზე. შემდეგ მივმართოთ მენიუს ზოდს და კურსორის მოქმედებით გავააქტიურეთ **View /** ქვემენიუში **Macros /** კურსორის მოქ-

მედებით გავააქტიურეთ **Macros** / ჩამონათვადში კურსორის მოქმედებით გავააქტიურეთ **Stop Recording** ფუნქცია (იხ.სურ. 8.3.4) / მაკროსის შექმნა დასრულდება.




სურ. 8.3.4. მაკროსის შექმნის დასრულების Macros / Stop Recording ფუნქცია

**Excel**-თან მუშაობის დროს როდესაც დაგჭირდება ჩვენს მიერ შედგენილი მაკროსი, მის გამოსაძახებლად საჭიროა გავააქტიურეთ ფუნქცია **View** / განყოფილებაში **Macros** კურსორის მოქმედებით გავააქტიურეთ **Macros**-ი / ავირჩიოთ **View Macros** (იხ. სურ.8.3.5) / გამოვა დიალოგური ფანჯარა **Macro**, სადაც ვერში **Macro name** მოცემულია მაკროსების დასახელებები / კურსორზე მოქმედებით ავირჩიოთ სასურველი მაკროსი, მაგ., „**shfaseba**“ და დავაჭიროთ ღიდაკს **Run** (იხ. სურ. 8.3.6). მაკროსით შექმნილი ცხრილი გამოვა ეკრანზე იმ დიაპაზონში რომელშიც იყო აწყობილი (იხ. სურ. 8.3.7). ცხრილში შევიტანოთ ფორმების მონაცემები და შეფასების უჯრებში მივიღებთ „შეფასებას“ ავტომატურად.



სურ. 8.3.5. მაკროსის ამორჩევის თანმიმდევრობა



სურ. 8.3.6. მაკროსის შესრულებაზე გაშვების  
Macro დიალოგური ფანჯარა

	A	B	C	D	E	F
1	ფირმების ფინანსური მდგომარეობის შეფასება					
2						
3	ფირმები	შემოსავალი (ლარი)	გასავალი (ლარი)	შეფასება		
4	ფირმა 1			წამგებიანია		
5	ფირმა 2					
6	ფირმა 3					
7	ფირმა 4					
8	ფირმა 5					
9	ფირმა 6					

სურ. 8.3.7. მაკროსით შექმნილი ცხრილი

მაკროსის შესრულებაზე გაშვება შეიძლება აგრეთვე ჩვენს მიერ მინიჭებული ლიდაკთა კომბინაციათაგან. მაგ., **Ctrl+m**. როგორც კი დავაჭერთ ლიდაკთა კომბინაციას **Ctrl+m** მაკროსი გამოვა ეკრანზე იმ ღიაპაზონში, რომელშიც იყო აგებული. მაკროსით შექმნილ ცხრილში შეგვიძლია ვცვალოთ საწყისი მონაცემები და შესაბამისად მივიღოთ შეფასების უტრაში: „მომგებიანია“ ან „წამგებიანია“ (იხ. სურ. 8.3.5)

	A	B	C	D
1	<b>ფირმების ფინანსური მდგომარეობის შეფასება</b>			
2				
3	<b>ფირმები</b>	<b>შემოსავალი (ლარი)</b>	<b>გასავალი (ლარი)</b>	<b>შეფასება</b>
4	<b>ფირმა 1</b>	<b>120000</b>	<b>333342</b>	<b>წამგებიანია</b>
5	<b>ფირმა 2</b>	<b>2209000</b>	<b>2107000</b>	<b>მომგებიანია</b>
6	<b>ფირმა 2</b>	<b>1350000</b>	<b>210000</b>	<b>წამგებიანია</b>
7	<b>ფირმა 3</b>	<b>680000</b>	<b>760000</b>	<b>მომგებიანია</b>
8	<b>ფირმა 3</b>	<b>555000</b>	<b>455000</b>	<b>წამგებიანია</b>
9	<b>ფირმა 4</b>	<b>678000</b>	<b>345000</b>	<b>მომგებიანია</b>

სურ. 8.3.8. მაკროსით შექმნილი ცხრილი

რომელიმე მაკროსის წასაშლელად დიალოგურ ფანჯარაში **Macro** მოვნიშნოთ მაკროსის სახელი / დავაჭიროთ ღიდაკს **Delete**. მაკროსი ამოიშლება.

## 8.4. დამოუკიდებელი სამუშაოები

### დამოუკიდებელი სამუშაო #1

ისარგებლეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი #1-ით და მიიღეთ დინამიური ცხრილი(ანგარიშგებითი ფორმა), რომელშიც მოცემული იქნება:

1. ღვინის კომპანიების მიერ ექსპორტირებული პროდუქციის საერთო რაოდენობა და მისგან მიღებული საერთო შემოსავლები იმპორტიორი ქვეყნების მიხედვით;

2. მიიღეთ ექსპორტირებული პროდუქციის საერთო რაოდენობა პროდუქციის სახეობის მიხედვით და მიღებული საერთო შემოსავლები (შემოსავლების ჯამობრივი მონაცემები) იმპორტიორი ქვეყნების მიხედვით;

3. მიიღეთ კომპანიების მიერ ექსპორტირებული პროდუქციის საერთო რაოდენობა და მიღებული საერთო შემოსავლები;

	A	B	C	D	E	F
1	<b>ლეინისა და ბრენდის ექსპორტის 2015 წლის მონაცემები</b>					
2						
3	<b>#</b>	<b>კომპანიის დასახელება</b>	<b>იმპორტიორი ქვეყანა (პროდუქციის მიმღები)</b>	<b>პროდუქციის დასახელება</b>	<b>რაოდენობა (ცალი -0,75ლ)</b>	<b>შემოსავალი(\$)</b>
4	1	ასკ „ალავერდი“	პოლონეთი	წინანდალი	50900	1200000
5	2	ბაგრატიონი 1882	ჩინეთი	ტეიში	89800	1400000
6	3	ბადაგონი	უკრაინა	ბადაგონი	86789	1980000
7	4	რაჭული ღვინო	რუსეთი	წინანდალი	60462	7900000
8	5	გრუზეინპრომი	ლიტვა	წინანდალი	67900	5600900
9	6	ენისელი ბაგრატიონი	პოლონეთი	სვირი	77890	2789000
10	7	ბადაგონი	პოლონეთი	ბადაგონი	89789	3489000
11	8	თელიანი ველი	ჩინეთი	ტეიში	67754	1345678
12	9	ასკ „ალავერდი“	რუსეთი	რქაწითელი	78900	3890000
13	10	მანავის სამეფო ზვრები	ყაზახეთი	მანავი	114276	1456987
14	11	გრუზეინპრომი	ჩინეთი	მანავი	56789	2345678
15	12	მელინეობა „ხარება“	უკრაინა	კარდენახი	99722	1890678
16	13	მონასტრის ნობათი	რუსეთი	კარდენახი	102345	1456789
17	14	რაჭული ღვინო	პოლონეთი	ტეიში	44567	2435678
18	15	გრუზეინპრომი	პოლონეთი	რქაწითელი	67890	1234987
19	16	ბადაგონი	ყაზახეთი	ბადაგონი	51432	1345100

დავადების შესასრულებლად - ანგარიშგებითი ფორმების მისაღებად, ისარგებრეთ დინამიური ცხრილებით - **PivotTable**.

**დამოუკიდებელი სამუშაო #2**

მოცემულია სავაჭრო კომპანია „საბა“ მიერ ქადაქებში რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა პროდუქციის სახეობის მიხედვით და პროდუქციის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები 2014-2015 წლების განმავლობაში.

ისარგებრეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი #2-ით და მისი მონაცემების საფუძველზე მიიღეთ დინამიური ცხრილი (ანგარიშგებითი ფორმა):

	A	B	C	D	E
1	<b>სავაჭრო კომპანია „საბა“-ს შემოსავლების მონაცემთა ბაზა 2014-2015 წლების განმავლობაში</b>				
2	<b>ქალაქი</b>	<b>წელი</b>	<b>პროდუქციის დასახელება</b>	<b>რაოდენობა</b>	<b>გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი (ლარი)</b>
3	თბილისი	2015	კარადა ჩუქურთმით	190	142500
4	ბათუმი	2015	რბილი სამეული	178	188000
5	თბილისი	2014	კარადა ჩუქურთმით	190	152800
6	თბილისი	2015	რბილი სამეული	200	179000
7	ბათუმი	2015	კარადა ჩუქურთმით	160	140000
8	თბილისი	2015	რბილი სკამები	145	179150
9	რუსთავი	2015	ტყავის სამეული	199	172000
10	ქუთაისი	2015	სამზარეულოს სკამები	150	188000
11	რუსთავი	2014	რბილი სკამები	245	199150
12	ქუთაისი	2014	ტყავის სამეული	146	196896

1. გაყიდვებიდან მიღებული საერთო შემოსავლები პროექციის სახელობის მიხედვით 2014 - 2015 წლებში ერთად;
2. ქადაქებში გაყიდვებიდან მიღებული საერთო შემოსავლები პროექციის სახელობის მიხედვით 2014 - 2015 წლებში;

დავადების შესასრულებლად - ანგარიშგებითი ფორმების მისაღებად ამოცანის გადასაწყვეტად ისარგებლეთ **PivotTable**-ით.

### **დამოუკიდებელი სამუშაო # 3**

შექმენით მაკროსი შემდეგი ამოცანისთვის: მოცემულია ფირმა „ფუდ-მარტი“-ის ყოველდღიური შემოსავლები მარკეტების (მარკეტი 1, მარკეტი 2, მარკეტი 3, მარკეტი 4) მიხედვით. საჭიროა მოხდეს შემოსავლების შეფასება შემდეგი პირობით:

თუ მარკეტის შემოსავალი ნაკლებია 2000 ლარზე, მაშინ დაბალი შემოსავალია;

თუ მარკეტის შემოსავალი არის 2000-დან 3000 ლარამდე, მაშინ შემოსავალი საშუალოა.

თუ მარკეტის შემოსავალი მეტია 3000 ლარზე - შემოსავალი მაღალია.

გამოიძახეთ Excel, გახსენით წიგნის Sheet1 ფურცელი, გამოიყენეთ მაკროსის ფუნქცია და შექმენით მაკროსი სახელწოდებით „შემოსავლების შეფასება“. მაკროსის შესრულებაზე გასაშვებად გამოიყენეთ ღიდაკთა კომბინაცია **Ctrl+m**. ზემოთ მოცემული პირობის გათვალისწინებით ააგეთ ცხრილი მაჩვენებლებით: **მარკეტი, შემოსავალი, შეფასება**. ცხრილში შეფასების ველის პირველი ჩანაწერისთვის ჩაწერეთ ფორმულა, რომელიც დაგიფიქსირებთ შეფასების ერთერთ ვარიანტს ცხრილში ჩაწერილი მონაცემის მიხედვით, შემდეგ გაავრცელეთ ფორმულა დანარჩენი უჯრების დიაპაზონზე. დაამთავრეთ მაკროსის შექმნა.

შეფასებისათვის გამოიყენეთ დოკიკური ფუნქცია IF.

## თავი 9. მონაცემთა კონსოლიდაცია და ფორმულების შემოწმება


### 9.1. მონაცემთა შემოწმება და შეზღუდვა

მომხმარებლის მიერ უჯრებში შეტანილი მონაცემთა ტიპის ან მნიშვნელობის გაკონტროლების მიზნით შესაძლებელია მონაცემთა შემოწმების **Data Validation** ფუნქციის გამოყენება. მისი დახმარებით ჩვენ შეგვიძლია მაგალითად, შევზღუდოთ მონაცემების შეყვანა განსაზღვრულ თარიღთა დიაპაზონში, მოვახდინოთ შეზღუდვა სიების გამოყენების დროს ან დავწმენდეთ რომ მხოლოდ მთელი დადებითი რიცხვები შეგვყავს.


ჩვენ ეს ფუნქცია გამოვიყენოთ ბიზნეს-ამოცანის გადაწყვეტის დროს.

**ამოცანა.** ავტოსადონი „ჯეომოტორსი“ ახორციელებს მხოლოდ 2009-2016 წლებში გამოშვებული ავტომანქანების იმპორტს. ავსაგოთ ცხრილი შემდეგი მაჩვენებლებით: #, ავტომანქანის დასახელება, გამოშვების თარიღი, ფასი(\$). მოცემული პირობის გათვალისწინებით დავადლოთ შეზღუდვები ცხრილში თარიღის შესაბამისი უჯრების დიაპაზონს და შევამოწმოთ მონაცემები ცხრილში შეტანის დროს.


**ავსაგოთ ცხრილი.** ცხრილის ასაგებად **A3:D11** უჯრების დიაპაზონს მივცეთ ცხრილის სახე. ამისათვის საჭიროა მოვნიშნოთ **A3:D11** უჯრების დიაპაზონი და შევასრულოთ მენიუს ზოლიდან შემდეგი ბრძანებების თანმიმდევრობა: კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ფუნქცია **Home / Font** განყოფილებიდან კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ჩარჩოს საზღვრების ვარიანტების პიქტოგრაფია /


**Borders** ჩამონათვადში ავირჩიოთ  **All Borders**.

ტექსტის ჩასაწერად მოვნიშნოთ **A3:D3** უჯრების დიაპაზონი და დავაფორმატოთ. ამისათვის, მოვნიშნოთ **A3:D3** უჯრების დიაპაზონი / მაუსის მარჯვენა ღილაკით ჩამოვშალოთ კონტექსტური მენიუ / ავირჩიოთ

 **Format Cells...** /

გამოსურ **Format Cells** დიალოგურ ფანჯარაში კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ჩანართი **Alignment / Text alignment** განყოფილებაში კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Horizontal**-ის ველი / გამოსურ ჩამონათვადში კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Center** / კურსორის მოქმედებით ჩამოვშალოთ ველი **Vertical**-ი / ჩამონათვადში კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Center** / ველში **Text control** კურსორის მოქმედებით ჩავურთოთ ადამი  **Wrap text**-ს (იხ. სურ.9.1.1) / **OK**. კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ მენიუს ზოდის ფუნქცია **Home / Font** განყოფილებიდან ავირჩიოთ შრიფტის მუქი - **B** / ზომა - **10**. ამით, უჯრებში ჩანერილი ტექსტი განთავსდება უჯრების ცენტრში სტრიქონებად.

ცხრილის დასათაურების ჩასანერად საჭიროა მოვნიშნოთ **A1:D1** უჯრების დიაპაზონი / მივმართოთ მენიუს ბოლს / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ფუნქცია **Home / Alignment** განყოფილებაში გავააქტიუროთ პიქტოგრამა  / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ მენიუს ბოლის ფუნქცია **Home / Font** განყოფილებაში ავირჩიოთ შრიფტი მუქი - **B** / შრიფტის ზომა 10 / უჯრაში ჩავწეროთ ცხრილის სათაური **ავტოსაღონ „ჯეომეტორისის“ ავტომპორტი**.





სურ. 9.1.1. Format Cells დიალოგური ფანჯარა Alignment ჩანართით

**A3:D3** უჯრების დიაპაზონში თანმიმდევრობით შევიტანოთ ცხრილის თავაკის მარჯვენაღებები: **#**, **ავტომანქანის დასახელება**, **გამომშვების თარიღი**, **ფასი(\$)** (იხ. სურ.9.1.2).


	A	B	C	D
1	<b>ავტოსაღონ „ჯეომეტორისის“ ავტომპორტი</b>			
2				
3	<b>#</b>	<b>ავტომანქანის დასახელება</b>	<b>გამომშვების თარიღი</b>	<b>ფასი(\$)</b>
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				


სურ.9.1.2.ჯეომეტორისის“ ავტომპორტის ცხრილი მონაცემების შესატანად

**C4:C11** უჯრების დიაპაზონი დავაფორმატოთ მონაცემთა დაფორმატების **Date** კატეგორიით, თარიღის შესატანად. ამისათვის, მოვნიშნოთ **C4:C11** უჯრების დიაპაზონი / მაუსის მარჯვენა ღიდაკით ჩამოვშალოთ კონტექსტური მენიუ / ავირჩიოთ  **Format Cells...** / გამოსულ **Format Cells** დიალოგურ ფანჯარაში კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ ჩანართი **Number** / ჩამონათვაღში **Category** ავირჩიოთ **Date** / ჩამონათვაღში **Type** ავირჩიოთ თარიღის ჩანერის ტიპი / გავააქტიუროთ **OK** ღიდაკი (იხ. სურ. 9.1.3).



სურ. 9.1.3. Format Cells დიალოგური ფანჯარაში თარიღის ფორმატის არჩევა

**C4:C11** უჯრების დიაპაზონს, სადაც ავტომანქანების გამოშვების თარიღი უნდა შევიტანოთ, ამოცანის პირობით დავადლოთ შეზღუდვები. ამისათვის საჭიროა მოვნიშნოთ **C4:C11** უჯრების დიაპაზონი / მენიუს ზოდიდან შევასრულოთ ბრძანებების შემდეგი თანმიმდევრობა: კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ფუნქცია **Data** / **Data Tools** განყოფილებიდან კურსორის მოქმედებით ჩამოვშალოთ **Data Validation**-ის მარჯვნივ  ისარი / კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ ფუნქცია **Data Validation** (იხ. სურ. 9.1.4).



სურ. 9.1.4. მონაცემთა შეზღუდვის ფუნქცია Data Validation

გამოვა დიალოგურ ფანჯარა **Data Validation**, რომელსაც აქვს სამი ჩანართი: **Settings** (პარამეტრები), **Input Message** (შეტყობინების შეტანა), **Error Alert** (შეცდომაზე რეაგირება) შევავსოთ თითოეული მათგანი.

გავააქტიუროთ **Settings** ჩანართი. ამ ჩანართის **Validation criteria** განყოფილებაში **Allow-ს** (პირობის ამორჩევა) აქვს შემდეგი რეჟიმები (იხ. სურ. 9.1.5):


**Whole number** – რიცხვების ამორჩევა;

**List**- სიიდან ამორჩევა;

**Date**- თარიღის მიხედვით ამორჩევა;


**Time** - დროის მიხედვით ამორჩევა;

**Text Length** -სიმბოლოთა რაოდენობის მიხედვით ამორჩევა.




სურ. 9.1.5. Data Validation დიალოგური ფანჯარა Settings ჩანართის Allow რეჟიმებით

შევავსოთ **Settings** ჩანართის ველები ამოცანის პირობის მიხედვით / კურსორის მოქმედებით ველში **Allow** (პირობის ამორჩევა) ავირჩიოთ **Date** / კურსორის მოქმედებით ველში **Data** ავირჩიოთ **Between** / კურსორის მოქმედებით ველში **Start date** ჩავწეროთ თარიღი **1/1/2009** / კურსორის მოქმედებით ველში **End date** ჩავწეროთ თარიღი **12/31/2016** / კურსორის მოქმედებით ველში **Ignore blank** (ცარიედი უჯრების იგნორირება) ამოვშადლოთ ადამი (იხ.სურ.9.1.6) / არ ვაჭერთ ლიდავს **OK** და ვააქტიურობთ დიალოგური ფანჯრის ჩანართს **Input Message**.



სურ. 9.1.6. Data Validation დიალოგური ფანჯარა Settings ჩანართით


**Input Message** ჩანართის ვედები შევავსოთ შემდეგნაირად: ვედში **Title** ჩავწეროთ „შეზღუდვა!“ / **Input message** ვედში ჩავწეროთ „მხოლოდ 2009-2016 წლებში გამოშვებული ავტომანქანების იმპორტია დაშვებული“ (იხ. სურ. 9.1.7) / არ დავაჭიროთ ღიდაკს **OK** და გავააქტიუროთ დიალოგური ფანჯრის ჩანართი **Error Alert**.



სურ. 9.1.7. Data Validation დიალოგური ფანჯარა ჩანართით Input Message


**Error Alert** ჩანართის **Style** ველს აქვს სამი რეჟიმი: პირველი **Stop**. ამ რეჟიმის არჩევის შემთხვევაში შეტყობინების შემდეგ აუცილებელია შეცდო-

მის შესწორება, რათა შევძლოთ მონაცემთა შეტანის გაგრძელება, ხოლო **Warning** და **Information** რეჟიმების დროს, შეცდომის შეტყობინების შემდეგაც შეგვიძლია მონაცემების შეტანა (იხ. სურ.9.1.8).



სურ. 9.1.8. Data Validation დიალოგური ფანჯრის Error Alert ჩანართის Style რეჟიმები

**Style** ვერში ავირჩიოთ **Stop** რეჟიმი / ვერში **Title** ჩავწეროთ „შეცდომა!“ / ვერში **Error message** ჩავწეროთ „შეასწორეთ ავტომანქანის გამომშვების თარიღი“ (სურ. 9.1.9) / სამივე ჩანართში პარამეტრების შეტანის შემდეგ ვიმოქმედოთ ღიდაკზე **OK** .



სურ. 9.1.9. Data Validation დიალოგური ფანჯრის Error Alert ჩანართის Stop რეჟიმი

დავინწყოთ ცხრილში მონაცემების შეტანა. როგორც კი გავააქტიურებთ უჭრას ავტომანქანის გამოშვების თარიღის ჩასაწერად, გამოვა შეტყობინების სახით გაფრთხილება (იხ. სურ. 9.1.10). შევიტანოთ სწორი თარიღი და გავაგრძელოთ მონაცემების შეტანა.


	A	B	C	D
1	ავტოსალონ „ჯეომოტორსის“ ავტოიმპორტი			
2				
3	#	ავტომანქანის დასახელება	გამოშვების თარიღი	ფასი(\$)
4	1	მერსედესი		
5				შეზღუდვა!!! მხოლოდ 2009-2016 წლებში გამოშვებული ავტომანქანების იმპორტია დაშვებული.
6				
7				
8				
9				
10				
11				

სურ. 9.1.10. უჭრების დიაპაზონზე დადებული შეზღუდვის შეტყობინება

თუ მეორე ჩანაწერში ავტომანქანა „ფორდის“ გამოშვების თარიღს შევიტანთ შეცდომით და დავაჭერთ **Enter**-ს (იხ. სურ. 9.1.11) გამოვა შეტყობინება (იხ.სურ. 9.1.12).

	A	B	C	D
1	ავტოსალონ „ჯეომოტორსის“ ავტოიმპორტი			
2				
3	#	ავტომანქანის დასახელება	გამოშვების თარიღი	ფასი(\$)
4	1	მერსედესი	2/3/2009	8900
5	2	ფორდი	4/25/2007	
6				შეზღუდვა!!! მხოლოდ 2009-2016 წლებში გამოშვებული ავტომანქანების იმპორტია დაშვებული.
7				
8				
9				
10				
11				

სურ. 9.1.11. შეცდომით შეტანილი ფორდის გამოშვების თარიღი




სურ. 9.1.12. Stop რეჟიმის დროს გამოსული შეტყობინება

თუ დავაჭერთ ღიდაკს **Retry**, მაშინ შეცდომით ჩანერილი მონაცემი მიიღებს შავ ფერს, შევასწორებთ მონაცემს და გავაგრძელებთ მონაცემების შეტანას ან დავხურავთ დიალოგურ ფანჯარას ღიდაკით **X** / ჩავწერთ ავტომანქანის გამომშვების სწორ თარიღს და გავაგრძელებთ მონაცემების შეტანას.

**განვიხილოთ Error Alert ჩანართის დანარჩენი ორი რეჟიმი.**

მოვნიშნოთ **C4:C11** უჯრების დიაპაზონი / მენიუს ბოლიდან შევას-რუდოთ ბრძანებების შემდეგი თანმიმდევრობა: კურსორის მოქმედებით გავააქტიროთ ფუნქცია **Data / Data Tools** განყოფილებიდან გავააქტიუროთ **Data Validation**-ი / ავირჩიოთ ფუნქცია **Data Validation** (იხ. სურ. 9.1.4) გამოვა დიალოგური ფანჯარა **Data Validation**. **Data Validation** დიალოგური ფანჯრის **Settings** და **Input Message** შევსებური ჩანართები დავტოვოთ უცვლელი (ან შევავსოთ თავიდან), ხოლო **Error Alert** ჩანართის **Warning** რეჟიმი ჩავრთოთ შემდეგნაირად: კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Data Validation** დიალოგური ფანჯრის **Error Alert** ჩანართის ველი **Style** და კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Warning** რეჟიმი / **Title** ველში ჩავწეროთ „შეცდომა!“ / **Error message** ველში ჩავწეროთ „მონაცემთა შეტანის გაგრძელება შესაძლებელია“ (იხ. სურ. 9.1.13). / გავააქტიუროთ დიალოგური ფანჯრის **OK** ღიდაკი.




სურ.9.1.13. Data Validation დიალოგური ფანჯრის Error Alert ჩანართის Style Warning რეჟიმი

ამ შემთხვევაშიც შეცდომით შეტანილ მონაცემზე მოხდება რეაგირება, გამოვა შეტყობინება შეცდომის შესახებ და შეტყობინება, რომ მონაცემთა შეტანის გაგრძელება შესაძლებელია. მაგალითად, შევითანოთ ცხრილში ავტომანქანა „ოპელის“ გამოშვების თარიღი შეცდომით (იხ. სურ.9.1.14) / გავააქტიუროთ კდავიატურის **Enter** ღილაკი / გამოვა შეტყობინება შეცდომის შესახებ (იხ. სურ. 9.1.15).

	A	B	C	D
1	ავტოსალონ „ჯეომორსის“ ავტომპორტი			
2				
3	#	ავტომანქანის დასახელება	გამოშვების თარიღი	ფასი(\$)
4	1	მერსედესი	2/3/2009	8900
5	2	ფორდი	4/25/2009	5600
6	3	ოპელი	5/30/2007	
7				<b>შეზღუდვა!!!</b> მხოლოდ 2009-2016 წლებში გამოშვებული ავტომანქანების იმპორტია დაშვებული.
8				
9				
10				
11				

სურ. 9.1.14. შეცდომით შეტანილი თარიღი Warning რეჟიმის დროს




სურ. 9.1.15. შეცდომით შეტანილი თარიღის შემთხვევაში გამოტანილი შეტყობინება Warning რეჟიმის დროს

ამ დიალოგურ ფანჯარაში **Yes**-ს ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში შეგვიძლია გავაგრძელოთ მონაცემების შეტანა ისე, რომ შეცდომა არ შევასწოროთ, **Cancel**-ის შემთხვევაში დაიხურება ფანჯარა და შემდეგ თავიდან ვიწყებთ მონაცემების შეტანას. **No**-ს შემთხვევაში უჭრაში შეცდომით ჩაწერილი

მონაცემი მონიშნება შავად, მიგვყავს კურსორი მასთან და ვწერთ სწორ მონაცემს.

**Data Validation** დიალოგური ფანჯრის **Error Alert** ჩანართში **Style**-ს რეჟიმის **Information**-ის ჩართვა ხდება **Warning** რეჟიმის ანალოგიურად.

**Data Validation** დიალოგური ფანჯრის **Error Alert** ჩანართის ვედში **Style** ავირჩიოთ რეჟიმი **Information**. ვედში **Title** ჩავწეროთ „შეცდომაა!“ / ვედში **Error message** ჩავწეროთ „მონაცემთა შეტანა არ არის შეზღუდული“. ამ შემთხვევაშიც შეცდომაზე გამოდის გამაფრთხილებელი შეტყობინება, მაგრამ არ იზღუდება მონაცემთა შეტანა. ავტომანქანა „პეჟო“ გამოშვების თარიღი შევიტანოთ შეცდომით / დავაჭიროთ კდავიატურის **Enter** ღიდავს / გამოვა შეტყობინება (იხ. სურ.9.1.16)



სურ. 9.1.16. Information რეჟიმის შეტყობინება

ასე შევიტანოთ რამდენიმე თარიღი შეცდომით. მივიღებთ ცხრილს (იხ. სურ. 9.1.17).

	A	B	C	D
1	ავტოსაღონ „კომპოტორსის“ ავტომობილთა			
2				
3	#	ავტომანქანის დასახელება	გამოშვების თარიღი	ფასი(\$)
4	1	მერსედესი	2/3/2009	8900
5	2	ფორდი	4/18/2009	5600
6	3	ოპელი	5/30/2007	7600
7	4	ვოლვო	6/22/2012	5500
8	5	ტოიოტა	9/23/2005	4560
9	6	რენო	7/14/2012	6700
10	7	პეჟო	9/29/2006	7000
11	8	აუდი	6/22/2014	6100

სურ. 9.1.17. ცხრილი, რომელშიც ზოგიერთი თარიღი შეცდომით არის შეტანილი

შეტანილი მონაცემების შესამოწმებლად მოვნიშნოთ ველების ღია-პაზონი **C4:C11** და მენიუს ზოლიდან შევასრულოთ შემდეგი ბრძანებების თანმიმდევრობა: გავააქტიუროთ ფუნქცია **Data / განყოფილებაში Data Tools** გავააქტიუროთ **Data Validation / ავირჩიოთ Circle Invalid Data** (იხ. სურ. 9.1.18) / არასწორი მონაცემები შემოიხაზება წითელი ფერის ოვალებით (იხ. სურ. 9.1.19).




სურ. 9.1.18. მონაცემების შემოწმების ფუნქცია Circle Invalid Data

	A	B	C	D
1	ავტოსაღონ „ჯეომოტორსის“ ავტოიმპორტი			
2				
3	#	ავტომანქანის დასახელება	გამოშვების თარიღი	ფასი(\$)
4	1	მერსედესი	2/3/2009	8900
5	2	ფორდი	4/18/2009	5600
6	3	ოპელი	5/30/2007	7600
7	4	ვოლვო	6/22/2012	5500
8	5	ტოიოტა	9/23/2005	4560
9	6	რენო	7/14/2012	6700
10	7	ჰულო	9/29/2006	7000
11	8	აუდი	6/22/2014	6100

სურ. 9.1.19. არასწორად შეტანილი თარიღების მონიშვნა ცხრილში


მონაცემის შესასწორებლად დავაფიქსიროთ კურსორი შეცდომიან უჯრაზე და ჩავწეროთ სწორი მონაცემი.

არასწორ მონაცემებზე წითელი ფერის ოვალების მოსახსნელად შევასრულოთ ბრძანებათა შემდეგი თანმიმდევრობა: მენიუს ზოლიდან კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ფუნქცია **Data / Data Tools** განყოფილებაში გავააქტიუროთ **Data Validation / ავირჩიოთ Clear Validation Circles** (იხ. სურ. 9.1.20) / წითელი ფერის ოვალები გაქრება.



სურ. 9.1.20. არასწორ მონაცემებზე ოვადების მოხსნის Clear Validation Circles ფუნქცია

მონაცემთა დიაპაზონზე კონტროლის გასაუქმებლად შევასრულოთ შემდეგი ბრძანებები მენიუს ზოლიდან: გავააქტიუროთ **Data / Data Tools** განყოფილებაში გავააქტიუროთ **Data Validation** / გამოსულ **Data Validation** დიალოგურ ფანჯარაში კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Clear All** ლიდაკი / **OK**. (იხ. სურ. 9.1.21).



სურ. 9.1.21. მონაცემთა დიაპაზონზე კონტროლის (შემღუდვის) გაუქმება

## 9. 2. მონაცემთა კონსოლიდაცია


სხვადასხვა წიგნის ფურცლებზე (ან წიგნის სხვადასხვა ფურცლებზე) განლაგებული ცხრილების მონაცემების გაერთიანებას შემაჯამებელ ფურცელზე, მონაცემთა კონსოლიდაცია ეწოდება.


არსებობს მონაცემთა კონსოლიდაციის შემდეგი სახეები: კატეგორიების მიხედვით, განლაგების მიხედვით, შაბლონებით და სხვა.

განვიხილოთ კონკრეტულ მაგალითზე მონაცემთა კონსოლიდაცია გან-  
დაგების მიხედვით, რომელიც მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც სა-  
წყისი მონაცემები სხვადასხვა წიგნების ერთი და იმავე მისამართის მქონე  
ღიაპაზონებშია განლაგებული.



**ამოცანა.** მოცემულია სხვადასხვა წიგნებში, ჰიპერმარკეტ „გორგია“-ს  
მარკეტებში 2014 - 2015 წლების რეალიზებული პროდუქციის მოცულობა(ღარში)  
კვარტლების მიხედვით. მოვახდინოთ ამ მონაცემთა კონსოლიდაცია.  
კერძოდ, ერთი წიგნის, ერთ სამუშაო ფურცელში მოვათავსოთ 2014 წლის და  
2015 წლის მარკეტების მიერ რეალიზებული პროდუქციის მოცულობათა ჯამი  
კვარტლების მიხედვით.



ამისათვის საჭიროა შევქმნათ სამი სამუშაო წიგნი „გორგია 2014-  
15“, „გორგია 2014“, „გორგია 2015“. გავხსნათ წიგნი **Book 1** /  
გავააქტიუროთ **Sheet2** ფურცელი / კურსორით მოვნიშნოთ **A1:E1** უჯრები  
და გავაერთიანოთ. **A1:E1** უჯრების მონიშნულ ღიაპაზონზე მაუსის  
მარჯვენა ღიდაკის გააქტიურებით ჩამოიშლება კონტექსტური მენიუ /

ავიხილოთ  / გამოვა დიალოგური ფანჯარა **Format Cells**  
/ კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ დიალოგური ფანჯარის ჩანართი  
**Alignment / Text Alignment** განყოფილებაში კურსორის მოქმედებით  
გავააქტიუროთ ველი **Horizontal** / გამოსულ ჩამონათვადში კურსორის  
მოქმედებით ავირჩიოთ **Center** / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ  
ველი **Vertical** / ჩამონათვადში კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Center** /  
**Text control** განყოფილებაში კურსორის მოქმედებით ჩავურთოთ ადამი  
 **Wrap text**-ს და **Merge cells**-ს (იხ. სურ.9.2.1) / **OK**. გაერთიანებულ უჯრაზე  
დავსვათ კურსორი / ვდავიატურაზე ავკრიფოთ ტექსტი: **ჰიპერმარკეტ**  
**„გორგია“-ს მარკეტების მიერ 2014-2015 წლების საერთო რეალიზებული**  
**პროდუქციის მოცულობა (ღარში) კვარტლების მიხედვით** / უჯრაში  
ჩაწერილი ტექსტი განთავსდება უჯრის შიგნით ცენტრში სტრიქონებად.



სურ. 9.2.1. Format Cells დიალოგური ფანჯარა Alignment ჩანართით


მოვნიშნოთ **A2:E8** უჯრების დიაპაზონი და მივცეთ მას ცხრილის სახე. ამისათვის საჭიროა: მივმართოთ მენიუს ზოლს: კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Home / Font** ქვემენიუში ჩამოვშალოთ ჩარჩოს საზღვრების ვარიანტების პიქტოგრამების  მარჯვნივ ისარი / **Borders** ჩამონათვადში ავირჩიოთ ფუნქცია  **All Borders**. **A2:E8** უჯრათა დიაპაზონი მიიღებს ცხრილის სახეს.

**A2:A3** უჯრები გავაერთიანოთ. ამისათვის საჭიროა: მოვნიშნოთ **A2:A3** უჯრები / მივმართოთ მენიუს ზოლს / **Home / Alignment** განყოფილებაში კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ პიქტოგრამა . **A2:A3**-ის გაერთიანებულ უჯრაზე დავსვათ კურსორი და ჩავწეროთ **მარკეტები** / გავაერთიანოთ **B2:E2** უჯრები. ამისათვის საჭიროა მოვნიშნოთ **B2:E2** უჯრების დიაპაზონი მივმართოთ მენიუს ზოლს / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ფუნქცია **Home / Alignment** განყოფილებაში გავააქტიუროთ პიქტოგრამა . **B2:E2**-ის გაერთიანებულ უჯრაში ჩავწეროთ „კვარტალი“ / **B3:E3** უჯრებში თანმიმდევრობით ჩავწეროთ ციფრები:1-დან 4-მდე / **A4:A8** უჯრების დიაპაზონში თანმიმდევრობით ჩავწეროთ მარკეტი 1, მარკეტი 2 და ა. შ. მარკეტი 5. ცხრილს ექნება შემდეგი სახე (იხ. სურ. 9.2.2).


	A	B	C	D	E
1	<b>ჰიპერმარკეტ „გორგია“-ს მარკეტების მიერ 2014-2015 წლების საერთო რეალიზებული პროდუქციის მოცულობა(ლარში) კვარტლების მიხედვით</b>				
2	<b>მარკეტები</b>	<b>კვარტალი</b>			
3		<b>1</b>	<b>2</b>	<b>3</b>	<b>4</b>
4	<b>მარკეტი 1</b>				
5	<b>მარკეტი 2</b>				
6	<b>მარკეტი 3</b>				
7	<b>მარკეტი 4</b>				
8	<b>მარკეტი 5</b>				

სურ. 9.2.2. „გორგია 2014-15“-ის ცხრილი მონაცემების გარეშე

შევინახოთ ცარიელი ცხრილი / ამისათვის მივმართოთ მენიუს ზოდს / კურსორის დაჭერით ჩამოვშაღოთ **File** / ჩამონათვაღში ავირჩიოთ **Save As.../** გამოვა **Save As** დიალოგური ფანჯარა / მივუთითოთ ადგილი - სადაც გვინდა შევინახოთ წიგნი **Book 1-მაგ., Desktop** / ველში: **File name** ჩავწეროთ სახელი, რა სახელითაც გვინდა წიგნის შენახვა - **„გორგია 2014-15“** / **Save**. დროს ეკონომიის მიზნით გავაკეთოთ ამ ცხრილის კოპიო და გადავიტანოთ ახალ წიგნში **Book 2- Sheet2-ის A1:E8** უჯრების დიაპაზონში, ხოლო **„გორგია2014-15“** დავხუროთ სატიტულო ზოდის ბოლოს მოთავსებული ლიდაკით **X** / კოპირებუდ **Book2** წიგნის ცხრილში შევცვადოთ ცხრილის დასათაურება და **A1:E1** გაერთიანებუდ უჯრაში ჩავწეროთ **ჰიპერმარკეტ „გორგია“-ს მარკეტების მიერ 2014 წლის რეალიზებული პროდუქციის მოცულობა(ლარში) კვარტლების მიხედვით** / შევავსოთ მარკეტებისთვის უჯრები **2014 წლის კვარტალები** ნებისმიერი მონაცემებით / შევინახოთ **Book 2 Desktop-ზე** / ამისათვის მივმართოთ მენიუს ზოდს / **File** / **Save As.../** გამოვა **Save As** ფანჯარა / მივუთითოთ ადგილი სადაც გვინდა შევინახოთ წიგნი **Book 2 / Desktop** / ველში: **File name** ჩავწეროთ სახელი, რა სახელითაც გვინდა წიგნის შენახვა - **„გორგია -2014“** / **Save**. ასევე გავაკეთოთ ამ ცხრილის კოპიო **Book3-ის Sheet2-ის A1:E8** უჯრების დიაპაზონში, ხოლო წიგნი **„გორგია-2014“** დავხუროთ სატიტულო ზოდის ბოლოს მოთავსებული ლიდაკით **X** / **Book 3-ში** კოპირებუდ ცხრილში შევცვადოთ ცხრილის დასათაურება და **A1:E1-ში** ჩავწეროთ **ჰიპერმარკეტ „გორგია“-ს მარკეტების მიერ 2015 წლის რეალიზებული პროდუქციის მოცულობა(ლარში) კვარტლების მიხედვით** / შევავსოთ


მარკეტებისთვის უჭრები 2015 წლის კვარტლები ნებისმიერი მონაცემებით / შევინახოთ **Book 3 Desktop-ზე** /ამისათვის საჭიროა: მივმართოთ მენიუს ბოლს / **File / Save As...**/ გამოვა **Save As** ფანჯარა / მივუთითოთ ადგილი - სადაც გვინდა შევინახოთ წიგნი **Book 3 / Desktop** / ვედში: **File name** ჩავწეროთ სახელი, რა სახელითაც გვინდა წიგნის შენახვა „**გორგია-2015**“ / **Save** / (იხ. სურ. 9.2.3) დავხუროთ ფაილი „**გორგია-2015**“ სატიტულო ბოლის ბოლოს მოთავსებული ღილაკით .


ამრიგად, სამუშაო მაგიდაზე(**Desktop**) გვაქვს სამი წიგნი: „**გორგია 2014-15**“ (ცარიედი ცხრილით სადაც უნდა მივიღოთ 2014 წლის და 2015 წლის კვარტალების ჯამობრივი მონაცემები), „**გორგია-2014**“ (ცხრილი, 2014 წლის კვარტალების მონაცემებით) და „**გორგია-2015**“ (ცხრილი, 2015 წლის კვარტალების მონაცემებით).




სურ. 9.2.3. Save As დიალოგური ფანჯარა


გავხსნათ სამივე წიგნი (ფაილი) რიგრიგობით შემდეგნაირად: გამოვიძახოთ **Excel / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ Excel-ის ფანჯრის File / ჩამონათვადში ავირჩიოთ Open / მივუთითოთ შენახული წიგნის(ფაილის) მისამართი Desktop / სახელი File name / „გორგია 2014-15“ / გავააქტიუროთ Open. წიგნი „გორგია 2014-15“ გაიშლება ეკრანზე. გამოვიძახოთ წიგნი „გორგია-2014“ /კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ File / ჩამონათვადში ავირჩიოთ Open / მივუთითოთ მისამართი Desktop, სადაც წიგნია შენახული / მივუთითოთ სახელი „გორგია-2014“ / გავააქტიუროთ Open / ეკრანზე**


გამოჩნდება წიგნი „გორგია-2014“ / მივიტანოთ მათსი სატიტულო ზოდის ბოლოს მოთავსებული მინიმიაციის ლიდაკთან  და დავაწკაპოთ / წიგნი ჩაიკვეცება ამოცანათა პანელზე ევრანის ქვედა კიდეში. ანალოგიურად ვმოქმედებთ წიგნი „გორგია-2015“-ის შემთხვევაშიც. ამრიგად, წიგნები „გორგია-2014“ და „გორგია-2015“ გვაქვს მინიმიაციურად ამოცანათა პანელზე, ხოლო წიგნი „გორგია 2014-15“ გაშლილია ევრანზე.

გავააქტიუროთ წიგნის „გორგია 2014-15“ ცხრილის B4 უჯრა და შევასრულოთ მენიუს ზოდიდან შემდეგი ბრძანებების თანმიმდევრობა: კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ფუნქცია **Data** / განყოფილებიდან **Data Tools** გავააქტიუროთ **Consolidate** (იხ. სურ.9.2.4) / გამოსურ **Concolidate** დიალოგურ ფანჯარაში **Function** ველში ისრის  დახმარებით ავირჩიოთ **SUM** ფუნქცია / კურსორი დავაფიქსიროთ **Reference** ველში (იხ. სურ. 9.2.5) / მივმართოთ მენიუს ზოდის ფუნქციას **View** /განყოფილებიდან **Window**




სურ. 9.2.4. მონაცემთა კონსოლიდაციის - Data Tools / Consolidate ფუნქცია

ჩამოვშარლოთ **Switch Windows**-ს მარჯვნივ ისარი  / ჩამოშლად ჩამონათვადში კურსორის მოქმედებით ჩავურთოთ აღამი  „გორგია-2014“ (იხ. სურ. 9.2.6). ევრანზე გამოვა სამუშაო წიგნი „გორგია-2014“ ცხრილით შევსებული მონაცემებით (იხ. სურ. 9.2.7) (დიალოგური ფანჯარა **Concolidate** არ გაქრება).



სურ. 9.2.5. მონაცემთა კონსოლიდაციის - Consolidate დიალოგური ფანჯარა




სურ. 9.2.6. Switch Windows - სამუშაო წიგნისთვის „გორგია-2014“


	A	B	C	D	E
1	<b>ჰიპერმარკეტ „გორგია“-ს მარკეტების მიერ 2014 წლის რეალიზებული პროდუქციის მოცულობა(ლარში) კვარტლების მიხედვით</b>				
2	<b>მარკეტები</b>	<b>კვარტალი</b>			
3		<b>1</b>	<b>2</b>	<b>3</b>	<b>4</b>
4	მარკეტი 1	156216	124876	114576	225478
5	მარკეტი 2	222435	311487	211345	128749
6	მარკეტი 3	329273	128974	233658	128974
7	მარკეტი 4	113456	225678	118906	223456
8	მარკეტი 5	224789	128900	148965	157834


სურ. 9.2.7. სამუშაო წიგნის „გორგია -2014“ მონაცემები

ამ ცხრილში გამოვყოთ **B4:E8** უჯრათა დიაპაზონი / **Reference** ველში დაფიქსირდება: წიგნის დასახელება, ფურცლის დასახელება და ცხრილის მონაცემთა დიაპაზონი: **[„გორგია-2014“.xls]Sheet2!\$B\$4:\$E\$8** / კურსორის მოქმედებით ვიმოქმედოთ **Concolidate** დიალოგურ ფანჯარაში **Add** ღილაკზე **All references:** ველში გამოჩნდება ვრცლად იგივე მისამართი მონაცემთა დიაპაზონით (იხ. სურ. 9.2.8).



სურ. 9.2.8. Concolidate დიალოგური ფანჯარა სამუშაო წიგნისთვის „გორგია - 2014“

კვლავ მივმართოთ მენიუს ბოლს: კურსორის მოქმედებით გავააქტიროთ **View / ქვემენიუში Window** ჩამოვშალოთ **Switch Windows**-ს მარჯვნივ ისარი  / ჩამონათვალში ჩავუერთოთ ადამი  „გორგია-2015“ (იხ. სურ. 9.2.9)




სურ. 9.2.9. Switch Windows –სამუშაო წიგნისთვის „გორგია-2015“

გამოვა სამუშაო წიგნის „გორგია-2015“- ის ცხრილი (იხ. სურ. 9.2.10)

	A	B	C	D	E
1	ჰიპერმარკეტ „გორგია“-ს მარკეტების მიერ 2015 წლის რეალიზებული პროდუქციის მოცულობა(ლარში) კვარტლების მიხედვით				
2	მარკეტები	კვარტალი			
3		1	2	3	4
4	მარკეტი 1	116216	104876	104576	125478
5	მარკეტი 2	200435	111487	111345	108749
6	მარკეტი 3	229273	123974	201658	128974
7	მარკეტი 4	113400	225600	108606	223454
8	მარკეტი 5	244379	128900	150963	197844

სურ. 9.2.10. სამუშაო წიგნის „გორგია-2015“ მონაცემები

გამოვყოთ ცხრილში B4:E8 უჭრათა დიაპაზონი / **Reference** ველში დაფიქსირდება: წიგნის დასახელება, ფურცლის დასახელება, უჭრათა დიაპაზონი [„გორგია-2015“.xls]Sheet1!\$B\$4:\$E\$8 / კურსორის მოქმედებით ვიმოქმედოთ **Add** ღილაკზე / **All references**: ველში გამოჩნდება ვრცლად იგივე მისამართი მონაცემთა დიაპაზონით (იხ. სურ.9.2.11.) / **OK**.



სურ. 9.2.11. Concolidate დიალოგური ფანჯარა წიგნისთვის „გორგია- 2015“


	A	B	C	D	E
1	ჰიპერმარკეტ „გორგია“-ს მარკეტების მიერ 2014-2015 წლების საერთო რეალიზებული პროდუქციის მოცულობა(ლარში) კვარტლების მიხედვით				
2	მარკეტები	კვარტალი			
3		1	2	3	4
4	მარკეტი 1	272432	229752	219152	350956
5	მარკეტი 2	422870	422974	322690	237498
6	მარკეტი 3	558546	252948	435316	257948
7	მარკეტი 4	226856	451278	227512	446910
8	მარკეტი 5	469168	257800	299928	355678

სურ. 9.2.13. ჰიპერმარკეტ „გორგია“-ს მარკეტების 2014-2015 წლების რეალიზებული პროდუქციის მონაცემების კონსოლიდირებული ცხრილი

Excel 2010 მოახდენს წიგნში „გორგია-2014-15“-ში Sheet2 ფურცლის A4:E8 უჯრათა დიაპაზონებში იმ მონაცემთა კონსოლიდაციას, რომელიც მოთავსებული იყო სამუშაო წიგნების „გორგია-2014“ და „გორგია-2015“-ის Sheet2-ის ცხრილების A4:E8 უჯრათა დიაპაზონებში.

### 9.3. ფორმულების შემოწმება (აუდიტი) და უჯრებშორისი დამოკიდებულება


იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაო ფურცელზე დიდი რაოდენობის მონაცემები და ფორმულებია, საჭირო ხდება უჯრებს შორის ურთიერთ-კავშირის თვადნათლივ დანახვა. ამ ოპერაციათა შესრულება ხდება მენიუს ბოლის **Formulas / Formula Auditing** შესაბამისი ღიდაკების გამოყენებით (იხ. სურ. 9.3.1).






სურ. 9.3.1. ფორმულების შემოწმების(აუდიტინგის) ინსტრუმენტები

განვიხილოთ ფორმულების შემოწმება (აუდიტირება) და უჯრებში მონაცემების დამოკიდებულება კონკრეტული ამოცანის მაგალითზე.

**ამოცანა.** ავტოსადონი „ჯეომოტორსი“ ახორციელებს სხვადასხვა დასახელების ავტომანქანების იმპორტს. ვნახოთ, 2015 წელს იმპორტირებულ ავტომანქანებში რა პროცენტული წილი უკავია შემოტანილი თითოეული დასახელების ავტომანქანებს, შემოტანილი ავტომანქანების საერთო რაოდენობაში.

ავაგოთ ცხრილი. **A5:D12** უჯრების დიაპაზონს მივცეთ ცხრილის სახე. ამისათვის, შევასრულოთ მენიუს ზოლიდან ბრძანებების თანმიმდევრობა: კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ფუნქცია **Home / Font** განყოფილებიდან ჩამოვშალოთ ჩარჩოს საზღვრების ვარიანტების პიქტოგრამების  მარჯვნივ ისარი / ჩამოშლილ **Borders** ჩამონათვალიდან ავირჩიოთ




**A3:D3** უჯრების დიაპაზონში ცხრილის დასახელების ჩასაწერად საჭიროა მოვნიშნოთ **A3:D3** უჯრების დიაპაზონი / მივმართოთ მენიუს ზოლს / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ ფუნქცია **Home / Alignment** განყოფილებაში გავააქტიუროთ  ღირაკი და ავირჩიოთ .

კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ მენიუს ზოლის ფუნქცია **Home / Font** განყოფილებიდან ავირჩიოთ შრიფტი მუქი **B** / ზომა **10** / გავრთიანებულ უჯრაში ჩავწეროთ ცხრილის სათური ავტოსადონი „ჯეომოტორსის“ ავტოიმპორტი. ჩაწერილი ტექსტი განთავსდება უჯრის ცენტრში.

**D4** უჯრაში ჩავწეროთ: **2015 წელი** / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ მენიუს ზოლის **Home / Font** განყოფილებიდან ავირჩიოთ შრიფტი მუქი **B** / შრიფტის ზომა **10**.

**A5:D5** უჯრების დიაპაზონში თანმიმდევრობით ჩავწეროთ ცხრილის თავაკის მაჩვენებლები: **#**, ავტომანქანის დასახელება, რაოდენობა, პროცენტული წილი(%) / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ მენიუს ზოლის **Home** ფუნქცია / **Font** განყოფილებიდან ავირჩიოთ **B** / ზომა **10**.

**D6:D12** უჯრები დავაფორმატოთ პროცენტული სიდიდის დასაფიქსირებლად. ამისათვის, მოვნიშნოთ **D6:D12** უჯრათა დიაპაზონი და კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ მენიუს ზოლის **Home / Number** განყოფილებიდან კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ .

შევავსოთ ცხრილის **A6:C11** უჯრების დიაპაზონი ნებისმიერი საწყისი მონაცემებით. შემოტანილი ყველა დასახელების ავტომანქანის საერთო რაოდენობის გამოსათვრელად, მოვნიშნოთ **C6:C12** უჯრების დიაპაზონი და კურსორის

მოქმედებით გავააქტიურეთ მენიუს ზოდის **Home / Editing** განყოფილებაში კურსორის მოქმედებით გავააქტიურეთ ლიდაკის  $\Sigma$ . **C12** უჯრაში მივიღებთ შემოტანილი ავტომანქანების საერთო რაოდენობას. (იხ. სურ. 9.3.2).

	A	B	C	D
3	ავტოსალონ „ჯეომოტორსის“ ავტოიმპორტი			
4				2016 წელი
5	#	ავტომანქანის დასახელება	რაოდენობა	თითოეულის წილი(%)
6	1	მერსედესი	45	
7	2	რენო	38	
8	3	აუდი	39	
9	4	ოპელი	55	
10	5	პორშე	14	
11	6	ფერარი	18	
12		სულ	209	

სურ. 9.3.2. „ჯეომოტორსის“ მიერ შემოტანილი ავტომანქანების საერთო რაოდენობა

ავტომანქანების დასახელების მიხედვით, პროცენტული წილის გამო-სათვლელად საერთო შემოტანილ ავტომანქანებში საჭიროა: გავააქტიურეთ **D6** უჯრა და ჩავწეროთ ფორმულა  $=C6/C12$  / დავაჭიროთ კლავიატურაზე **F4** ფუნქციონალურ ლიდაკს (**C12** უჯრის ფარდობითი მისამართი გადავიყვანეთ აბსოლუტურ მისამართში) / ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:  $=C6/$C$12$  (იხ. სურ.9.3.3) /გავააქტიურეთ კლავიატურის **Enter** ლიდაკი. მივიღებთ ფორმულით გამოთვლის შედეგს პირველი ჩანაწერისათვის (იხ. სურ. 9.3.4).

	A	B	C	D
3	ავტოსაღონ „ჯეომოტორსის“ ავტომობილი			
4				2016 წელი
5	#	ავტომანქანის დასახელება	რაოდენობა	თითოეულის წილი(%)
6	1	მერსედესი	45	=C6/\$C\$12
7	2	რენო	38	
8	3	აუდი	39	
9	4	ოპელი	55	
10	5	პორშე	14	
11	6	ფერარი	18	
12		სულ	209	

სურ. 9.3.3. პროცენტული წილის გამოთვლა

	A	B	C	D
3	ავტოსაღონ „ჯეომოტორსის“ ავტომობილი			
4				2016 წელი
5	#	ავტომანქანის დასახელება	რაოდენობა	თითოეულის წილი(%)
6	1	მერსედესი	45	22%
7	2	რენო	38	
8	3	აუდი	39	
9	4	ოპელი	55	
10	5	პორშე	14	
11	6	ფერარი	18	
12		სულ	209	

სურ. 9.3.4. ფორმულით გამოთვლის შედეგი - „ჯეომოტორსის“ ავტომობილი პირველი ჩანაწერისთვის


ფორმულის გასავრცელებლად დანარჩენ უჯრებზე, გავააქტიუროთ **D6** უჯრა / უჯრის მარჯვენა ქვედა კიდეში განდება მარკერი / მივიტანოთ მაუსი მარკერთან / მარკერი გახდება შავი ფერის პღიუსის „+“-ის ფორმის / მოვკიდოთ

მას მაუსის მარცხენა ღიდაკით და გადავასრიადოთ **D11** უჯრამდე. მივიღებთ ფორმულით გამოთვლის შედეგს - შემოტანილი ავტომანქანების რაოდენობის პროცენტურ წილს **სურ** იმპორტირებულ ავტომანქანებში, ავტომანქანის დასახელების მიხედვით (იხ. სურ. 9.3.5).

	A	B	C	D
3	<b>ავტოსაღონ „ჯეომოტორსის“ ავტოიმპორტი</b>			
4				<b>2016 წელი</b>
5	<b>#</b>	<b>ავტომანქანის დასახელება</b>	<b>რაოდენობა</b>	<b>თითოეულის წილი(%)</b>
6	1	მერსედესი	45	22%
7	2	რენო	38	18%
8	3	აუდი	39	19%
9	4	ოპელი	55	26%
10	5	პორშე	14	7%
11	6	ფერარი	18	9%
12		<b>სულ</b>	<b>209</b>	<b>100%</b>

სურ. 9.3.5. „ჯეომოტორსის“ ავტოიმპორტის მონაცემები

მოცემულ ცხრილში ვნახოთ იმპორტირებული ავტომანქანების საერთო რაოდენობის ზემოქმედი (Precedents) უჯრები, ანუ ის უჯრები, რომელთა მონაცემებიც მონაწილეობენ იმპორტირებული ავტომანქანების საერთო (სურ) რაოდენობის მიღებაში. გავააქტიუროთ **C12** უჯრა და შევასრულოთ შემდეგი ბრძანებების თანმიმდევრობა მენიუს ზოლიდან: კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Formulas / Formula Auditing** განყოფილებიდან კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Trace Precedents**. (იხ. სურ. 9.3.6.). ცხრილში გამოჩნდება ისარი, რომელიც მიუთითებს იმ უჯრებს, რომელთა მნიშვნელობებიც ფორმულიანი უჯრის გამოთვლაში მონაწილეობენ (იხ. სურ. 9.3.7).



სურ. 9.3.6. გემოქმედი - Trace Precedents ფუნქცია

	A	B	C	D
3	ავტოსალონ „ჯეომოტორსის“ ავტოიმპორტი			
4				2016 წელი
5	#	ავტომანქანის დასახელება	რაოდენობა	თითოეულის წილი(%)
6	1	მერსედესი	45	22%
7	2	რენო	38	18%
8	3	აუდი	39	19%
9	4	ოპელი	55	26%
10	5	პორშე	14	7%
11	6	ფერარი	18	9%
12		სულ	209	100%

სურ. 9.3.7. უჭრათა კავშირის - Trace Precedents ჩვენება

ან ვნახოთ მეორე მაგალითი: **პროცენტული წილის** გამოთვლაში რომელი სიდიდეები მონაწილეობენ. ამისათვის, გავააქტიუროთ **D6** უჭრა და მივმართოთ მენიუს ზოდს / კურსორის მოქმედებით გავააქტიუროთ **Formulas / Formula Auditing** განყოფილებიდან კურსორის მოქმედებით ავირჩიოთ **Trace Precedents** / დავინახავთ ისრებს, რომლებიც მიუთითებენ იმ უჭრებს, რომელთა მნიშვნელობებიც ფორმულიანი უჭრის გამოთვლაში მონაწილეობენ (იხ. სურ. 9.3.8).


	A	B	C	D
3	ავტოსაღონ „ჯეომეტორსის“ ავტომპორტი			
4				2016 წელი
